


საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის ჟურნალი
Journal of Creative Union of Composers of Georgia



მუსიკა
MUSIKA

1 (23)
2015



X საერთაშორისო ფესტივალი

ქრისტიანული აშენებისა

FROM EASTER TO ASCENSION

THE 10th INTERNATIONAL FESTIVAL



საერთაშორისო ორთქმანთა
საქმიანობის საერთაშორისო ფესტივალი
The International Orthodox Foundation of the
Catholicos-Patriarch of All Georgia

საერთაშორისო ორთქმანთა
საქმიანობის საერთაშორისო ფესტივალი
"Kakhi Katsaridze Foundation
Tradition and Innovation"



სამხატვრო ხელმძღვანელი - ალექსანდრა კორსანტია

Artistic Director - ALEXANDER KORSANTIA

თბილისი / TBILISI

April 16, 19, 20 აპრილი

May 13, 15, 16, 17, 18, 19 მაისი

ჩოხატაური / CHOKHATAURI

April 28 აპრილი

ბაღდათი / BAGDATI

April 29 აპრილი

ხარაგაული / KHARAGAULI


April 30 აპრილი

ბათუმი / BATUMI

May 21 მაისი



საერთაშორისო 2018 GEORGIA



პაბლო პიკასო. ვიოლინო, 1912

მუსიკა

MUSIKA

Journal of Creative Union of Composers of Georgia

1 (23)•2015



ქურნალი გამოიცემა
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის
სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

ISSN 1987-7773

სიასლა	
ლალი კაკულია	
რეხეზია კონცერტზე ანალიტიკური ნიაღვრებით.....	2
ფესტივალი	
ნარგიზა გარდაფხაძე	
შთაბავდილებაზე ფესტივალიდან.....	10
თამარ ნულუკიძე	
ფილ კომპოზიტორთან შეხვედრის სისხრული.....	17
პრეპანსაცია	
მასალა მოამზადა მზია ჯაფარიძემ	
შთაბავდილებაზე განაცხადი	19
პრობლემა	
გულბათ ტორაძე	
სოსი საგანგაშო ვითარება ქართულ	
მუსიკალურ კულტურაში	26
სახეები	
ვიქტორია ჩაპლინსკაია	
კანთომოხვარეობა ფეთის ნიჟია.....	28
ქრონიკა	
პაატა გუგუშვილი – 60	33
ახალი ღაპრებაები	35
რევიონი	
მზია ჯაფარიძე, ახსახური თაზისი.....	37
მუსიკა და მხარელობა	
რომან კოტემაი, პაროლი- მნიშობა	41
თარიღი	
დოდო გოგუა, ნიკოლოზ გუდიაშვილის სსოვნას.....	53
საავსტრო კონცერტი	
რუსუდან ქუთათელაძე	
A CAPPELLA გუნდის მოხარულია.....	57
კვალნი	
დევილ არუთინოვი-ჯინჯარაძე	
ფირსული პიროვნება და აღფრთხილი.....	61
გურლესკაპი	
ალექსანდრე მწარიაშვილი, ნაკერები ფრაგმა.....	66
ახალი გამოცემა	
სანოსტო კრებული 12/12	71
მსოფლიო პარაკვლავები	
აღიანა მზარხმთვა	69
ქრონიკა	
სამეცნიერო კონფერენცია	72
ფილოზოგი ხელოვანთან	
გაკა ვიხსალაქის საერთაშორისო გამარჯვება	74
შთაბავდილება	
ანზორ შომახია	
გორის ძალთა კამერული გუნდის	
სერიოზული კონცერტი	79
WWW	82
Summary	84

რედაქტორი: მიხეილ ოძელი
თანარედაქტორები: მზია ჯაფარიძე, თამარ ნულუკიძე
ფილიანი: ვახტანგ რურუა, ვანო კვიციანი
ინგლისური თარგმანი: ქეთევან თუხარელი
მისამართი: დავით აღმაშენებლის 123
ტელ: (+995 32) 295 41 64; ფაქსი: (+995 32) 296 86 78

ამა წლის 7 თებერვალს კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართული კონცერტის შესახებ მინდა მოგიხროთ. ინტერესი მის მიმართ, უპირველეს ყოვლისა, პროგრამამ განაპირობა, რომელიც თანამედროვე ქართული მუსიკის ნიმუშებს შეიცავდა. მანვე განსაზღვრა ჩვენი შრომის უჩვეულო, არასტანდარტული ფორმატი, რომელიც ვერ ეტევა რეცენზიის ფარგლებში, რაც თანამედროვე ქართული მუსიკის სააზროვნო პროცესების გაცნობიერების სურვილითაა ნაკარნახევი.

გამოხატვის მისეული მანერა და ტექნოლოგიური აღჭურვილობა. სამივე საკმაოდ გამოცდილია როგორც მსხვილ, ასევე კამერულ ჟანრებში.

საღამო დაიწყო მიხეილ ოძელის თხზულებით „დაკარგული ედემი“ მეცო სოპრანოსა და სიმფონიური ორკესტრისათვის. მას საფუძვლად უდევს ილია ჭავჭავაძის სამი ლექსი – „ღამე“, „ციურნი ხმები“, „დაკარგული ედემი“. ილიას ლექსებმა განსაზღვრეს ნაწარმოების ფორმა, ემოციური ტონუსი, ჟანრული ბუნება, კომპო-

რეცენზია კონცერტზე ანალიტიკური წიაღსვლებით

ლალი კაკულია

ბოლო წლებში, როდესაც ქართული მუსიკა ესტრადაზე კანტი-კუნტადაც კი ძლივს ისმის, ამგვარი კონცერტი მის გულშემატკივართათვის, მართლაც რომ, საჩუქარია. ამიტომ ჩემი უჩვეულო რეცენზია მინდა სამადლობელი სიტყვით დავიწყო. მადლობა კი ეკუთვნის ყველას, ვინც მისი ორგანიზება-ჩატარებისათვის რაიმე ძალისხმევა გაიღო: თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრს, მის სამხატვრო ხელმძღვანელს, რომელმაც კონცერტი ორკესტრის სამუშაო გეგმაში შეიტანა, თავად ორკესტრს, მის მსახიობებს, დირიჟორს – რევაზ ტაკიძეს, ვინაც ჩანაფიქრი რეალობად აქცია და სამი ახალი პარტიტურა მოამზადა, სოლისტებს, კონსერვატორიის დიდი დარბაზის დირექციას და თავად მუსიკის ავტორებს.

კონცერტზე წარმოდგენილ იქნა ქართველ კომპოზიტორთა სამი თაობა: 70-იანელი – მიხეილ ოძელი, 80-იანელი – ზურაბ ნადარეიშვილი და 90-იანელი – ირაკლი ცინცაძე.

სამივე ხელოვანი საინტერესო შემოქმედებითი ინდივიდია. სამივეს გააჩნია თავისი მხატვრული სამყარო და სტილისტიკა, საკუთარი შემოქმედებითი ინტერესები,

ზიკიის აგების თავისუფალი პრინციპები აზრის უწყვეტი დინებით, რაც გამოიხატა ერთნაწილიანობაში, მის შიგნით შესამჩნევი სამნაწილიანი ციკლის ნიშნებით.

შეიძლება ითქვას, ნაწარმოები ჟანრობრივად ახლოს დგას პოემურ ფორმებთან, თუმც ვოკალის რაობის მიხედვით, მას შეიძლება დრამატული მონოლოგიც ვუწოდოთ, ან მონოკანტატის თავისებურ ნიმუშად მივიჩნიოთ.

ლექსების სათაურები თითქოს რომანტიკულ კონცეფციაზე მიგვანიშნებენ, მაგრამ, ილიას პოეტურ სამყაროში ჩახედული მსმენელი, ცხადია, მუსიკიდან არ ელის რომანტიკულ გზნებას, აღმაფრენას, მწვავე კონტრასტებს. სამივე პოეტური წყარო განსჯის, მტანჯველი ფიქრების, ფილოსოფიური ჩაღრმავების სფეროს წარმოგვიდგენს და ეს სახეობრივ-ემოციური კავშირი მათ შორის, უზრუნველყოფს მუსიკის მთლიან დინებას, რომელიც ძირითადად ვოკალის მეშვეობით ხორციელდება. ვოკალი განსაზღვრავს ნაწარმოების ემოციურ განწყობილებას, მის სახისმეტყველებას და ისწრაფვის პოეტური ტექსტის დეტალური გადმოცემისაკენ.

კონცენტრაციამ სიტყვაზე, განაპირობა ვოკალის



გაქარია ფალაშვილის სახელობის
თბილისის ოკეანისა და გალესის თეატრი
სახელმწიფო პროფესიული

163-ე სეზონი

7 თებერვალი 2015

თანაბაროვა ქართული მუსიკის კონცერტი

მ. თძელი. „დაკარგული ედემი“
მეცო-სოპრანოსა და სიმფონიური ორკესტრისათვის
სოლისტი – ნატალია ვოლჩენკო

ი. ცინცაძე. სიმფონია N3

მ. ნადარეიშვილი. საფორთეპიანო ვარიაციები
სულხან ცინცაძის თემაზე
სოლისტი – თამარ ლიჩელი

თბილისის ოკეანისა და გალესის თეატრის ორკესტრი
ერიჟონი რეჟიზორი

თეატრის სახელმწიფო სახელმწიფო დაპროექტირებული **დაპროექტირებული**

მედიის კარტოგრაფია



ბიზარტა კონსერვატორიის ენე დარაბაჟი. ბიზარტა კონსერვატორიის ქ. 8
თელ. (+995 32) 293 46 24

დასაწყისი 19 საათო. ბიზარტა კონსერვატორიის
ბიზარტა კონსერვატორიის თელ. (+995 591) 104 566



LIU PHOTOGRAPHY

თაპარ ლიჩილი

რეჩიტატიული მანერა, რომელიც ადგილ-ადგილ საოპერო სცენასაც ემსგავსება და ქართულ საოპერო კლასიკასაც ეხმიანება და აგრეთვე თხზულების დამახასიათებელი მთელი რიგი ნიშნები, რომლებიც რომანტიკულ იმპულსებს შეიცავენ. ესენია: დრამატურგიული ხაზის მოდუნება, განწყობის მომენტების გაძლიერება, ვოკალის მაქსიმალური დაახლოება პოეტურ მეტყულებასთან, დეტალიზაცია მიზანსწრაფული ქმედების საპირისპიროდ, აზრის დენადობა და სხვა. მაგრამ ნაწარმოების გადანწყვეტის გზები არ ემთხვევა რომანტიკულს. მუსიკა არა მარტო მოკლებულია სუბიექტურ სიმწვავეს, არამედ ავტორისეული „მე“-ს გადალახვისაკენ სწრაფვასაც გამოხატავს.

ავტორი ისწრაფვის დროისა და სივრცის სპეციფი-

კური გააზრებისაკენ, რაც ნაწარმოების სტატიკურ პროცესუალობაში გამოიხატება. შესაბამისად, თხზულების დრამატურგიის არსია მოძრაობის ისეთი სახის დინამიკა, რომელიც ქმნის უსასრულობის სტატიკას. ამით აიხსნება ჟღერადი ფერთა გამის მონოქრონულობა და მუსიკის ერთგვარი ფრესკულობაც.

„კონტინუალური დროის მოდელი“ ქართულ მუსიკაში, ერთ-ერთმა პირველმა, დავით თორაძემ გამოიყენა. კერძოდ, მისი №2 სიმფონიის (1968, „ქებათა-ქება ნიკორწმინდას“) პირველ ნაწილში მკაფიოდ ჩანს დროის სივრცეში გადასვლის ტენდენცია. მომავალში ამ ძიებებს აქტიურად აგრძელებენ 70-იანი წლების კომპოზიტორები (მაგალითად, თემურ ბაკურაძე) და თავად მიხეილ ოძელიც. დღევანდელ კონცერტზე აჟღერებული ოპუსიც ამის დასტურია.

ნაწარმოების მხატვრული იდეა დიალოგიდან მოდის. იგი ეფუძნება ორი პლანის დრამატურგიის დაპირისპირებას. მოსაუბრეები ვოკალი და ორკესტრი არიან. ვოკალი სტატიკურ სფეროს ანსახიერებს, მდგომარეობას ასახავს. ორკესტრის პარტიის დანიშნულება მათ შორის განსხვავებულობის ხაზგასმაა. დრამატურგიის ორი პლანი პარალელურად ვითარდება, როგორც ერთ მხატვრულ სივრცეში მიმდინარე ორი დამოუკიდებელი დროის ნაკადი.

ხმა მარადისობის სიმბოლოა, სიმართლის არსის გაგების ტრანსცენდენტური უნარი, რაც პოეტს ზეციდან ეძლევა. ორკესტრი პროზაული ყოველდღიურობაა. მისი ხმოვანება „უსხეულოა“, ფერები — მკრთალი, ჟღერადობა — დაყურსული, მეტრული სანყისი — შესუსტებული, რაც ხელს უწყობს საყრდენი ბგერების შენიღბვას და ტონალობა-ატონალობის ზღვარზე ყოფნას, ამ უკანასკნელის უპირატესობით.

საორკესტრო ხმების ინტონაციური შინაარსი სპეციფიკურია. ისინი მასას წარმოადგენენ, რომელთა შორისაც არიან „უსახური“, „უძღური“, „მერყევი“ ადამიანები, ხან პასიურნი და ხანაც გაღიზიანებულნი, რადგანაც არ ესმით პოეტის მისწრაფებები. მათი „მცდელობა“, გაიგონ პოეტის ფიქრი, კომენტირება გავწიონ მას, ამაოა. მათი აზრები ჩამოუყალიბებელია, ფრაზები წყდება. ამ სმენით აღქმას სანოტო ტექსტიც ამყარებს იმით, რომ ახალ შესვლებში ხმები იმავე სიმაღლებრივ და მეტრულ პო-

ზიციაში არიან, როგორც გაჩუმებისას. გამონაკლისია ჩელო – „ბრბოში მყოფი ინდივიდი“. ჩელოს სოლოები თავისი რეგისტრებით ქმნიან მიკროსივრცეს, განწყობით სინქრონულს ვოკალთან და მიგვანიშნებენ, რომ „უსახურ ბრბოშიც“ არსებობენ პოეტის ფიქრის მოზიარე ადამიანები.

პოეტური წყაროდან გამომდინარე, თხზულების შუა და დასკვნით მონაკვეთებში ორკესტრში ჩნდება პასტორალური, ან, უფრო სწორი იქნება ვთქვათ, კვანძპასტორალური ხაზები, რადგანაც მსგავსად ილიას ლექსებისა („ციურნი ხმები“ და „დაკარგული ედემი“), მათ მკაფიო ჟანრული ფუნქცია არ გააჩნიათ.

ნაწარმოებში ვლინდება სივრცითი მუსიკის ელემენტებიც. ცხადია, აქ არ გველისხმობთ ელექტროაკუსტიკურ საშუალებებს. სივრცით ეფექტებს ავტორი აღწევს ჩვეული მუსიკალური ხერხებით: ხმისა და ორკესტრის დაპირისპირებით და ვიბრაფონისა და კლავესინის წინა პლანზე წამოწევით, მათთვის განსაკუთრებული ფუნქციის მინიჭებით. კერძოდ, ვიბრაფონი სიმბოლურად ატარებს „ნათლის ესთეტიკის“ ნიშნებს. ის მეტაფიზიკური არსის შემცველია, ხოლო კლავესინი ყოფითობის გამოხატველია. მათი საშუალებით ხორციელდება ბინარულ სანწყისთა – „ზეციურისა“ და „მინიერის“ ერთმანეთთან დაკავშირება, რომელსაც ასოციაციურად ილიას შემდეგ სიტყვებთან მივყავართ: „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მინიერი ზეციერსა“. აღნიშნულის გათვალისწინებით, კარგი იქნებოდა ამ ინსტრუმენტების ტემბრების ხაზგასმა სცენაზე მათი სპეციფიკური განლაგებით, სახელდობრ, ორკესტრის წინ, მომღერლის ზონაში, რაც სასურველია მითითებული ყოფილიყო პარტიტურაში. ვფიქრობ, ეს გააძლიერებდა ნაგულისხმებ სტერეოფონურ ეფექტს.


ბგერათნარმოქმნის ხერხების თანმიმდევრობა კოდაში (*sul ponticello* → *sul tasto*) ხაზს უსვამს მუსიკის დინამიკის მიმართულებას *pp*-დან *diminuendo*-ს გავლით *morendo*-საკენ. მაგრამ ეს დასასრული, „მუსიკის ქრობა“ არ იძლევა პასუხს პოეტის მტანჯველ ფიქრებზე, რადგანაც ფორმა უსასრულობის შეგრძნებას ქმნის. პრობლემა გადაუწყვეტელი რჩება, დასმული კითხვა – უპასუხო. თუმც, დასკვნითი მაჟორული აკორდი *pppp*-ზე გასხვივონების თავისებურ შეგრძნებას ბადებს, რაც,



ნატალია ვოლჩენკო

შეიძლება, ილიას იდეების განხორციელებაზე გაუბედავად მიგვანიშნებდეს.

ვოკალის პარტია შეასრულა მომღერალმა ნატალია ვოლჩენკომ, თბილისის ოპერის თეატრის სოლისტმა,



მიხეილ ოშელი

რომელმაც უმოკლეს ვადაში მოამზადა ეს ურთულესი ნაწარმოები და თავისი საშემსრულებლო ოსტატობის ახალი მხარეები წარმოაჩინა.

შემდეგ ნომრად ირაკლი ცინცაძის მუსიკა აჟღერდა. ირაკლი ცინცაძემ გერმანიაში ცხოვრების (1993-1999) ექვსი წლის მანძილზე თანამედროვე საკომპოზიტორო ტექნიკაში დაოსტატების სერიოზული სკოლა განვლო. მხედველობაში გვაქვს სტაჟირება მესიანის მოსწავლესთან თეო ბრანდმიულერთან და ელექტრონული მუსიკის დაოსტატების კურსი პროფესორ მანფრედ შტანკესთან.

ნორდიული ხასიათი და თვითდისციპლინა მისი შემოქმედებითი მუშაობის ინტენსივობაში გამოვლინდა, რაც კომპოზიტორის პროდუქტიულობაში აისახა. ირაკლი ცინცაძე 10 სიმფონიის ავტორია, რომელთაგანაც ბოლო, გასულ წელს შეიქმნა. სარეკენზიო კონცერტზე მისი სიმფონია №3 შესრულდა. ნაწარმოები 2002 წელს შეიქმნა. კომპოზიტორი მის აჟღერებას 12 წელი ელოდა.

თხზულებას გააჩნია გამოკვეთილი კონცეფცია, გამოირჩევა ჩანადიქრის მკაფიობით, დრამატურგიული განვითარების მიზანდასახულობით, ფორმის სისხარ-

ტით. იდეის ხორცშესხმის პროცესს მრავალსტიქვაობა არ ახასიათებს. კომპოზიტორი აზრს გამოხატავს ძუნწი შტრიხებით, ეკონომიური საშუალებებით, ერთგვარი ასკეტურობითაც კი.

სიმფონიის კონსტრუქცია იგება მინიმალისტური ხერხების, რეპეტიტიული ტექნიკისა და ნეოფოლკლორული ელემენტების შერწყმის საფუძველზე.

თხზულება იწყება მრავალხმიანი აკორდით, რომელიც დამაინტრიგებლადაა გაორკესტრებული. ქართული კილოთი შეფერილი, თითქოს ბურუსიდან აღმოცენებული ამ ქორალური თემის ინტონაციურ საფუძველს „იყალთოს სკოლის“ ერთ-ერთი საგალობელი წარმოადგენს. შემდეგ, მუსიკალურ ქსოვილში თანდათანობით ერთვებიან სხვა ფოლკლორული თემები. მაგრამ, ორივე შემთხვევაში (საგალობელი და ხალხური სიმღერა), ავტორი არ მიმართავს მათ რეალურ ვერსიებს, არამედ მათგან წარმოებული მოდუსებით სარგებლობს და ამ მოდუსების თავისებურ „ფიგურა-იმიტაციებს“ ეყრდნობა. მოდუსის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ახალი ტონალური სისტემის პირობებში ხდება ფოლკლორული მასალიდან გარკვეული ელემენტების გამოყოფა, რომლებიც ერთმანეთს განსაკუთრებული ლოგიკური დამოკიდებულებებით უკავშირდებიან. ეს შეიძლება იყოს როგორც ცენტრალური, ასევე ნაწარმოები ელემენტი. მათი გაერთიანების ტიპი ქმნის ინდივიდუალურ მოდუსებს, რომელთაც კომპოზიტორი თავისი მუსიკალური ტექნოლოგიის საშენ მასალად იყენებს.

ნაწარმოებში გამოყენებულ ფოლკლორულ თემათა ეთნოგრაფიული და ჟანრული არეალი საკმაოდ ფართოა, ერთი შეხედვით შეუთავსებელიც. იგი მოიცავს საეკლესიო, ქართლ-კახურ, თუშურ, გურულ, მეგრულ და ქალაქურ წყაროებს. მათ დაკავშირებას კომპოზიტორი სწორედ მოდუსების სასურველი მოდელების შექმნით ახორციელებს. მაგალითად, საეკლესიო საგალობლის მოდუსის ცენტრალური ელემენტი საწყისი „სონორ-აკორდი“. ის არის ამ მოდუსის არსის მატარებელი. თუშური მოდუსის ცენტრალური ელემენტი „ხუჭუჭა“ ტრელები. მოდუსების უმრავლესობაში პირველადი ჟანრული ბუნება შენარჩუნებულია, თუმცა გვხვდება მათი მოხდენილი ჟანრული ტრანსფორმაციებიც. განვითარების პროცესში შიგადაშიგ ისმის მშველიძის

„სუსხიანი“ მუსიკალური სამყაროს გამოძახილიც. ზოგი მოდუსი წინამავალ, ან მომდევნო მოდუსებთან ისეთ ლოგიკურ დამოკიდებულებაშია, რომ ერთიდან ხდება ხოლმე მეორე მოდუსის აღმოცენება. ზოგი კი იმიტაციურად, ან კონტრაპუნქტულად ერთვის სხვა მასალას, განსაკუთრებით, დამუშავებით ეპიზოდებში. ყოველივე აღნიშნულს ირაკლი ცინცაძე ისე ახორციელებს, რომ ამ მრავალფეროვან წყაროებს თავის შემოქმედებით ნებას უმორჩილებს და საკუთარი კომპოზიციური ლოგიკის ფარგლებში აქცევს. მათი მეშვეობით გადმოგვცემს ავტორი თავის სათქმელს.

ცალკეული ინსტრუმენტების რეპლიკებზე და მათ დიალოგებზე დაფუძნებულ სვლას, კულმინაციური ზონისაკენ მიყვავართ, რომელიც საინტერესოდაა აგებული. მინიმალისტური კონცეფციიდან გამომდინარე, აქ უარყოფილია მასალის განვითარების ტრადიციული ხერხები. კულმინაცია ნაწარმოებში მიიღწევა არა დამუშავების, არამედ მასალის გამეორებისა და დაგროვების გზით. მუსიკის მოძრაობა იძენს ინტენსიურ ხასიათს. ბგერადი ველი იკუმშება. კულმინაციური ზონა „fff“-ზე შემოზღუდულია სივრცეში. წამყვან მნიშვნელობას იძენს ოსტინატური მოძრაობა, რომელიც პოლიქრონულად მოიცავს მთელ ორკესტრს. თემა იძენს აგრესიულ ხასიათს. მიზანდასახულად „უაზრო“, დაჟინებული გამეორებები სიბლაგვისა და სიჩლუნვის გამოხატვას ემსახურება. ლითონის ჩასაბურთა და განსაკუთრებით, საყვირის გამყივანი ტემბრი დაუნდობლობას ანიჭებს მუსიკას და ბარბაროსული უსულგულო მექანიკური ძალის ყოვლისნამღეკავ „მანქანად“ აქცევს, რაც შოსტაკოვიჩის „შემოსევის ეპიზოდთან“ ასოცირდება.

დასავლური შტოს ქალაქური სიმღერის „სალამი ჩიტუნებოს“ თემის გამოჩენით ფინალის მუსიკაში შემოდის ახალი „ტემბრული ხარისხი“. ტემბრული გადართვის ამ ხერხს ავტორი წარმატებით იყენებს ორი წლის წინ შესრულებულ კანტატაშიც ბარათაშვილის ლექსებზე (ორი სოპრანოს დუეტი). „სალამი ჩიტუნებო“ ერთადერთი თემაა ნაწარმოებში, გამოყენებული არა მოდუსის, არამედ ვრცელი ჰანგის სახით, რადგანაც თავისი ლირიზმით, შინაგანი სისუბეკავით, სითბოთი, მელოდიის ძალდაუტანებელი დინებით, იგი კარგად გადმოგვცემს თხზულების ჰუმანურ აზრს სამყაროს უსასრულობასა და



ზურაბ ნადარაშივილი

სილამაზეზე.

კონცერტი დაავგირგვინა ზურაბ ნადარეიშვილის ახალმა თხზულებამ, უფრო სწორად, ორი ათეული წლის წინ შექმნილი ნაწარმოების ახალმა ვერსიამ – ვარიაციებმა ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის სულხან ცინცაძის თემაზე. საქართველოს სიღუბნის, სიბნელისა და სიცივის წლებში შექმნილმა (1994) ამ ოპუსმა პირველი შესრულებისთანავე მსმენელთა სიმპათია დაიმსახურა. მისი ღირსებები საერთაშორისო კონკურსზეც აღინიშნა (1998). ნყვდიადით დანთქმულ იმ გაუსაძლის სინამდვილეში, მან იმედის სხივით გაიბრწყინა.

თანამედროვე ქართული მუსიკის კონცერტზე აუღერებული ახალი რედაქცია, მიშვნელოვნად განსხვავდება პირველი ვარიანტისაგან, თუმც მისი თაური იდეა და კონცეფცია, არსებითად უცვლელია.

ზურაბ ნადარეიშვილის ვარიაციები ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის სულხან ცინცაძის თემაზე, ფაქტობრივად, ვარიაციული ფორმით დაწერილ საფორტეპიანო კონცერტს წარმოადგენს. მისი დასაწყისი ეფექტური თეატრალიზმით გამოირჩევა. ტოკატურ მოძრაო-



ირაკლი ხიუციაია

ბაზე აგებულ ფორტეპიანოს პარტიას მალევე უერთდება Temple block-ის განზომილი მოძრაობა, რომელიც ფილმის გმირის, ბაში-აჩუკის სიმღერის ფონის რიტმულ ალუზიას ქმნის. მსმენელი ელის ნაცნობი თემის გამოჩენას, რომლის ცალკეული სეგმენტებიც შემოდიან თანდათან, შეფარვით, გარკვეული პაუზებითა და ფრაგმენტულად. მუსიკით შექმნილი „სამყარო“ მჭიდროდ უკავშირდება მშობლიური სივრცე-ველის კოლორიტს, ბუნების ხმებს, რაც განაპირობებს დამახასიათებელი ინსტრუმენტების გამოყენებას და წინ წამოსწევს მოტკაცუნე-მოშრიალე ტემბრებს. მსმენელში ცოცხლდება ფილმიდან „გადმოსული“, მეხსიერებაში დალექილი პეიზაჟი.

კომპოზიტორი იყენებს შერეულ ტექნიკას, რაც თანამედროვე კომპოზიციის თეორიაში პოლიტექნიკისა და მიქსოტექნიკის სახელითაა ცნობილი. ამ შემთხვევაში, უფრო სწორად მიგვაჩნია ტერმინის — „მიქსოტექნიკა“ ხმაურება, რადგანაც იგი უფრო კარგად გამოხატავს ტექ-

ნიკათა შერევის არსს, რაც მათი შერჩევისა და სინთეზის თავისებურებაში მდგომარეობს და უსასრულო ინდივიდუალური გადაწყვეტების და ვარიანტების შექმნის შესაძლებლობას იძლევა.

ნაწარმოებში ერთდება ახალი და ძველი, ტონალური და მოდალური ტექნიკა, დიატონური და ქრომატიული მოძრაობები, ციტატები სხვისი და საკუთარი სტილიდან, ან მათი კვაზივარიანტები და სტილიზაციები.


ბგერადი სივრცე იქმნება ცალკეული ხმა-ხაზების დახვეწილი გადახლართვით, სადაც თითოეული ხმა, ან დამოუკიდებელი ბგერა ხან მკვრივდება, იკუმშება, ხანაც ზამბარისებურად იშლება, ფეთქდება, ნაწევრდება და ავსებს საორკესტრო ქსოვილს.

ნაწარმოებში „მოზიდული“ სტილები ეხმიანებიან რახმანინოვის, პროკოფიევის, სტრავენსკის, ბარტოკის, ვაგნერის და სხვათა ტრადიციებს, რომელთა ტრანსფორმაციაც ხორციელდება განვითარების მანძილზე. შედეგად, იბადება ინდივიდუალური საკომპოზიტორო ხელწერა, მჭიდროდ დაკავშირებული ქართულ სულთან, ეროვნულ მსოფლმხედველობასთან, კულტურასთან, რომელშიც ორგანულად არის გათავისებულ-განზავებული ევროპული მუსიკის ტრადიციები.

ძირითადად, ნაწარმოებში ერთმანეთს ერწყმის ნეოკლასიკური, ნეორომანტიკული და ნეომოდერნისტული ტენდენციები. ნეორომანტიკული და ნეომოდერნისტული ელემენტები უფრო სოლისტის პარტიაში ვლინდება და ასახვას ჰპოვებს მგზნებარე განწყობილებებში, მშფოთვარე ფაქტურაში, სევდიან, ელეგიურ ფრაზებში, ერთი მხრივ, და ხისტ, კუთხოვან მიმოქცევებში, სკერცოზულ სიმკვეთრეში, სინკოპირებულ რიტმულ ფორმულებში და ფორტეპიანოს მარტელატურ ტექნიკაში, მეორე მხრივ. ნეოკლასიკური ტრადიციები უფრო საორკესტრო აზროვნებას უკავშირდება და სოლო ინსტრუმენტების, ცალკეული ფგუფებისა და ფგუფებს შიგნით საკრავების დაპირისპირებაში, მათ „ცელე“ კონცერტირებაში, თავისებურ საორკესტრო „თამაშში“, ტემბრთა კოლორირებაში გამოიხატება.

კომპოზიტორი ლაღად „დასეირნობს“ სხვადასხვა სტილებში და მათი სინთეზის საფუძველზე თავის საკუთარ ესთეტიკას ქმნის.

მუსიკა სავსეა სილალით, უზრუნველობით, შინაგანი



რიკვა ტაკია

თავისუფლებით და ხალისიანი იუმორით. იუმორის ინსტრუმენტულ მუსიკაში გამოხატვა საორკესტრო წერის ხერხების ოსტატურ ფლობასა და ფორმის სტრუქტურის შესაბამის გააზრებას მოითხოვს.

ამ თვალსაზრისით, კომპოზიტორი ეფექტურად იყენებს კოლაჟურ ტექნიკას. მასალაში შეაქვს იუმორისტულ-გროტესკული ვალსი-მარში, რეგტაიმი, ჯაზური ჰარმონიული ჟღერადობები, რასაც იგი საკუთარ კომპოზიციურ ლოგიკას უქვემდებარებს.

თხზულება მთავრდება ნათელი, სევდიანი განწყობილებით. ჩასაბერ და სიმებიან საკრავთა მიერ შესრულებული სიმღერის თემის დეფორმირებულ ნაფლეთებს ეპასუხება ფორტეპიანოს, ჩელოს, ზარებისა და ჩელესტის წყვეტილი ნოსტალგიური ფრაზები. ცინცადის სიმღერის თემა კოდაში აღიქმება ბედნიერი ბავშვობის, გულუბრყვილობით, რწმენითა და ხალასი განცდებით აღსავსე ძველი ეპოქის დასასრულად, რომელსაც კომპოზიტორი თბილი იუმორითა და ერთგვარი ნოსტალგი-

ური გრძნობით შესცქერის.

სხვადასხვა სტილების გამოყენებას ნადარეიშვილი ახდენს იმ ფორმულა-მოდელის მეშვეობით, რომელთაც იგი კულტურულ ნიშანთა მატარებლად მიიჩნევს. ორიენტაცია სტილებზე, კულტუროლოგიურად უპირისპირდება აკადემიზმს და ახალ, ნოვატორულ ტენდენციებს გულისხმობს, რაც ინდივიდუალურ ფორმასა და იდეის ორიგინალობას განაპირობებს. მედიტაციური დასასრული და შინაგანი სიმშვიდე გონის პრიორიტეტსა და რეალობის ადეკვატურ აღქმაზე მიგვანიშნებს, რაც შეიძლება გამოვხატოთ სიტყვებით: „განუმორებელი, ლამაზი ბავშვობა დასრულდა, მაგრამ ცხოვრება გრძელდება!“.

კონცერტი შეასრულა ნიჭიერმა პიანისტმა თამარ ლიჩელმა. ბოლო წლებში ეს პიროვნება ქართული მუსიკის მხურვალე გულშემატკივარი გახდა და ქვეყნის მუსიკალურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. იგი არაერთი ახალი ქართული ოპუსის პირველი შემსრულებელია, მათ შორის, ფელიქს ლენოტის ურთულესი სიმფონია-კონცერტისა. იგი გახდა თავისი პედაგოგისა და სათაყვანო კერპის, პროფ. ვიზი ამირეჯიბის სახელობის ფესტივალის დამაარსებელი და მის შესახებ დანერგილი პირველი წიგნის ავტორი-შემდგენელი.

პუბლიკის მოთხოვნით, რომელმაც კარგად შეაფასა ლიჩელის გამოსვლა, პიანისტმა „ბისზე“ სულხან ცინცადის საოცარი გემოვნებით შექმნილი ოთხი პრელუდია შეასრულა. ეს ჟესტი შეიძლება ერთგვარ ანონსადაც მივიჩნიოთ, რადგანაც, 2015 წელი დიდი კომპოზიტორის საიუბილეო წელია და ვიმედოვნებთ, მას რამდენიმე სპეციალური საღამო მიეძღვნება.

კონცერტის მომზადებაში ლომის წილი შეიტანა დირიჟორმა რევაზ ტაკიძემ, რომელიც ქართული მუსიკის არაერთი ახალი ოპუსის პირველი შემსრულებელია.

განხილულმა კონცერტმა ქართულ თანამედროვე მუსიკაში მიმდინარე საინტერესო პროცესები გამოამხეურა. მან აჩვენა, რომ დღეს მოღვაწე ქართველი კომპოზიტორების ინტერესები მსოფლიო მუსიკის ტენდენციებს სინქრონულად ერწყმის და ახალი კონცერტის მოლოდინის სასიამოვნო გრძნობით ავგავსო. ■

2014 წლის თბილისის საკონცერტო მუსიკალური ცხოვრება, ტადიციულად, ამჯერად უკვე მე-17-ედ, „საერთაშორისო საახალწლო მუსიკალური შეხვედრებით“ დასრულდა. ფესტივალში მონაწილეობდნენ საერთაშორისო დონის მუსიკოსები: ჩაიკოვსკის, ვენიავსკის, სიბელიუსის სახელობის საერთაშორისო სავიოლინო კონკურსების პირველი პრემიის ლაურეატი, არაჩვეულებრივი მევიოლინე ნიკიტა ბორისოვლებსკი, საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ჩელისტი გიორგი ხარაძე, პიანისტები: საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი ილია კონდრატიევი და მსოფლიო ვარსკვლავი – ბორის ბერეზოვსკი; აგრეთვე ჯამ-ტრიო შვეიცარიიდან – „ვეინ ტრიო“. ტრადიციულად ერთი საღამო ფოლკლორს დაეთმო – მსმენელთა წინაშე წარსდგა ანსამბლი „იმერი“ (ხელმძღვანელი რობერტ გოგოლაშვილი), საგუნდო მუსიკის კონცერტში კი – კონსერვატორიის მაგისტრატურის კამერული გუნდი; ვოკალური მუსიკის საღამო კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილის დაბადებიდან 90 წლისთავს მიეძღვნა, რომელშიც მონაწილეობდნენ მსოფლიო საოპერო სცენის ქართველი ვარსკვლავები: ქეთევან ქემოკლიძე, თეონა დვალი, სალომე ჭიჭია, გია ონიანი, სულხან გველეხიანი. ფესტივალში მონაწილეობდა თბილისის კამერული ანსამბლი „საქართველოს სინფონიეტა“ და თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სიმფონიური ორკესტრი, დირიჟორები – დავით კინწურაშვილი და ზაზა ამბაიფარაშვილი.

უთახაჭდილაბები ფასტივალიდან

ნარგიზა გარდაფსაძე

ხანუკის სანთლებით დამშვენებული საღამო

23 დეკემბერს „საახალწლო მუსიკალურ ფესტივალზე“ კამერული მუსიკის დღე იყო. გამოდიოდნენ საქართველოს კამერული ორკესტრი, „საქართველოს სინფონიეტა“ და სოლისტი, ვიოლონჩელისტი გიორგი ხარაძე. ეს კონცერტი განსხვავებული იყო იმით, რომ მიეძღვნა გამოჩენილი ებრაელი დირიჟორის, რუდოლფ ბარშაის 90 წლისთავს.

ვინ იყო რუდოლფ ბარში? დღეს, გარდა პროფესიონალებისა, ცოტამ თუ იცის ეს მუსიკოსი. ამ კონცერტის იდეა მუსიკოლოგ მარიამ (მანანა) დავითაშვილს ეკუთვნის.

მანანა დავითაშვილი: „სრულიად შემთხვევით, ჩემი ახლობლისგან, რომელიც ევროპაში ცხოვრობს, გავიგე რუდოლფ ბარშაის საიუბილეო თარიღის შესახებ. შემდეგ გავეცანი დოკუმენტურ ფილმს ამ მუსიკოსზე, რომელიც მისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში იყო გადაღებული. ამ ფილმმა და მასში მოთხრობილმა მოგონებებმა აღმიძრა სურვილი, რომ უფრო ფარ-

თო საზოგადოებისთვის გამეცნო იგი. დავუკავშირდი „საქართველო სინფონიეტას“ და აღმოჩნდა, რომ მათ გააჩნდათ რ. ბარშაის მიერ კამერული ორკესტრისათვის გაორკესტრებული მოსტაკოვიჩის მე-8 კვარტეტის ნოტები. ეს უკვე იმედის მომცემი იყო. შემდეგ, თანადგომისათვის, მივმართეთ ისრაელის საელჩოს. ამაში კი, ჩვენ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ფონდის გენერალურმა მენეჯერმა, ლამა ჟვანია გვიშუამდგომლა. პარიზში მცხოვრებმა სახელოვანმა ქართველმა ვიოლონჩელისტმა, გიორგი ხარაძემ გამოთქვა მზადყოფნა ამ კონცერტში მონაწილეობისათვის. საბოლოოდ, „საახალწლო მუსიკალური ფესტივალის“ სამხატვრო ხელმძღვანელმა, ქალბატონმა მანანა დოიჯაშვილმა ჩართო ჩვენი პროექტი საფესტივალო პროგრამაში. ჩემი იდეა გულისხმობდა არა მარტო მუსიკალური ნომრებისგან შემდგარ საღამოს, არამედ რ. ბარშიზე დოკუმენტური ფილმის ფრაგმენტების ჩვენებასაც. ვადაწყდა, რომ საკონცერტო დროის თითქმის ერთი მესამედი სწორედ ფილმის ჩვენებას უნდა დაეკავებინა, რამაც, ჩემი აზრით, კარგი შედეგი გამოიღო!“

ვინ იყო რუდოლფ ბარში და რატომ იყო მნიშვნელოვანი მისი გაცნობა მაყურებლისათვის? მოსტა-

კოვიჩის და პროკოფიევის თანამედროვე ბრწყინვალე მუსიკოსმა, რ. ბარშაიმ სსრკ-ში პირველმა ჩამოაყალიბა კამერული ორკესტრი და ათწლეულობის განმავლობაში მისი ხელმძღვანელი იყო. მოგვიანებით, მისი გავლენით საქართველოსა და ლიტვაში შეიქმნა კამერული ორკესტრები. ის ბევრს მუშაობდა კამერული ორკესტრის რეპერტუარის გამდიდრებაზე და უამრავი ცნობილი ნაწარმოები გააორკესტრა ამ შემადგენლობისათვის. საბჭოთა რეჟიმის გაუსაძლის წლებში ხელი არ მოაწერა ისრაელის წინააღმდეგ მიმართულ ნოტას და იძულებული იყო ემიგრაციაში წასულიყო. აქედან იწყება მისი, როგორც დირიჟორის, დიდების წლები ევროპის საუკეთესო ქალაქებში. თავისი წარმატებული კარიერის ყველაზე დიდ მიღწევად ბარშაის ორი რამე მიაჩნდა: ბახის „ფუგის ხელოვნების“ დაუმთავრებელი ბოლო ნაწილის დასრულება და მალერის ასევე დაუმთავრებელი, მეათე სიმფონიის დასრულება. დოკუმენტურ ფილმში მუსიკოსი საოცრად საინტერესო, იუმორით აღსავსე მთხრობელად წარმოგვიდგება. არაჩვეულებრივად იგონებს თავის თანამედროვეებს: დ. ოისტრახს, დ. შოსტაკოვიჩს, ს. რიხტერს მ. იუდინას და სხვებს.

აქვე უნდა ვახსენო, რომ ამ კონცერტის რეჟისურაში მანანა დავითაშვილთან ერთად თქვენი მონა-მორჩილიც მონაწილეობდა. კონცერტის დრამატურგია ჩვენ შემდეგნაირად დავალაგეთ: დასაწყისში ფრაგმენტი ფილმიდან, სადაც რ. ბარშაი ის ბახის დაუმთავრებელი „ფუგის ხელოვნების“ ისტორიას იგონებს. ამასთან დაკავშირებით კი ძალიან საინტერესო მოგონებებია ფილმში დ. შოსტაკოვიჩზე. შემდეგ შესრულდა შოსტაკოვიჩის მე-8 კვარტეტი, გაორკესტრებული კამერული ორკესტრისათვის რ. ბარშაის მიერ. პირველი განყოფილების დასასრულს კი ისევ ფრაგმენტი ფილმიდან, სადაც რ. ბარშაი იგონებს მის მიერ მალერის მე-10 სიმფონიის დასრულების ძალზე საინტერესო ისტორიას.

მეორე განყოფილებაში მონაწილეობდა ვიოლონჩლისტი ვიორგი ხარაძე, რომელმაც შესრულა ჰაიდნის კონცერტი დო მაჟორი და ვაჟა აზარაშვილის კონცერტი. ფინალში კი ისევ უნდა გავკეშვა ფრაგმენტი დოკუმენტური ფილმიდან, რომლითაც მთელი საღამო დასრულდებოდა. ეს უკანასკნელი ფრაგმენტი ძალზე



რამონ ბარშაი

ემოციური გამოვიდა: ფილმში რ. ბარშაი იგონებს მეორე მსოფლიო ომის პერიოდს, როდესაც მუსიკოსები ჰოსპიტალებში, თავიანთი ხელოვნებით ამხნევედნენ მეომრებს. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიების დროს იგი შეხვდა ახალგაზრდა ქართველ ჯარისკაცს, რომელიც სასიკვდილოდ იყო დაჭრილი. მან სთხოვა მუსიკოსს „სულიკოს“ შესრულება. ბარშაი იხსენიებს „სულიკოს“, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთ ულამაზეს მელოდიას. ამ ფრაგმენტის შემდეგ სცენაზე მჯდარმა ორკესტრმა ცოცხლად შეასრულა „სულიკო“, ხოლო ეკრანზე კი ამ დროს ბარშაის სიცოცხლის უკანასკნელი სურათები ენაცვლებოდა ერთმანეთს. ამ ჩვენებამ დიდი ემოციური მუხტი შეიტანა მთელი კონცერტის მსვლელობაში, დასასრულს მაყურებელი ვერ მალავდა თავის კმაყოფილებას.

რასაკვირველია, კონცერტის წარმატებაში უდიდესი როლი თავად მუსიკოსებს მიუძღოდათ. „საქართველოს სინფონიეტამ“ იმ საღამოს, როგორც ყოველთვის, ბრწყინვალედ გააჟღერა შოსტაკოვიჩის ძალზე ტრაგიკული, მე-8 კვარტეტი. ასევე თავი ისახელა ვიოლონჩლისტმა, ვიორგი ხარაძემ. ვიორგი დღეს პარიზში,



ბასტილიის ოპერის წამყვანი ჩელისტია. ამ პოზიციაზე მან 70 კონკურენტს შორის გაიმარჯვა. მისი ბიოგრაფია სახესა საკონკურსო გამარჯვებებითა და სახელოვან მუსიკოსებთან და ორკესტრებთან თანამშრომლობით. მათ შორის, ალბათ, ძალზე საპატიო ჯილდოა ბეთჰოვენის ბეჭედი, რომელიც მას ბონში, ბეთჰოვენის ფესტივალზე გადაეცა, როგორც საუკეთესო მონაწილეს.

გიორგი ძალიან ემოციური მუსიკოსია, თუმცა გარეგნულად ყოველთვის მშვიდი და განონასწორებული. ჰაიდნის კონცერტი მან ახალგაზრდული ცეცხლოვანებით დაასრულა. შემდეგ კი დიდი სიყვარულით შეასრულა ვაჟა აზარაშვილის კონცერტი. დიდი სიყვარული ავტორმა იმთავითვე ჩადო ამ ნაწარმოებში. ეს კონცერტი 1961 წელს დაინერა და კომპოზიტორმა ის თავის მამის ხსოვნას მიუძღვნა. მსტილავ როსტროპოვიჩს ისე მოსწონებია იგი, რომ უთხოვია აზარაშვილისთვის: „მე მომიძღვენი ეს კონცერტი და მთელს

მსოფლიოში დავუკრავო!“ რაზეც ვაჟა აზარაშვილმა უარით უპასუხა: „მე უკვე მამის ხსოვნას მივუძღვენი“. ამის შემდეგ როსტროპოვიჩმა უპასუხა, რომ თანამედროვე კომპოზიტორებიდან ის მხოლოდ იმ ნაწარმოებებს ასრულებს, რაც მას ეძღვნება. ვაჟა აზარაშვილის ეს კონცერტი წარმატებული საკონცერტო ცხოვრებით ცხოვრობს დღესაც. ეს 23 დეკემბრის საღამოზე დადასტურდა. მელოდიური მუსიკა, მღელვარე გულწრფელი დრამატიზმით სახეს კონცერტი ძალზე აქტუალურ და მგზნებარე ქმნილებად წარმოჩინდა იმ დღეს. აუდიტორიამ დიდი პატივი მიაგო გიორგი ხარაძესაც და რასაკვირველია, თავად კომპოზიტორსაც. უნდა აღინიშნოს, რომ იმ საღამოს საპატიო სტუმრებს შორის იყო აგრეთვე სპეციალურად ამ კონცერტისთვის, შვეიცარიიდან თბილისში ჩამოსული ელენა ბარშაი, რუდოლფ ბარშაის ქვრივი. ქ-ნი ელენა კონცერტის დასასრულს კმაყოფილებას ვერ მალავდა:

ელენა ბარში: „ძალიან დიდი მადლობა ორგანიზატორებს რუდლოვ ბარშიის მოგონებისთვის. ბრწყინვალე კონცერტი შედგა! ვფიქრობ, რომ აქ ნაჩვენები ფილმის ფრაგმენტები ისე იყო დამონტაჟებული, რომ ცალკე ფილმის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მე ძალიან ბევრ შესანიშნავ კონცერტზე ვარ ნამყოფი და მინდა ვთქვა, რომ ასეთ თბილ და ემოციურ საღამოს პირველად დავესწარი!“

კმაყოფილი დარჩა კონცერტის მხარდამჭერი ისრაელის საელჩოც. 24 დეკემბერს ხანუკის დღესასწაული სრულდებოდა. მათი თხოვნით ბოლო დღის სანთლების დანთების რიტუალი კონსერვატორიის დიდი დარბაზის ჰოლში გაიმართა. იმ საღამოს ქართული ებრაული დისპორის ბევრი წარმომადგენელი დაესწრო.

ვფიქრობ, რომ 2014 წლის 23 დეკემბრის საღამო ქართველი და ებრაელი ხალხის 26 საუკუნოვანი მეგობრობის საიუბილეო წლის კარგი დასკვნითი წერტილი იყო.

დაუვინყარი კონცერტით ვალამაზებუღი ახალი წლის მოლოდინი

წლეგანდელი მე-17 „საერთაშორისო საახალწლო მუსიკალური შეხვედრები“ ბორის ბერეზოვსკის კონცერტით დაიხურა.

თბილისელებს უყვართ ბერეზოვსკი და მისი კონცერტი ყოველთვის ანშლავით მიმდინარეობს.


ეს კონცერტი ბორის ბერეზოვსკის მეხუთე გამოსვლა იყო საქართველოში, ხოლო „სახალწლო ფესტივალზე“ ის მესამედ მონაწილეობდა. პუბლიკა ყოველთვის რაღაც უჩვეულოს მოლოდინშია ამ მუსიკოსთან შეხვედრისას. ჯერ იყო და ერთ-ერთ თავის პირველ ჩამოსვლაზე, ლისტის სონატის დაკვრის დროს, თურმე უეცრად გაჩერდა და გამოაცხადა, რომ ამის შემდეგ აღარ აინტერესებს დაკვრა. დარბაზი იმდენად მონუსხული ყოფიღა მისი შესრულებით, რომ ასეთი „გამოხტომაც“ აპატია და შემდეგ ჩამოსვლაზე კიდევ უფრო აჟიტირებული ელოდებოდა მუსიკოსს. 2011 წელს მეც გახლდით მის სოლო კონცერტზე. ამ კონცერტმა უკვე ექსკეების გარეშე ჩაიარა და ბერეზოვსკიმ საბო-

ლოოდ შეაყვარა თავი თბილისელ მელომანებს. მაშინ მან ბისზე ვ. რეზიკოვის ვალსი შესრულა ოპერიდან „ნაძვის ხე“ (ანდერსენის ზღაპრის მიხედვით). თან წარუმიღვარა სიტყვები: „ახლა მე დავუკრავ მსოფლიოში უღამაზეს მელოდიას, ესაა ვ. რეზიკოვის „ვალსი“. რამდენად ობიექტური იყო პიანისტი ამ მელოდიის შეფასებისას, არ ვიდავოთ, მაგრამ მისმა მაშინდელმა შესრულებამ ეს ვალსი მართლაც მსოფლიოში საუკეთესო მელოდიად გადააქცია. ქრომატიული პარალელური კვარტებით გამოხატული მთავარი თემა თითქოს ანდერსენის ზღაპრიდან გვეწვია და ყინულის კრისტალებით იმსხვრეოდა. ამ პიესამ მართლაც საახალწლო, ჯადოსნურ ბავშვობაში დავგაბრუნა. გამოგიტყდებით და მეც მომინდა მისი დაკვრა; ინტერნეტით მოვიპოვე ნოტები და ჩემს მოკრძალებულ რეპერტუარში ჩავსვი. ამ ვალსს ზოგჯერ საახალწლოდ, მეგობრებისთვის ვასრულებ. აი, ასეთი მომნუსხველი იყო ის შესრულება და ალბათ, არა მარტო ჩემთვის.

2014 წელსაც ბერეზოვსკის კონცერტზე ყველა ბილეთი გაყიდული იყო. უჩვეულობის მოლოდინი უკვე გამართლდა იმით, რომ ბერეზოვსკიმ სულ ერთი დღით ადრე შეცვალა პროგრამა, ამოიღო ბუკლეტში დაბეჭდილი ბახ-ლისტის საორგანო პრელუდია და ფუგა. პირველ განყოფილებაში შესრულდა მხოლოდ დებიუსის ორი პიესა „სახეებიდან“: „ანარეკლი წყალში“ და „მოძრაობა“. შემდეგ დებიუსის ექვსი პრელუდია (რვეულიდან №1) და რახმანინოვის ხუთი ეტიუდი-სურათი, მეორე განყოფილება კი მთლიანად დაეთმო პეტრე ჩაიკოვსკის: ვარიაციები ფა მაჟორი, „დუმკა“ და 6 პიესა ციკლიდან „წელიწადის დრონი.“ შესაბამისად, პროგრამიდან ამოვარდა ადრე გამოცხადებული ს. რახმანინოვის სონატა №2. რასაკვირველია, თბილისელებმა „აპატის“ ეს ცვლილებები ბერეზოვსკის. არა აქვს მნიშვნელობა პიანისტი რას მოიმოქმედებს, ისინი მას უკვე ყველაფერს პატიობენ – ის ხომ უკვე მათი გულთამყრობელი გახდა.

დებიუსის და რახმანინოვის, ერთი ეპოქის განსხვავებული კომპოზიტორების, ერთ განყოფილებაში შესრულება ცოტა სარისკოა პიანისტისათვის, მაგრამ არა ბერეზოვსკისათვის. დებიუსის „ანარეკლები წყალზე“ პიანისტებს განაწყობს ხოლმე ბუნების იმპრესი-

ონისტული ცვრეტისკენ. მან კი უარყო ყოველგვარი სურათით ტკბობა, დინამიურობით გაავსო ეს მუსიკა. „ანარაკელებიც“ და დებიუსის დანარჩენი პიესები ძა-



გიორგი ხარაძე

ლიან უშუალოდ, ზედმეტი თვითცვრეტის გარეშე, ძალიან ინტიმურად დაგვიკრა. ბერეზოსკის უკიდევანო ფიზიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით, უფრო დასაფასებელია მისი უნაზესი პიანისიმო, როდესაც გრძნობ, რამხელა ფორტისიმოს პოტენციალი აქვს მის დიდ ხელებს და რარიგ ფაქიზად ექცევა ის კლავიატურას პიანისიმოს დროს, ანუ როგორ განსხვავებულად გამოსდის მას ზოგადად სინაზე. მისი ინტერპრეტაცია განსხვავებულია ყველაფერში. არ ვიცი რით აიხსნება ეს კონკრეტულად. იქნებ ამის ასახსნელად მისი ინტერვიუ მოვიშველიოთ, რომელიც მან პეტერ-ბურგის ტელეარხთან ჩანერა. ჟურნალისტი ეკითხება: „კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ თქვენს შესრულებაში ნაკლებია პირადი დამახაურება. ესაა მხოლოდ თქვენი მოტორიკა და ფსიქო-ფიზიკური თავისებურებები“,

ბერეზოსკი პასუხობს: „კი, ალბათ, მართალია! ჩემი უპირატესობა იმაშია, რომ მე არაპროფესიონალი ვარ. მე არ ვარ წინააღმდეგი პროფესიონალიზმის; ალბათ, მეც მივალ ოდესმე იქამდე, მაგრამ პროფესიონალების კონცერტზე, მე პირადად, ყოველთვის მწყინდება“. იქვე აზუსტებს ვის გულისხმობს პროფესიონალ პიანისტებში: ძველი მუსიკოსებიდან ესენია – იუდინა, სოფრონიცკი. კი, ის მათ თაყვანს სცემს, რასაკვირველია, მაგრამ... თანამედროვეთა დასახელებისაგან კი ბერეზოსკიმ ტაქტიანად თავი შეიკავა. ალბათ, თავის არაპროფესიონალიზმში ხუმრობით არა მარტო იმას გულისხმობს, რომ მას მოსკოვის კონსერვატორიამ თავის დროზე, დიპლომის მინიჭებაზე უარი უთხრა. ბერეზოსკი იმ წელს (1990) მონაწილეობდა ჩაიკოვსკის კონკურსში, რის გამოც ვერ გავიდა სახელმწიფო გამოცდაზე. ჩაიკოვსკის კონკურსზე მან ოქროს მედალი მოიპოვა და შემდეგ კომისიას სთხოვა, რომ კონკურსზე გამოსვლა მისთვის სადიპლომოდ ჩაეთვაღათ, რაზეც კონსერვატორიისგან უარი მიიღო. ასეა თუ ისე, ბერეზოსკი ისე გახდა შემდგომში აღიარებული პიანისტი, რომ კონსერვატორიის დიპლომი აღარც აუღია. ალბათ, თავის არაპროფესიონალიზმში ის თავის განსხვავებულ, უჩვეულო ინტერპრეტაციებს გულისხმობს. ამიტომაცაა, რომ მის კონცერტზე მისული მაყურებელი შინაგანად ყოველთვის რაღაც უჩვეულოს მოლოდინშია.

რახმანინოვის ეტიუდ-სურათებშიც ბერეზოსკიმ გაამართლა თავისი „არაპროფესიონალიზმით“. დინამიზმით, რომელიც მას ასე კარგად გამოსდის, ალევრო კონ ბრიოთი და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მოტორიკით გაფერადებული სურათები ენაცვლებოდა თავშეკავებული ლირიზმის ეპიზოდებს. თუ ვინმეს რახმანინოვი იქამდე არ უყვარდა, ამ კონცერტის შემდეგ ის ნამდვილად მისი ფანი გახდებოდა.

მეორე განყოფილება ბორის ბერეზოსკიმ მთლიანად ჩაიკოვსკის მიუძღვნა. ყველაფერი რაც ითქვა დებიუსისა და რახმანინოვზე, შეიძლება მივუსადაგოთ იმ სადამოს მისეულ ჩაიკოვსკის ინტერპრეტაციასაც. გამოსახვის საშუალებების კონტროლი ლირიკულ ეპიზოდებში, უარი ზედმეტ რომანტიზმზე და ამავე დროს, დრამატული მომენტების კოსმოსური მასშტაბი.

ჩაიკოვსკის ვარიაციებიც და „დუმკაც“ მსმენელის-



პონსვარტის შვილები. პონსვარტის ჩავლივივილი, გიორგი ქველაშვილი, მანანა ღვინთაშვილი, გიორგი ხარაძე, ელენა ზარაძე, ნარგიზა გარდაშვილი

გან საკმაო ინტელექტუალურ დაძაბვას მოითხოვს. ამ მასშტაბური მუსიკალური პლასტებისგან მაყურებელი არ დადღივდა. ჩვენ დიდი ინტერესით ვუსმენდით საკონცერტო დრამის ბოლომდე განვითარებას.

ახალი პროგრამის ბოლო ნომრად პიანისტმა ჩაიკოვსკის „ნელინადის დრონიდან“ ექვსი პიესა დაუკრა: თებერვალი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი და დეკემბერი.

არაჩვეულებრივი ვირტუოზობით დაკრულ ხუთ პიესას შორის ელევური „ოქტომბერი“ ბრილიანტივით მოექცა ჩარჩოში. ელევია ვახსენე, მაგრამ მას ამ უნარიდან მარტო თხოვრის მანერა ჰქონდა. პიესა საოცარი ინტიმური გრძობების გაზიარებას ჰგავდა, ყოველგვარი სენტიმენტალურობის გარეშე. ერთი სიტყვით რომ გამოვხატოთ ბერეზოვსკის იმდამინდელი კონცერტის განწყობა, ეს იყო გულწრფელობა. ის არ არის, და იმე-

და, ვერც იქნება ვერასდროს კლიშეების მსხვერპლი. თუ პიანისტი ამას გულისხმობს თავის არაპროფესიონალიზმში, მაშინ უნდა მივესალმოთ ასეთ არაპროფესიონალებს.

ჩაიკოვსკის „დეკემბერი“, ანუ „შობის ღამე“ საახალწლო პროგრამის ნამდვილად კარგი წინასაღმართო დასასრული იყო. დარბაზის ოვაციები ბისის მოლოდინით იყო სახსე. მე პირადად გულში ისევ ვრეპიკოვის ვალსის – „ნაძვის ხის“ მოლოდინში ვიყავი, მაგრამ ბერეზოვსკიმ ყველა გაგვაოცა, როდესაც ბისზე შემოგვთავა ჩაიკოვსკის „საბავშვო ალბომიდან“ სამი პიესა: „გერმანული სიმღერა“, „ნეპოლიტანური ცეკვა“ და „ტკბილი ოცნება“. ასეთი დიდი ხელოვანის მიერ პირველ-მეორე კლასელების რეპერტუარის შესრულება მიმანიშნებელი იყო, რომ წინასაახალწლოდ მუსიკოსი ცდილობდა ყველანი დავებრუნებინეთ იმ სა-



ზორის ბაგდასარიანი

ბავშვო და ზღაპრულ სამყაროში, საიდანაც ჩვენ ყველანი მოვდივართ.

როგორც ვითხარით, დარბაზი გადაჭედილი იყო და ბევრ ადამიანს მთელი კონცერტის განმავლობაში ფეხზეც მოუნია დგომა. ზუსტად „ნეპოლიტანური ცეკვის“ დროს, ვილაც ფეხზე მდგომს გული შეუნუხდა. ხალხი ეცა გულწასულს მოსაბრუნებლად, მაგრამ ამან ვერ შეანელა მსაყურებლის ინტერესი მთელი კონცერტის

კულმინაციური მომენტისადმი.

ვერ აღვინერო როგორი სიმარტივით, ნონ-ლე-გატოზე, როგორც ბავშვებს სჩვევიათ და ამავე დროს სიბრძნით და სიყვარულით შეასრულა ბერეზოვსკიმ ეს სამივე პატარა ნაწარმოები. დასასრულს დარბაზი აუოტაჟისგან თავს არ იკავებდა.

არ ვიცი რატომ, მაგრამ იმ საღამოს მეორე ბისი არ შედგა. შესაძლოა ჰიანისტმა იგრძნო, რომ ემოციებისგან დაცლილი მსაყურებლისთვის ეს საკმარისი იქნებოდა, მაგრამ როგორც შემდგომში შევითქვე, ბერეზოვსკის, თბილისში ჩამოსვლამდე, 26 დეკემბერს, ზუსტად იგივე პროგრამა შეუსრულებია პეტერბურგში. შემდეგ კი ბისზე ჯერ დაუკრავს ჩაიკოვსკის საბავშვო ალბომიდან იგივე სამი პიესა და მეორე ბისზე კი რებიკოვის ვალსი – „ნაძვის ხე“.

რა გაეწყობა, მე ამ ბისს შემდეგ „სახალწლო მუსიკალურ შეხვედრებზე“ დაველოდები.

ახალი წელი, თავისი ჯადოსნური ხიბლით, ჩემთვის ბერეზოვსკის კონცერტითა და ამ ბისით იქნება ბოლომდე გალამაზებული.

P.S. ფესტივალი „სახალწლო მუსიკალური შეხვედრები“ კარგა ხნის ჩავლილი იყო, რომ სასიხარულო ინფორმაცია მოგვივიდა: „საქართველოს სინფონიეტას“ მევიოლინე, ია დავითაშვილი ჩაირიცხა ზალცბურგის „მოცარტეუმის“ უნივერსიტეტის მაგისტრატურაში. მაგრამ, სამწუხაროდ, სწავლების 2 წლის გადასახადი, 10000 ევრო, იამ საქართველოში ვერ მოიპოვა – ვერც სახელმწიფო და ვერც კერძო სტრუქტურებში. მანანა დავითაშვილმა, რომელიც „სინფონიეტას“ დიდი ქომაგია, რჩევისათვის დაურეკა შვეიცარიაში ელენა ბარშაის – იქნებ ქ-ნ ელენას სცოდნოდა რაიმე ფონდი, რომელიც ნიჭიერ მუსიკოსებს ეხმარება. რაოდენ დიდი იყო მანანას გაოცება, როდესაც ქ-მა ელენამ თავად შესთავაზა დახმარება ნიჭიერ ქართველ მევიოლინეს და სწავლების პირველი წელი მთლიანად დაუფინანსა! თან ელენა ბარშაის დაუმატებია: „სინფონიეტას“ მუსიკოსებმა თბილისში კარგად დაუკრეს და ეს საღამო არასდროს დამავიწყდება! ოღონდ, ია ისეთივე შრომისმოყვარე უნდა იყოს, როგორც ჩემი მეუღლე, რუდოლფ ბარშაი იყო!“

ეს სასიხარულო ამბავი ჩვენთვის დეკემბერში ჩატარებული კონცერტის კიდევ ერთი, დადებითი გამოცხადი გახდა! უნივერსიტეტი ია დავითაშვილს 15 მარტამდე აცდიდა გადასახადის მოძიებას, თუ არადა, ის გაირიცხებოდა. ახლა თებერვლის ბოლოა. ელენა ბარშაის ჩართვამ სულზე მოუსწრო ია დავითაშვილს. ის პირველი ქართველი მევიოლინე იქნება, ვინც ევროპის ამ საპატიო უნივერსიტეტში ისწავლის. მაღლობა ელენა ბარშაის ერთი ნიჭიერი ქართველი მევიოლინეს გზის გაკვლევისათვის!

დიდ კომპოზიტორთან შეხვედრის სიხარული

თაბარ ნულუკიძე

დასრულდა „სახალწლო მუსიკალური შეხვედრები“, ფესტივალი, რომელიც უკვე მეჩვიდმეტედ იმართება და თანდათან უფრო საგრძნობი ხდება მისი საჭიროება. იგი, მძაფრი მუსიკალური შთაბეჭდილებებით, ძველი წელიწადის გაცილების და ახალთან შეგებების საშუალებას იძლევა.

მე პირადად, სამწუხაროდ, სრულად ვერ დავესწარი ფესტივალს, მაგრამ ბედნიერება მხვდა წილად დავსწრებოდი რამდენიმე კონცერტს. თითოეული ღირებული და ერთმანეთისგან განსხვავებული გახლდათ. განსაკუთრებული ემოციები აღძრა საღამომ, რომელიც დაეთმო ოთარ თავთაქიშვილის მუსიკას. იგი მიეძღვნა კომპოზიტორის დაბადებიდან 90 და გარდაცვალებიდან 25 წლისთავს. ამაღლებული განწყობა შექმნა ყველაფერმა ერთად — ეს იყო ახალი წლის მოლოდინი, საერთაშორისო ფესტივალი და საზეიმო განწყობა გადმოცემული ქართველი კომპოზიტორის მუსიკით და ქართველი, წარმატებული შემსრულებლების მიერ.

საერთოდ, საავტორო კონცერტი ყოველთვის არის საფილდაო ქვა კომპოზიტორის შემოქმედებისა, თუ როგორ იურთიერთებს მსმენელი ერთი საღამოს განმავლობაში ერთი კომპოზიტორის სამყაროსთან. ოთარ თავთაქიშვილის სიცოცხლეში მისი საავტორო კონცერტები ყოველთვის დღესასწაულად იქცეოდა ხოლმე. მთავარი, რასაკვირველია, მუსიკა გახლდათ, მაგრამ ამ დროს ზეანულ გარემოს მაინც ამძაფრებდა თვით კომპოზიტორი, თავისი განუმეორებელი ხიბლით, დირიჟორის ან პიანისტ-კონცერტმასტერის ამპლუაში და ამ დროს თავთაქიშვილის მუსიკითა თუ პიროვნებით მონუსხულ მსმენელს სადღაც შეიძლება გასჩენოდა კითხვა — რა შთაბეჭდილების მომხდენი იქნება ეს ყველაფერი გარკვეული დროის შემდეგ?...

ისე კი ამ საღამოსაც თან სდევდა კომპოზიტორის შთაგონებული სილუეტი სლაიდების შემწეობით და სწორედ იმ სიტყვებით, რომლითაც ეს მრავალმხრივ განსწავლული პიროვნება გამოხატავდა თავის მენტალობას ეროვნულ მუსიკასთან, ქართული ხალხური მუსიკის წიაღთან მიმართებაში.

და აი, როდესაც უკვე 25 წელია გასული კომპოზიტორის გარდაცვალებიდან, მისი შემოქმედების შეფასება უკვე სათანადო მსაჯულს, დროს ეკისრება...

სწორედ დროის დისტანციიდან აღქმის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო ვოკალური ციკლის — ხუთი ჰოემა გალაკტიონ ტაბიძის ლექსების მიხედვით — შესრულება. ეს კომპოზიტორის ერთ-ერთი ადრეული ნაწარმოებია, რომელმაც იმთავითვე მოიპოვა აღიარება და კიდევ დამკვიდრდა ისეთი დიდი მომღერლების რეპერტუარში, როგორებიც არიან — ცისანა ტატიშვილი, ირინა არხიზოვა, მედეა ამირანაშვილი. ეს ციკლი, აღსავსე მოზღვავებულ გრძნობათა ჭიდილით, სადაც დიდი ჰოეტის ლექსების თანმიმდევრობა ლირიკულ, დრამატულ, ტრაგიკულ, ფილოსოფიურ სანყისების მონაცვლეობად არის გააზრებული, შემსრულებლისაგან დიდ პოტენციალს მოითხოვს. ამ საღამოს შემსრულებლის — ქეთევან ქემოკლიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან არა მხოლოდ დასძლია მნიშვნელოვანი ამოცანა ციკლის სირთულიდან გამომდინარე, მის ინტერპრეტაციაში არსებული კონტრასტები უკიდურესი დაძაბულობის ველში იქნა გატარებული და ამით დღევანდელ პულსაციასთან იქნა მიახლოებული. გამძაფრებულად იქნა მოწოდებული კონცეფცია — სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლის იდეა — გალაკტიონის ჰოეზითა და თავთაქიშვილის მუსიკით გადმოცემული.

აქ, ცხადია, მნიშვნელოვანი იყო დირიჟორის როლი, თითოეული მუსიკალური ნომრისა და მათი ურთიერთმიმართების ტემპო-რიტმული გააზრებისას. საერთოდ, ზაზა აზმაიფარაშვილისათვის თავთაქიშვილის მუსიკა ბავშვობიდან გახდა მახლობელი მისი მამის წყალობით. დირიჟორ გივი აზმაიფარაშვილის მოღვაწეობაში დიდი ადგილი ეკავა თავთაქიშვილის ნაწარმოებებს და ეს სწორედ რომ იგრძნობა მისი ვაჟის შესრულებაში, გატაკებით, სიფაქიზით აღსავსე მიდგომაში. ამ შესრულებამ კი დავგარნმუნა ვოკალური ციკლის — გალაკტიონ ტაბიძის ლექსების მიხედვით სიცოცხლისუნარიანობაში, დროსთან შესატყვისობაში.

კონცერტზე შესანიშნავად აჟღერდა არიები თავთა-

თბილისი ვ. სარაქიშვილის სახ. სახელმწიფო

**კონსერვატორიის
დიდი ღარიანი**

თბილისი, 0108, გრიბოედოვის 8

**CONSERVATOIRE
GRAND HALL**

V. Sarajishvili Tbilisi State
8 Griboedov st., Tbilisi 0108, Georgia

TEL: +99532292446, 934624, 977976; TEL FAX: +99532292447; E-mail: grandhall@conservatoire.edu.ge
www.conservatoire.edu.ge

15-28 დეკემბერი, 2014
XVII საერთაშორისო ფსონიკალი
სანახლწლო მუსიკალური შეხვედრები

ფსონიკალის მისარამბიკები:

27 დეკემბერი, შაბათი, 19.30

ვოკალური მუსიკის კონცერტი

ქელენება ოთარ თაქთაქიშვილის დაბადებიდან 90 წლისთავს



მონანილოზენ:
ქათივანე ქათიოქლიძე, სალომე ჯიქია, თათონა დვალდი,
გიორგი ონიანი, სულხან გაბლასიანი

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის
სახელმწიფო აკადემიური თეატრის ორკესტრი

დირიჟორი – ზაზა აზმაიშვარაშვილი

გილთიბის ფსონი: 15, 12, 8, 5 ლატი

ხელისი იფიღა კონცერტისი დღე დღისა სალომე - 11.00-17.00
კონცერტისი დღე 11.00-20.00 ზმეფესი - 14.00-18.00
ტელ. 2954 624, ა. გრიბოედოვის ქ. 8
class@conservatoire.ge

ქიშვილის ოპერებიდან — „მინდია“, „მთვარის მოტაცება“ — შემსრულებლებად წარმოგვიდგენენ უკვე სახელგანთქმული ახალგაზრდა ქართველი მომღერლები: გია ონიანი, სულხან გველესიანი, სალომე ჯიქია, თეონა დვალი. ამ უკანასკნელმა არტისტული სიკვლეუცითა და სინარჩარით წარმოადგინა მარგარიტას სახე ოპერიდან „პირველი სიყვარული“, რამაც აუდიტორიას შეაგრძნებინა ფაქტობრივად მივინყებუი კომიკური ოპერის ხიბლი და თავისთავადობა.

ოთარ თაქთაქიშვილის — შემოქმედისა და პიროვნების პორტრეტის სრულყოფა იმ საღამოს შეავსო ბატონ ანზორ ერქომაიშვილის შთამბეჭდავმა სიტყვამ მის შესახებ.

კონცერტში, მართალია, არ მონანილოზენდენ უფროსი თაობის მომღერლები, მაგრამ, ალბათ, არ შეიძლება არ ვახსენოთ ისინი, რომელთა საკონცერტო რეპერტუარში თითქმის სულ ჟღერს თაქთაქიშვილის ნაწარმოებები. მათ წილად ხვდათ ბედნიერება თვით ავტორთან შემოქმედებითი ურთიერთობისა და დღემდე მოაქვთ ის გზება და მუხტი, რაც ახლდა ამ ქმნილებების შესრულებას ავტორის სიციცხლეში და რაც

გვძრავს დღემდე.

მართლაც, თაქთაქიშვილის მუსიკა მთელი თავისი სიღრმისეულობით გადაიშალა საოპერო არიების აუღერებისას. ცხადია, ამ საღამოს „აღმოჩენას“ არ წარმოადგენდა არც თაქთაქიშვილის საკომპოზიტორო სტილი, მისი თავისთავადობა; აღმოჩენა არ იყო არც მისი მუსიკალური ენის მრავალნახნაგოვნება, მისი პერსონაჟების ლიტერატურული წარმომავლობა, აკი დიდხანს მნიფდებოდა მათი შესაბამისი ლექსიკა კომპოზიტორის წარმოსახვაში: „მთის ფოლკლორით“ იქნა ნასაზრდოები „მინდია“, რომლის გზის გამკვლავიც ქართულ პროფესიულ მუსიკაში შალვა მშველიძე გახლდათ, ხოლო თავად თაქთაქიშვილის შემოქმედებაში ვოკალურმა ციკლმა ვაჟა-ფშაველას ლექსებზე მოუშადა ნიადაგი.

ასევე დიდხანს იკრებდა კომპოზიტორი შემოქმედებით ძალასა და შთაგონებას კონსტანტინე გამსახურდიას რომანის „მთვარის მოტაცების“ საოპერო ჟანრად ხორცშესხმისათვის. როგორც შემდგომში გამოჩნდა, სწორედ საამისოდ შეება ხალხური მუსიკის ერთი განშტოების, დასავლეთ საქართველოს — სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთის, სვანეთის ფოლკლორულ ძირებს, რის ნაერთმაც მის შემოქმედებით არეალში „კოლხური კანტილენის“ (ა. ნულუკიძის ტერმინი) სახე მიიღო. ამ კონცერტზე კი ურთიერთგანსხვავებული სახეობრივინტონაციური სანყისების აუღერებამ შექმნა მათი ერთგვარი შემკვრელი თაღის არსებობის ილუზია, რომელიც ამ ყველაფერს ერთიან, მონოლითურ სამყაროდ აქვევს. ასე ისახება კომპოზიტორის სტილიც, ან მუსიკალური ენა, რომლის მეშვეობითაც გამოხატავს ავტორი სათქმელს. ეს სათქმელი კი ამოზრდილია ქართული ლიტერატურის, ქართული კულტურის, ფილოსოფიის, შემეცნების, ზოგადსაკაცობრიო საფიქრალის სათავეებიდან და ეხმიანება მარადიულ ფასეულობებს. ამ საღამოს მთავარი „აღმოჩენაც“, ალბათ, იმაში მდგომარეობდა, რომ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, დროის გადასახედიდან არ გახუნებულა, არ გასვლია ყავლი ამ ღირებულებებს, რომ ეს ყველაფერი აღელვებს, აფიქრებს, დღესაც განცდებით აღავსებს მსმენელს.

დასასრულს კი დიდი მადლობა ფესტივალის ორგანიზატორებს, რომ სწორედ წინასახალწლო, საფესტივალო გარემოს ფონზე მოვავნიტეს დიდი კომპოზიტორის სამყაროსთან შეხვედრის სიხარული. ■


შთამბეჭდავი განაცხადი

მასალა მოამზადა **მგია ჯაფარიძემ**

ქართული აკადემიური საგუნდო მუსიკა სათავეს ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისიდან იღებს, მას ყოველთვის დიდი ყურადღება ექცეოდა. უფრო მეტიც უნდა ითქვას, აკადემიურმა საგუნდო შემსრულებლობამ დაუდო სათავე ქართულ პროფესიულ მუსიკას. სხვა რომ აღარაფერი გავიხსენოთ, აღნიშვილისა და რატილის გუნდში აღიზარდნენ ზაქარია და ივანე ფალიაშვილები... თუმცა, გასული საუკუნის 90-იანი წლების სოციალურ-პოლიტიკურმა მოვლენებმა, ჩვენი საგუნდო კოლექტივები გაუსაძლის მდგომარეობაში ჩააგდო (გვახსოვს გასულ წლებში ეროვნული საგუნდო კაპელის მძიმე ფინანსური მდგომარეობა. გვახსოვს ისიც, კაპელის ერთ-ერთ წევრს შიმშილით ქუჩაში გული რომ წაუვიდა). თუმცა საგუნდო კოლექტივებს არც ახლა უდგათ დაღუბნილი დღეები; არც დღეს აქვთ სათანადო ანაზღაურება და სამუშაო პირობები, არადა, ქართულ მუსიკაში თუკი რამ ფასეული შექმნილა, დიდი წილი სწორედ საგუნდო მუსიკაზე მოდის. მარტო ნიკო სულხანიშვილისა და იოსებ კეჭავაძის შემოქმედება იკმარებდა ამის დასტურად. თუმცა კლასიკოსი კომპოზიტორებით დაწყებული, საგუნდო მუსიკის არაერთი, არ შემეშინდება ამის თქმა, შედეგები შექმნილა. ვგულისხმობ როგორც წმინდა საგუნდო ნაწარმოებებს, ისე საოპერო ლიტერატურაში არსებულ საგუნდო ტილოებს. ამის მაგალითია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ და უკანასკნელი ათწლეულების რიგი მონაპოვრები. ასევე არაერთი გამორჩეული აკადემიური საგუნდო კოლექტივი გვყოლია და გვყავს, დაწყებული შალვა მოსიძის უნიკალური „გორის ქალთა გუნდით“, რომ აღარაფერი ვთქვამთ გასული საუკუნის დასაწყისის საგუნდო კოლექტივებსა თუ აკადემიურ საგუნდო კაპელაზე. ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ სწორედ საგუნდო მუსიკას აღმოუჩნდა ქომაგი „საქართველოს საგუნდო საზოგადოების“ სახით. საზოგადოების დაფუძნების ინი-

ციატორი და სულისჩამდგმელია ქორმალისტერი, ამ საქმისათვის თავდადებული პიროვნება ლია ჭონიშვილი. საზოგადოების დაფუძნებლები აგრეთვე არიან ისეთი ხელოვანები, როგორებიცაა გორის ქალთა გუნდის დამარსებელი, სამხატვრო ხელმძღვანელი და 40 წლის განმავლობაში უცვლელი დირიჟორი, მრავალი საერთაშორისო კონკურსისა და ფესტივალის ლაურეატი, საქართველოს სახალხო არტისტი შალვა მოსიძე. მასთან ერთად ეგვენი მიქელაძის სახელობის თბილისის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის დირექტორი გიორგი ქორქაძე და საოპერო სტუდიის გუნდის ლობჯანიძე, პროფესორი მიხეილ ედიშერაშვილი.

ლია ჭონიშვილმა თავის გარშემო შემოიკრიბა სა-



ჯემალ ბეგლარიშვილის საწილთა კრებული



კონსერვატორია თბილისის კონსერვატორიის მუზეუმი: ანა გომიგაძე, ვივიკო გუბუაშვილი, თამარ გოსაძე

გუნდო მუსიკის პროფესიონალები და ენთუზიასტები, რომლებიც ხელმძღვანელობენ რეგიონალურ წარმომადგენლებს: ბორის ძნელაძე (თბილისი), ნინო წიკლაური (შიდა ქართლი), თამარ ბუაძე (ქვემო ქართლი), ზურაბ ნატროშვილი (კახეთი), ირინე ლომინაძე (ქუთაისი), ნათია გოგუაძე (იმერეთის რეგიონი), შორენა გოგოლაშვილი (გურია), სალომე ცეცხლაძე (აჭარა), შიო აბრახამია (სამეგრელო). ჟურნალში „მუსიკა“ (№3, 2014) გვექონდა კიდევ ინფორმაცია საგუნდო საზოგადოების დაფუძნების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ „ქართული საგუნდო საზოგადოების“ პრეზენტაცია მხოლოდ 2014 წლის 31 ოქტომბერს შედგა, ამ საზოგადოებამ მანამდეც საკმაოდ ნაყოფიერი სამუშაო გასწია: მერაბ ბერძენიშვილის კულტურის ცენტრში „მუზა“ მოაწყო საგუნდო მუსიკის მართონი, სადაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონის საგუნდო კოლექტივები მონაწილეობდნენ, მათ შორის, ბავშვთა გუნდები. ასევე პრეზენტაციამდე შეძლო „საზოგადოებამ“ მეტად მნიშვნელოვანი საქმის

რეალიზება – გამოსცა შესანიშნავი ქართველი კომპოზიტორის, სამნუხაროდ, ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებ ცნობილი, ჯერჯერობით ბევლარიშვილის საუკეთესო საგუნდო ნაწარმოებების პირველი სანოტო კრებული (კრებულის I ტომში შესულია 14 შერეული გუნდი, მეორეში ქალთა 10 და ბავშვთა 10 გუნდი).

„საგუნდო საზოგადოების“ შექმნას სათანადო შეფასება მისცეს ქართული მუსიკალური კულტურის წამყვანმა მოღვაწეებმა: საქართველოს მუსიკალური საზოგადოების თავმჯდომარემ, მუსიკოლოგმა მანანა ახმეტელმა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა რუსუდან ნურნუმიამ, კონსერვატორიის რექტორმა, კომპოზიტორმა რევაზ კიკნაძემ; საზოგადოების დაფუძნებას დადებითად გამოეხმაურა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრიც.

„ქართული საგუნდო საზოგადოების“ პრეზენტაცია გაიმართა კონსერვატორიაში. პრეზენტაციისადმი მიძღვნილ ღონისძიებათა პროგრამა შედგებოდა სამეცნიერო კონფერენციისა და კონცერტისაგან.



ჯივალ ზაგლარიშვილი, ლია ჯონიშვილი

კონფერენციაში სათაურით „ქართული აკადემიური საგუნდო მუსიკის სათავეებთან“, გაიმართა კონსერვატორიის მუზეუმში. მონაწილეობდნენ კონსერვატორიის ბაკალავრიატის IV კურსის სტუდენტები: ანა გორგაძე თემით – „ქართული გალობა XIX საუკუნის ტრილში“, ბიჭიკო ბეჟიტაშვილი – „XIX საუკუნის ქართული პროფესიული მუსიკის სათავეები“, თამარ გოცაძე – „რუსული საიმპერატორო მუსიკალური საზოგადოების „თბილისის განყოფილება“. კონფერენციას დაესწრო კონსერვატორიის სტუდენტობა, პედაგოგები და მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი მასალა დამსწრე საზოგადოებისთვის ძირითადად ნაცნობი იყო, მაინც ინტერესით ისმინებოდა, რასაც ხელს უწყობდა თანდართული სლაიდ-შოუ და აუდიო მასალა. არ შეიძლება არ აღინიშნოს თითოეული მომხსენებლის მიერ გავრცელებული შრომა, ვრცელი მასალის თავმოყრა და საინტერესოდ წარმოდგენა. ყველამ ერთად გაიხსენა ქართული მუსიკის, კერძოდ კი საგუნდო მუსიკის მესაძირკვლეები. დასასრულს მომხსენებელმა სტუდენტებმა თვითონაც

ცოცხლად შეასრულეს საგალობელი „შენ ხარ ვენახი“.

კონფერენციის მეორე ნახევარი კი საგუნდო საზოგადოების მცირე პრეზენტაციასა და კონცერტს დაეთმო. სიტყვით კიდევ ერთხელ გამოვიდა საზოგადოების დაარსების ინიციატორი ქ-ნი ლია ჭონიშვილი.

ქართული აკადემიური საგუნდო მუსიკალური ნიმუშების გაფლერებამ ამჯერადაც გახადა ცხადი, რომ ქართულ საგუნდო მუსიკას ნამდვილად ისეთი მხატვრული ღირებულების მონაპოვრები აქვს, რომ ნებისმიერი ქვეყნის საკონცერტო სცენაზე თამამად გაიჟღერებდა.

მოგესენებათ, 2014 წელი კომპოზიტორ მერი დავითაშვილის საიუბილეო წელი იყო და გასაკვირი არაა, რომ კონცერტი მერი დავითაშვილის საბავშვო სიმღერების პოპურით გაიხსნა. ევგ. მიქელაძის სახ. თბილისის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის ბავშვთა გუნდს ჩინებულად ხელმძღვანელობდა ეკა ჩიქოვანი, რომელიც საფორტეპიანო თანხლებასაც უწევდა გუნდს. ყველა ჩვენგანისთვის საყვარელი და ნაცნობი საბავშვო სიმღერების პოპური ვერსიებით იყო და-



მუშავებული, დრამატურგიულად გააზრებული და შეკრული.

2015 წელი კომპოზიტორ ჯემალ ბეგლარიშვილის საიუბილეო წელია, 23 აპრილს მას 75 წელი შეუსრულდება. კონცერტი, ძირითადად, სწორედ მის შემოქმედებას მიეძღვნა. შესრულებაში სხვადასხვა საგუნდო კოლექტივები და მათი ხელმძღვანელები მონაწილეობდნენ.

ჯ.ბეგლარიშვილის მუსიკის გაქვეყნებამდე სიტყვით გამოვიდნენ რევამ კიკნაძე, შალვა მოსიძე, რუსუდან წერნუშია. სამწუხაროდ, საყურნალო წერილის ფარგლები არ იძლევა შესაძლებლობას ყველა გამომსვლელის სიტყვა გავაცნოთ, ამიტომ, ამჯერად გთავაზობთ მხოლოდ კომპოზიტორის თანაკურსელის, მუსიკისმცოდნეობის აკადემიური დოქტორის, მუსიკისმცოდ-

ნე რუსუდან ქუთათელაძის კონცერტზე წარმოთქმულ სიტყვას:

„ჩემი შორეული სტუდენტობის ხანაში კურსზე ბევრნი ვიყავით. დღემდე თვალწინ მიდგას დიდი, სავსე, საკლასო ოთახი. სადღაც, ბოლო მერხზე, ორი ყმაწვილი გაყურსულა. ხუთი სასწავლო წლის მანძილზე (მაშინ ხუთწლიანი სწავლა იყო, არცთუ ურიგო!), ვვინებ, ერთხელაც არ ამოულიათ ხმა. ისხდნენ ჩუმად, შეუმჩნევლად. სჩანს, იმიტომ, რომ მერე, სამოღვაწეო სარბიელზე ხმამალა, რიხით გაეცხადებინათ თავიანთი ნიჭი, შემოქმედებითი უნარი. ესენი იყვნენ დღეს უკვე ცნობილი მუსიკოსები, კომპოზიტორი ჯემალ ბეგლარიშვილი და ქორმალისტერი შალვა მოსიძე. ორივე მათგანმა საკუთარი ადგილი დაიმკვიდრა ქართულ მუსიკალურ კულტურაში. სახელოვანი მუსიკოსებით

მდიდარ ჩვენს ქვეყანაში, ამ უფლებების მოპოვება, ნამდვილად, იოლი არაა. იმასაც ვიტყვი, ორივემ შეინარჩუნა ის თვისება, მე რომ სტუდენტობის დროიდან დამამახსოვრდა — თავმდაბლობა, მოკრძალება. ისევ უხმაუროდ, ისევ უსიტყვოდ ენევიან თავთავიანთ პროფესიულ ტაპანს.

ყველა ადამიანს თავისი ბედი დაჰყვება, განსაკუთრებით — შემოქმედს. ჯემალ ბეგლარიშვილმა მთელი ცხოვრება დედაქალაქიდან მოშორებით, მშობლიურ გორში გაატარა. სხვათა შორის, გავიხსენებ, ამ ქალაქმა ქართულ მუსიკალურ კულტურას შესძინა ისეთი დიდი კომპოზიტორები, დედაქალაქი დიდად რომ ვერ დაიტრიალებს — ალექსი მაჭავარიანი, სულხან ცინცაძე. აი, ასეთ სახელოვან პიროვნებათა გზას აგრძელებს ჯემალ ბეგლარიშვილი. რავინდ გასაკვირიც უნდა იყოს, პატარა ქალაქში ცხოვრებამ სრულიადაც არ შეუზღუდა შემოქმედებით ინტერესთა თვალსაზრისი. პირიქით, იქნებ დაიცვა კიდევაც დედაქალაქში მომძლავრებული ურბანიზაციისა და ორომტრიალისაგან, განუმტკიცა ეროვნული სულისკვეთება, ქართულ სუფთა მეტყველებასთან, ყალბი „ევროპეიზაციისგან“ დაცულ სიტყვიერებასთან დღენიადაგმა ურთიერთობამ ხელი შეუწყო ეროვნული მუსიკალური მეტყველების შენარჩუნებაში, რაც დღეისათვის მსოფლიოში იშვიათობა შეიქნა, უნინ კი ხელოვანთა ერთ-ერთ ძირითად ღირსებად მიიჩნეოდა. ამავდროულად, ჯემალ ბეგლარიშვილს ვერც თანამედროვე კომპოზიტორული ტექნოლოგიებით აღჭურვილობის ნაკლებობას ვუსაყვედურებთ. დიახ — ჯემალ ბეგლარიშვილი ეროვნული, თანამედროვე კომპოზიტორია! ეროვნულობა, უნინარესად ყოვლისა, სტვივის შემოქმედებითი ინტერესების მიმართულებაში — *a cappella* გუნდის ჟანრისადმი მტკიცე ერთგულებაში, თუმცა კალამი ერთხელ და ორჯერ როდი უცდია სხვა ჟანრებში და წარმატებულადაც! მაგრამ ძირითადი, მისი შემოქმედების ორგანული ნაწილი მაინც ქალთა *a cappella* საგუნდო თხზულებებია. ყველამ ვიცით, ეს ის ჟანრია, ჩვენმა დიდმა, ჭეშმარიტად ეროვნულმა კომპოზიტორმა, ნიკო სულხანიშვილმა რომ გვიანდერძა. ისიც ვიცით, მომდევნო თაობის კომპოზიტორებმაც რომ შექმნეს, და შესანიშნავი ნაწარმოებებიც

შექმნეს ამ სფეროში, მაგრამ ეს მათი ნამოღვაწარის ეპიზოდური ნიმუშებია, იშვიათი გამონაკლისები. *a cappella* გუნდს, საგუნდო საშემსრულებლო ხელოვნების ამ ურთულეს, უზენაეს სახეობისადმი თავდადებულად, ურყევი ერთგულებით კი ემსახურა სოსო კეჭაყმაძე. და მასთან ერთად მისივე თანატოლი ჯემალ ბეგლარიშვილი. *a cappella*-სადმი მჭიდრო კავშირის თვალსაზრისით იქნებ რუსუდან ხორავაც გავიხსენო, თუმცა ეს, ამჯერად, სხვა საკითხია. აქ ადგილი არაა კომპოზიტორ ჯემალ ბეგლარიშვილის შემოქმედებითი მიღწევების გამონვლილვით გარჩევისათვის, მონაპოვართა სათითაოდ აღსანუსხავად. ის კი ნამდვილად ღირს აღვნიშნო — ქართული საკომპოზიტორო სკოლის ჩინებულ მონაპოვართა შორის მისმა გუნდებმა საკუთარი ადგილი დაიკვიდრა.

არ მგონია *a cappella* გუნდისადმი გამორჩეული ყურადღების მიზმი, ჯემალ ბეგლარიშვილს რომ დაენათლა, მხოლოდ ეს იყოს, მაგრამ, მჯერა, გარკვეული როლი, ჩემს მიერ უკვე ხსენებულმა, მისმა თანაკურსელმა, „უსიტყვო“ შალვა მოსიძემაც ითამაშა. სტუდენტური მერხიდან გამოყოფილი მეგობრობა შემოქმედებით ტანდემში გადაიზარდა, განმტკიცდა. იმედი იმისა, რომ თხზულება საიმედო ხელში იქნებოდა, რომ შესრულება იქნებოდა სასურველი, ჯეროვანი მხატვრული ხარისხისა, უეჭველია, კომპოზიტორს უადვილებდა ჩანაფიქრის სანოტო ხაზზე გადატანას, კალამს სიმსუბუქესა სძენდა. შალვა მოსიძის ლოტბარობით ჯემალ ბეგლარიშვილის ნაწარმოებებმა ერთხელ და ორჯერ როდი აღაფრთოვანა უცხოელი მსმენელი, ქართულ მუსიკალურ კულტურას შორს გაუთქვა სახელი.

შალვა მოსიძე დღეს აღიარებული მუსიკოსია, ეროვნული ჯილდოებით დამშვენებული, თუმცა, როგორც უკვე ვთქვი, კვლავინდებურად თავმდაბალი, სიტყვაძუნწია. მაგრამ, აბა, ნახეთ იგი კონცერტისათვის მზადების დროს, გუნდთან მეცადინეობისას, რეპეტიციებზე. მკაცრი, დაუნდობლად მომთხოვნი, უმელავათო! აი, სწორედ ეს თვისებები განაპირობებს მისი რიცხვმრავალი „ინსტრუმენტის“, „გორის გოგონათა გუნდის“ უმაღლეს საშემსრულებლო ხარისხს, ინტონაციური სინმიწილით, უფაქიზესი ნიუანსებით, ტემბრული

პალიტრის საოცარი ფერადოვნებითა და ათასგვარი სხვა პროფესიული ღირსებებით რომ ხასიათდება. მჯერა, ეს „უსიტყვო“ კაცი „აიძულებდა“ ბევრ ქართველ კომპოზიტორს ხელში აეღო კალამი, რამდენს სწავდა სწორედ შალვა მოსიძემ დაულოცოს საშემსრულებლო გზა მის თბზულებას. ამის მაგალითია, უწინარესად ყოვლისა, იოსებ კეჭაყმაძის, ჯემალ ბეგლარიშვილის საგუნდო თბზულებები.

ამ ორ მუსიკოსთან, ჯემალ ბეგლარიშვილთან და შალვა მოსიძესთან ერთად მიუტევებელი იქნებოდა არ გამეხსენებინა კიდევ ერთი პიროვნება – სანდრო კაჭარავა! მისი ორგანიზატორული ინტუიციის დამსახურებაა ქართულ მუსიკალურ კულტურაში რომ არსებობს ისეთი შესანიშნავი საშემსრულებლო კოლექტივი „გორის გოგონათა გუნდი“ რომ ჰქვია, ის ხომ გორის სამუსიკო სასწავლებელში სანდრო კაჭარავას დირექტორობისას დაარსდა. და ვიდრე ვაირეფორმატორები ქართულ სამუსიკო სასწავლებლებს მუსრს გაავლებდნენ, გორის სასწავლებელი ყვაოდა, არა მარტო სწავლების პროცესს უზრუნველყოფდა და სასურველი კადრებით ამარაგებდა თბილისის კონსერვატორიას, არამედ მართავდა საგუნდო მუსიკის ფესტივალს (რაც ახლანდელისგან განსხვავებით ჩვენში იშვიათობა იყო), უამრავ საგუნდო კოლექტივს მასპინძლობდა), საქართველოს ფარგლებს გარეთაც გაჰქონდა ქართული მუსიკის, ხალხური და საკომპოზიტორო შემოქმედების ნიმუშები და ათასგვარ ფესტივალებსა და კონკურსებში ღირსეულად იცავდა ეროვნული ხელოვნების სახელს.

კიდევ ბევრია სათქმელი, მაგრამ სიტყვა ისედაც გამიგრძელდა. მთელი სულითა და გულით ვულოცავ ჩემს საამაყო თანაკურსელს, ჯემალ ბეგლარიშვილს, მოახლოებულ საიუბილეო თარიღს! ვულოცავ დიდი ხნის ნანატრი სანოტო კრებულის გამოცემას! „საგუნდო საზოგადოებას“ ღირსეული ქართველი კომპოზიტორის შემოქმედების თანადგომისათვის მადლობას მოვასხენებ. ჭეშმარიტად მამულიშვილურ საქმეს, „საგუნდო საზოგადოების“ დაფუძნებასაც წრფელი გულით მივსალამები, საგუნდო მუსიკის ესოდენ კლასიკური ქვეყნისათვის, საქართველო რომაა, ეს დიდად საშური, საშვილიშვილო საქმეა! დაე, „საზოგადოების“

თითოეულ წევრს, მომავალ იუბილარ კომპოზიტორს, საგუნდო კოლექტივებს, ქორმასტერებს, შეუნელებელი შემართებით განეგრძოთ მოღვაწეობა!“

კონცერტში შესრულდა ჯემალ ბეგლარიშვილის გუნდები: „მიძგნა“ (გორის ქალთა კამერული გუნდი, თეონა ცირამუას ხელმძღვანელობით); „ჩანამღერები“ და „ნადური“ (გორის ს. ცინცაძის სახ. კოლეჯის ბავშვთა გუნდი, ნინო წიკლაურის ხელმძღვანელობით); „ფშური“ და „ლხინი სოფლად“ (თბილისის გოგონათა გუნდი, ომარ ბურდულის ხელმძღვანელობით).

ჯემალ ბეგლარიშვილი სრულიად გამორჩეული კომპოზიტორია ქართულ მუსიკაში, როგორც პიროვნულად, ისე შემოქმედების თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ მუსიკას მრავლად აქვს მონაპოვრები, ადვილი არაა თანამედროვე საგუნდო კომპოზიტორმა სძლიოს ამ სფეროში ისეთი მძლავრი ინდივიდუალობის გავლენას, როგორიც იოსებ კეჭაყმაძე ბრძანდებოდა. ბეგლარიშვილმა ეს შეძლო და თავისი ხელწერა ჩამოაყალიბა, სრულიად გამორჩეული და განუმეორებელი. მისი ყველა გუნდი ძირისძირამდე ეროვნული, მაღალი მხატვრული ღირებულების ქმნილებაა, დაწყებული შედარებით მცირე ფორმის გუნდებით და დამთავრებული ისეთი ტილოებით, როგორიცაა „ლხინი სოფლად“, თეატრალურ სანახაობას რომ მოგაგონებთ თავისი მასშტაბურობით, „გაშლილი“ ჟღერადობით, მძლავრ ემოციას რომ აღძრავს, თანამედროვე ჟღერადობასთან ერთად ღრმად ეროვნული ძირებიდან რომაა ამოზრდილი. ვფიქრობ, ჯემალ ბეგლარიშვილის შემოქმედება მეტ ყურადღებას იმსახურებს და ცხადია, უფრო ხშირად შესრულებასაც.

მართლაც უნდა მივულოცოთ „საგუნდო საზოგადოებას“, ასეთ ეროვნულ საქმეს რომ მოჰკიდა ხელი, ასეთ მცირე დროში ტიტანური სამუშაო გასწია – გამოსცა ბეგლარიშვილის საგუნდო ნაწარმოებების კრებული, რომლის პრეზენტაციაც კონცერტზევე გაიმართა. სამწუხაროდ, ერთი წერილის ფარგლებში ძნელია კონცერტზე აუღერებული ჯ. ბეგლარიშვილის ყველა გუნდის განხილვა, მაგრამ, უდავოა, რომ კომპოზიტორის შემოქმედება თავის შემფასებელსა და მკვლევარს ელის.

არ შეიძლება არ აღინიშნოს კონცერტში მონაწილე



კონსერტის შემდეგ. მარჯვნიდან: თეიმურ ზაკარაძე, ჯემალ ბეგლარიშვილი, შალვა მოსიქა

ყველა გუნდის ღირსება. მართლაც, საოცარი საგუნდო კოლექტივები გვყავს – ბავშვთა გუნდებით დაწყებული, გორის კამერული ქალთა გუნდისა და თბილისის გოგონათა გუნდებით დამთავრებული. არაჩვეულებრივი იყო ევგ. მიქელაძის კოლექტის ბავშვთა გუნდი; ნინო ნიკლაურის ბავშვთა გუნდი არაერთხელ მოგვისმენია და ყოველთვის აღფრთოვანებას იწვევდა მის მიერ მომზადებული ბავშვების ოსტატობა. აღარაფერს ვამბობ გორის ქალთა კამერულ გუნდზე, რომლის ქდერადობა სრულიად უნიკალურია. ამას ხომ საფუძველი შალვა მოსიქემ ჩაუყარა, დააფუძნა რა ეს გუნდი და ათწლეულებია ხელმძღვანელობას უწევს. მისივე აღზრდილი თეონა ცირამეა ნამდვილად ღირსეულად აგრძელებს თავისი მოძღვრის, ბ-ნი შალვას მიერ გავალულ გზას. დაბოლოს, ომარ ბურდულის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული თბილისის გოგონათა გუნდი, რომელშიც გაერთიანებული არიან არა მხოლოდ პროფესიული მუსიკოსები, არამედ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების ახალგაზრდები. მიუხედა-

ვად იმისა, რომ ამ საგუნდო კოლექტივის პირველი გამოსვლა არცთუ დიდი ხნის წინ, 2014 წლის აპრილში, საგუნდო მუსიკის IV ფესტივალზე შედგა, გუნდმა უკვე დაიმსახურა მსმენელის სიმპათია. ამჯერად კონცერტზე მათ წარმოადგინეს ბეგლარიშვილის შემოქმედებიდან ისეთი საგუნდო ტილოები, როგორებიცაა „ფშაური“ და „ლხინი სოფლად“, და უდავოდ, მოწონებაც დაიმსახურეს.

მთელ ღონისძიებას ეტყობოდა ორგანიზატორთა პროფესიონალიზმი და, რაც მთავარია, ქართული საგუნდო მუსიკის უანგარო სიყვარული. ვულოცავთ „საგუნდო საზოგადოების“ მთელ შემადგენლობას წარმატებულ პრეზენტაციას და ვუსურვებთ წინსვლასა და თანადგომას, როგორც საზოგადოების, ისე მთავრობის მხრიდანაც, რაც ნამდვილად ესაჭიროებათ. მათ ხომ, ფაქტობრივად, მინიმალური შესაძლებლობებით დიდ ეროვნულ საქმეს ჩაუყარეს საფუძველი და შედეგიც თვალნათლივ აჩვენეს! ■

SOS!

საგანგაშო ვითარება ქართულ მუსიკალურ კულტურაში

სიკოსი – ნიკოლოზ რაჭველი.

სწორედ ნ.რაჭველის შემოქმედებითი მონოდებისა და მხატვრული სიმპათიების შესაბამისად, აკადემიური სიმფონიური ორკესტრი გადაქცეულია საესტრადო-გასართობ კოლექტივად (საკმარისია, თუნდაც, ჩამოვთვალოთ მისი კონცერტების პროგრამები გასული წლის

დიახ, საგანგაშო არსებული ვითარება (ჩვენს საყვარელ მუსიკალურ ხელოვნებაში, რაც ალეღებს და აშფოთებს მთელ ქართულ კულტურულ (არა მარტო მუსიკალურ) საზოგადოებას. მხედველობაში მაქვს ყოვლად შეუწყნარებელი მდგომარეობა, რომელშიც უკვე კარგა ხანია იმყოფება მისი ერთ-ერთი გენერალური სფერო – კლასიკური სიმფონიური მუსიკის შემსრულებლობა.

აბა, რა ვუნოდოთ იმას, რომ თვეობით, ზოგჯერ, წლობითაც არ სრულდება საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტებზე მსოფლიო კლასიკური მუსიკის ნიმუშები (ამით, იშვიათად, უცხოელი გასტროლიორები თუ გვანებივრებენ).

ფაქტობრივად, სრულიად არ ჟღერს, რაც არანაკლებ მიუტევებელია, ქართველი კლასიკოსი კომპოზიტორების – ანდრია ბალანჩივაძის, შალვა მშველიძის, ალექსი მაჭავარიანის, ოთარ თაქთაქიშვილის და სხვების სიმფონიური და ორატორიული მუსიკაც.

როგორც იტყვიან, დაუფრებელია, მაგრამ ფაქტია! ზემოთქმულთან დაკავშირებით, საყვედურს, პირველ რიგში, ცხადია, იმსახურებს ჩვენი ქვეყნის უმთავრესი, ხანგრძლივი და დიდებული საშემსრულებლო ტრადიციების მქონე, ბრწყინვალე ევენი მიქელაძის სახელობის (!), სახელმწიფო (!), აკადემიური (!) სიმფონიური (!) ორკესტრი და მისი მთავარი დირიჟორი – ნიჭიერი მუ-

სექტემბრიდან დღემდე).

თქმა არ უნდა, რომ ამ ტიპის ორკესტრიც ძალიან საჭირო და სასურველიც კი არის, მაგრამ ყოვლად დაუშვებელია აკადემიური ორკესტრის მისით ჩანაცვლება!

ვფიქრობ, ამის შესახებ დაფიქრება მართებს არა მარტო თვითონ ნ.რაჭველს, არამედ, რაც მთავარია, საქართველოს კულტურის სამინისტროს!

ნაწილობრივ, კერძოდ, ქართული კლასიკური (და თანამედროვე) რეპერტუარის დეფიციტის საკითხში, საყვედურს იმსახურებს „თბილისის სიმფონიური ორკესტრი“ და მისი მთავარი დირიჟორი, შესანიშნავი მუსიკოსი ვახტანგ კახიძეც, რომელსაც ახლახან ზ.ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო პრემია მიენიჭა! ვულოცავთ!

აქვე დავძენ, რომ ამით სცოდავენ ჩვენი სხვა საშემსრულებლო კოლექტივებიც და ცალკეული შემსრულებლებიც.

დასანანი და მიუტევებელი ფაქტია!

ახლა კი იმ ყოვლად მიუღებელი ვითარების შესახებ, რომელიც სუფევს ქართულ ტელევიზიაში.

მოგესხენებათ, რომ ათეული წლების მანძილზე ტელევიზია გახლდათ კლასიკური და, კერძოდ, ქართული საოპერო, სიმფონიური, კამერული (საესტრადოსიც!) მუსიკის აქტიური პროპაგანდისტი. აქ „უხსოვარი“ დროიდან მუშაობდა სპეციალური მუსიკალური რედაქცია და, რაც

მთავარია, აქტიურად მოქმედებდა სრულ შემადგენლობიანი ე.წ. „საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრი“ (2003 წლამდე!), რომელსაც სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ გამოჩენილი დირიჟორები – შალვა და გივი აზმაიფარაშვილები, ზაქარია ხუროძე, ლილე კილაძე.

რამდენი, ჩვენთვის უცნობი, უცხოელი და, რაც მთავარია, ქართველი კომპოზიტორის ახალი ნაწარმოები მოვისმინეთ ამ წლებში მათი შესრულებით. ფასდაუდებელი და დაუვიწყარია მათი ღვანღი.

როგორც ვთქვი, საქართველოს რადიოტელეკოორპორაციის ორკესტრმა შეწყვიტა თავისი არსებობა საბედისწერო 2003 წელს და ამის შემდეგ გასული დროის მანძილზე ჩვენს სატელევიზიო ეკრანზე კლასიკური მუსიკის (კერძოდ, ქართულის) ნასახსაც ვეღარ ნახავთ და მოისმენთ.

თითქოს, არც არსებულაო, საზოგადოდ, კლასიკური მუსიკის ფენომენი, რომელიც საუკუნეების მანძილზე კაცობრიობის კულტურული არსებობის ერთ-ერთ უდიდეს სულიერ ფაქტორს შეადგენდა და ახლაც შეადგენს მთელ ცივილიზებულ სამყაროში (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს რადიოს მუსიკალური რედაქცია ჩინებულად ასრულებს თავის კულტურტრეგერულ მისიას არსებული ჩანაწერების მეშვეობით).

დღესდღეობით, ჩვენი ტელევიზია უმთავრესად დაკავებულია დაბალხარისხიანი „მასკულტურის“, სხვადასხვა იაფფასიანი „შოუების“ პროპაგანდით. ამინდს აქ ქმნიან არამუსიკოსები, რომლებიც მოკლებულნი არიან პროფესიულ კვალიფიკაციასა და გემოვნებას. თანაც, როგორც ჩანს, მათ არ ესმით, თუ რა სამიშროების წინაშე აყენებს არსებული მდგომარეობა ჩვენი ახალგაზრდობის ღირსეული მხატვრული აღზრდის საქმეს და, მამასადაძე, **ქვეყნის კულტურულ მომავალსაც!**

სიტუაცია ძალზე საშიში და საგანგაშო იქმნება და აუცილებელია არა მარტო დავფიქრდეთ ამაზე, არამედ ოპერატიულად მივიღოთ ზომები არსებული კრიზისის, თუნდაც, თანდათანობითი დაძლევისათვის.

ცხადია, რომ ზემოხსენებული კრიტიკული შენიშვნების ძირითადი ადრესატია საქართველოს ტელევიზიის ხელმძღვანელობა, რომელიც, ალბათ, ყურსაც არ შეი-



ბერტყავს ჩვენს კრიტიკაზე.

რა თქმა უნდა, ყოველივე ზემოთქმული, პირველ რიგში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და მისი ხელმძღვანელობის საზრუნავია, ვისი საქმიანი და ოპერატიული ჩარევის გარეშე არსებულ უმძიმეს მდგომარეობას საშველი არ დაადგება. არა და არა!

იმედია, რომ საქართველოში მაღალი მუსიკალური კულტურის გადარჩენის (დიახ, გადარჩენის!) საქმეს მთელი სერიოზულობით მოეკიდებიან უფრო „ზევით“ – „იქ, სადაც ჯერ არს!“ ვართ ამის იმედით!


საფიქრებელია, რომ „გაჯანსაღების“ პროცესი უნდა დავიწყოთ იმით, რომ აღდგეს ტელევიზიაში მუსიკალური რედაქცია, რომელიც დაკომპლექტებული იქნება უმაღლესი მუსიკალური განათლების მქონე პროფესიონალი მუსიკოსებით.

საქმე არ ითმენს დაყოვნებასა და გაჭიანურებას.

ქართული მუსიკალური საზოგადოებრიობის სახელით –

თბილისი უნიკალური ქალაქია თავისი სიღამაზით, კოლორიტით და ადამიანური ურთიერთობებით, ამიტომაც თბილისელობა არის დიდი ფილდო და დიდი ტვირთი. აი, ასეთი ტვირთი მთელი ცხოვრების მანძილზე ღირსეულად ატარა ჩვენმა სასიქადულო მომღერალმა, საქართველოს სახალხო არტისტმა — ბატონმა თამაზ ლაფერაშვილმა.

სიტყვა ღირსება (ბოლო დროს რატომღაც ასოცირდება მარტო ორდენტან) — პირველ რიგში მოიცავს ისეთ თვისებებს, როგორიც არის შენი ქვეყნის სიყვარული, კაცთმოყვარეობა, თავმდაბლობა — და ეს ყველაფერი არის ამაღლებული სულის მქონე ჭეშმარიტი მამაკაცის თვისებები. ეს ყველა ეპითეტი ზუსტად შეე-



ვიქსორია ჩაპლინსკაია

კასთოროჟვარეობა ღვთის ნიჭია

ეძღვნება მომღერალ თამაზ ლაფერაშვილის 80 წლის იუბილეს

ფერება ისეთ პიროვნებას, როგორიც იყო თამაზ ლაფერაშვილი — ბრწყინვალე მომღერალი-არტისტი, განსხვავებული მუსიკალური აზროვნების მქონე მუსიკოსი და პედაგოგი, ჭეშმარიტი ინტელიგენტი.

აი, ასეთი კაცი დააკლდა — თბილისს.

თამაზ ლაფერაშვილი დაიბადა განათლებულ ინტელიგენტთა — ელენე ყარაშვილის და იაკობ ლაფერაშვილის ოჯახში, სადაც ომის მძიმე წლებში (როდესაც იზრდებოდნენ თამაზი და მისი საყვარელი და — ლია) უპირატესი ფასეულობა იყო შრომა, წიგნიერება, პათიოსნება, კეთილშობილება და მადლიერება. მოგვიანებით ამას დაემატა ქუჩის აკადემია — „პლენანოველები“, სადაც არანაკლებ ძნელი გამოცდა იყო ჩასაბარებელი — „გამოცდა კაცობაზე“. აქ შეარქვეს თამაზს მეტსახელი „პოჩო“ (პუტკუნა ლოყების გამო), „პოჩოდ“

დარჩა იგი ყველასთვის სიცოცხლის ბოლომდე. პლენანოვზე იკრიბებოდნენ ახალგაზრდები და კინოსეანის შემდეგ მღეროდნენ ხალხურ სიმღერებს და სიმღერებს ფილმებიდან. აქვე პოჩომ დაამთავრა №7 რკინიგზელთა სკოლა, რომელსაც ალიოზა ცინცაძე ხელმძღვანელობდა — ეს იყო პიროვნება, რომელმაც კვალი დატოვა არაერთი თაობის ჩამოყალიბებაში. აქ აღიზარდნენ კომპოზიტორები: სულხან ნასიძე, გია ყანჩელი, ვაჟა აზარაშვილი; არქიტექტორები: ოთარ ლითანიშვილი, ჯუნა თუთბერიძე; ცნობილი ინჟინრები: თამაზ ცინცაძე, ჯემალ წამალაშვილი, ირაკლი კოპალეიშვილი; ექიმი ბონდო ქობულია და სხვ.

რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტორს, ვინ შევხვდება შენი ცხოვრების მანძილზე. ერთ-ერთი ასეთი პიროვნება თამაზის ცხოვრებაში იყო — ვა-

ლერიან ქაშაკაშვილი. როცა თენგიზ ზეინკლიშვილმა სულ ახალგაზრდა თამაზი მასთან მოსმენაზე მიიყვანა, ქაშაკაშვილი იმდენად აღფრთოვანდა მისი მონაცემებით, რომ იანვრის თვეში, ისეთი დიდი მუსიკოსის ხელშეწყობით, როგორც იყო კონსერვატორიის იმდროინდელი რექტორი იონა ტუსკია, მისცეს სტუდბილეთი და უფლება ევლო ყველა გაკვეთილზე, რის შემდეგაც ლაფერაშვილი შემოდგომაზე ჩარიცხეს კონსერვატორიაში — ვოკალურ ფაკულტეტზე ვ. ქაშაკაშვილის კლასში.

ბედნიერებას არ ჰქონდა საზღვარი — იმიტომ, რომ ვოკალური ნათლობა მიიღო ასეთი დიდი მომღერლის და პიროვნების კლასში, მაგრამ ეს აღმოჩნდა ძალიან ხანმოკლე ბედნიერება — ვ. ქაშაკაშვილის გარდაცვალების გამო.

იმ პერიოდში თბილისში დიდი თეატრიდან ჩამოვიდა ბრწყინვალე მომღერალი-ბანი დიმიტრი მჭედლიძე, რომლის კლასში, როგორც განსაკუთრებული მონაცემების მქონე სტუდენტი, ჩარიცხეს თამაზ ლაფერაშვილი. ფანტასტიკური ნიჭის და კულტურის მქონე წყვილი — დიმიტრი მჭედლიძე და ვერა დავიდოვა, გახდნენ თამაზის „მუსიკალური მშობლები“. თამაზი იხსენებდა, რომ მათ შესძინეს მაღალი მუსიკალური კულტურა, გემოვნება და თვით დ. მჭედლიძე მიიჩნევდა მას თავის მუსიკალურ პირმშოდ.

დასაწყისში მე ტყუილად არ მიხსენებია — მადლიერების გრძობა; სწორედ დიდი მადლიერებით იხსენებს თამაზი ყველას, ვინც შეხვდა მას ცხოვრების მანძილზე და ერთ-ერთი მათგანი იყო მარია კამოევა, ვის კლასშიც თამაზი ეუფლებოდა კამერულ სიმღერას. შემდეგ ოპერის თეატრში ამას შეემატა დიდი მუსიკოსი — კონცერტმასტერი ტატიანა დუნენკო. კამოევას კლასში თამაზმა დააგროვა დიდი კამერული რეპერტუარი. კონსულტაციისთვის ყოველთვის მიმართავდნენ პროფესორ დიმიტრი შვედოვს. ამ ყველაფერმა განაპირობა ის, რომ წლების მანძილზე ლაფერაშვილი ჩამოყალიბდა კამერული მუსიკის დიდოსტატად და როცა თამაზი მიიწვიეს კონსერვატორიაში კამერული კლასის პედაგოგად, პროფესორმა შვედოვმა თქვა, რომ ახლა ჩვენ გვაქვს უფლება, ვალმოხდილები წავიდეთ კონსერვატორიიდანო.

კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ, 1956წ.



მოდას მუსორგსკი. ოპერა „პორის გოლუნოვი“ კონსერვატორიაში



გია ყანელი. ოპერა „და არს მუსიკა“ მარკინის რეპერტუარში

ლაფერაშვილი გახდა ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი, ამავე დროს გახდა „მსოფლიოს ახალგაზრდული სტუდენტური ფესტივა-



გია ყანჩელი, ნოფარ გაგუნია, თამაზ ლაფერაშვილი

ლის“ ლაურეატი. თეატრში გატარებულმა ცხოვრებამ ქართულ ვოკალურ კულტურას შესძინა მთელი გალერეა დაუვინყარი გმირებისა, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა: მოცარტის ოპერაში „დონ ჯოვანი“ – მაზეტოს, კომანდორის და ლეპორელოს, მუსორგსკის ოპერაში „ბორის გოდუნოვი“ – ბორისის, პიმენის და ვარლამის პარტიები, ბოროდინის „თავად იგორში“ – კონჩაკი, ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინში“ – გრეშინი, „იოლანტაში“ – რენე, დარგომიჟსკის ოპერაში „ალი“ – მენისქვილე, რახმანინოვის ოპერაში „ტენნი რაინდი“ – ბარონი, ოპერაში „ფრანჩესკა და რიმინი“ – ლანჩოტო მალატესტა. რომ არაფერი ვთქვათ გლინკას ოპერაზე „რუსლანი და ლუდმილა“ – რუსლანის პარტიაზე (ჯ. კახიძის და გ. მელივას დადგმით). ლაფერაშვილი გახლდათ ამ პარტიის ერთადერთი ქართველი შემსრულებელი და პოლონეთში, თეატრის გასტროლების დროს, სარეკლამოდ სწორედ რუსლანის არიის ჩანანერს იყენებდნენ.

საშემსრულებლო ხელოვნებაში დიდი კვალი და-

ტოვა ისეთი პარტიების მისეულმა ინტერპრეტაციამ, როგორებიცაა: დონიკეტის ოპერაში „დონ პასკუალე“, ვერდის ოპერებში „აიდა“ და „დონ კარლოსი“ და განსაკუთრებით – მეფისტოფელი ჰუნოს ოპერაში „ფაუსტი“.

1970წ. პოლონეთში, ქ. ლოდში ჯ. კახიძე და თ. ლაფერაშვილი იყვნენ მინვეულები ჰუნოს ოპერა „ფაუსტის“ დასადგმელად.

„ჩემი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე შემხვდა ძალიან ბევრი არაჩვეულებრივი პედაგოგი და პარტნიორი, ბედნიერი ვარ, რომ წილად მხვდა პატივი. მემღერა ზ. ანჯაფარიძესთან, ნ. ანდლულაძესთან, ბ. კრავციშვილთან, პ. ამირანაშვილთან. მემუშავა ისეთ დირიჟორებთან, როგორებიც იყვნენ – ო. დიმიტრიადი, ა. მელიქ-ფაშაევი, ვ. ფალიაშვილი, დ. მირცხულავა, ჯ. კახიძე, გ. აზმაიფარაშვილი და ა.შ.“ – იხსენებდა თამაზი.

საოცრად ლამაზი ხმის და ინტელექტუალური აზროვნების გარდა, თ. ლაფერაშვილი გამოირჩეოდა ბრწყინვალე არტისტული მონაცემებით, რაც განსაკუთრებულს ხდიდა მის მიერ შესრულებულ პერსონაჟებს. ისეთი დიდი რეჟისორები, როგორებიც იყვნენ ლ. მიხაილოვი, ე. პასინკოვი, ა. შტეინი, გ. მელივა, აღნიშნავდნენ მის ინტერპრეტაციას, ძალზედ ინდივიდუალურს. ემილ პასინკოვმა ერთხელ თქვა: „რომ ყოფილიყო საოპერო არტისტების მსოფლიო ნაკრები, თ. ლაფერაშვილი იქ თვალსაჩინო ადგილს დაიკავებდა. ის დაჯილდოებულია ნამდვილი დრამატული მსახიობის ნიჭით“. გ. პასინკოვის მიერ დადგმულ მოცარტის ოპერაში „დონ ჯოვანი“ – მაზეტოს პერსონაჟმა, ლენინგრადში გასტროლების დროს, მიიქცია დიდი მომღერლის – ვასილი ლუკანინის განსაკუთრებული ყურადღება. როცა ლუკანინს მიუყვანეს ახალგაზრდა თამაზი, მან გამოთქვა სურვილი ემუშავა მასთან, რისთვისაც ჩვენმა კულტურის მინისტრმა ო. თაქთაქიშვილმა ლუკანინს დიდი ჰონორარი შესთავაზა, რაზეც ლუკანინმა უარი განაცხადა: „მე 30-იან წლებში ვმუშაობდი თბილისში და სიამოვნებით გადავუხდი მადლობას ქალაქს, რომელმაც ასე თბილად მიმიღო“.

ინყება ლენინგრადის პერიოდი ლაფერაშვილის ცხოვრებაში. იმ დროს პროფესორ ლუკანინის კლა-



თენგიზ გალიაშვილი, თამაზ ლაფერაშვილი, ვიქტორია ჩაპლინსკაია

სი ბრწყინავდა ისეთი ბანებით, როგორებიც იყვნენ ე. ნესტერენკო, ვ. სელეზნევი, ვ. მალიშევი. სწორედ ე. ნესტერენკოსთან ერთად გაიყვეს პრემია „საკუთესო საკონცერტო პროგრამისათვის“ საკავშირო კონკურსზე.

თამაზი არ აცდენდა არცერთ კონცერტს ჩატარებულს ლენინგრადის ფილარმონიაში, იცოდა ყველა დირიჟორისა და სოლისტის ამა თუ იმ ნაწარმოების ინტერპრეტაცია, რამაც დაატყო კვალი მის პროფესიონალურ ზრდას. ჩემი სწავლის პერიოდში პეტერბურგის ასპირანტურაში თამაზ ლაფერაშვილს მოფერებით იხსენებდნენ, როგორც „თბილისის ოპერის ჟან გაბუნს“ – იმდენად დაუვინყარი სახეები შექმნა მან ლენინგრადის მცირე თეატრში: ფილიპი – ვერდის „დონ კარლოსში“, პორგი – გერშვინის „პორგი და ბესში“, ბაზილიო – როსინის „სევილიელ დალაქში“, ტაბა – ჩალაევის „მთიელებში“ (რამიც მიღებული აქვს ცალკე პრემია). თამაზი აღმერთებდა ვ. ლუკანინს და, როგორც დ. მჭედლიძეს, მიიჩნევდა თავის „მუსიკალურ მამად“ არა მარტო პროფესიონალური თვისებების (ლუკანინი იყო ტომარსის მონაფე და იტალიური ვოკალური სკოლის

მიმდევარი), არამედ მათი ჭეშმარიტად მამაკაცური ღირსებების გამოც.

თამაზ ლაფერაშვილმა ზუსტად ასეთი თვისებები გადასცა თავის მონაფეებს კონსერვატორიაში სოლო სიმღერის კათედრაზე მუშაობის პერიოდში – ეს არის ბეგრის მაღალი კულტურა, განსაკუთრებული მუსიკალობა და ფრაზირება, ტექსტის ბოლომდე გააზრება და ამ ყველაფრის სცენაზე არტისტულად ხორცშესხმა.

მისი გამორჩეული მონაფეები, როგორებიც არიან გიორგი გაგნიძე და მიხეილ კოლელიშვილი (პეტერბურგის მარიას თეატრის სოლისტი), ბრწყინავენ მსოფლიოს წამყვან სცენებზე, მათ შორის, მილანის „ლა სკალას“, ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ ოპერის“, პარიზის, მიუნხენის, იაპონიის და ა.შ. თეატრების სცენებზე.

ერთ-ერთ რეპეტიციასზე „მეტროპოლიტენ ოპერაში“ გამოჩენილმა დირიჟორმა ფ. ლივანინმა გააჩერა ორკესტრი და ჰკითხა გ. გაგნიძეს: „სად დაუფლეთ ასეთ ვოკალურ ტექნიკას?“ და როცა გიამ უპასუხა, რომ „ფორჯიაში“ – დირიჟორმა ჯერ იფიქრა – ამერიკაში, როცა გაიგო გვარი ლაფერაშვილი, მიხვდა, რომ საქმე

ეხება საქართველოს. მესტრო ლაფერაშვილს ძალიან ბევრი მომღერალი შეეძლო აღეზარდა საქართველოსთვის, მაგრამ 2001 წლიდან იგი აღარ მუშაობდა კონსერვატორიაში.

ცალკე თემა თამაზ ლაფერაშვილის დამოკიდებულება ქართული მუსიკისადმი. მთელი ცხოვრების მანძილზე ის გახლდათ ქართული მუსიკის გულანთებული პროპაგანდისტი – როგორც თავის ქვეყანაში, ასევე უცხოეთში. გარდა დაუვინყარი საოპერო პერსონაჟებისა, როგორებიც არიან: აბიო, ცანგალა, მაკარი (სპექტაკლი ჩანერილია ფირმა „მელოდიას“ მიერ), ხევისბერი, კაც ზვამბაია, შერგილი, თამაზი აქტიურად ასრულებდა ქართულ კამერულ მუსიკას. თავისი განსაკუთრებული არტისტიზმიდან გამომდინარე მისთვის ქმნიდნენ და მას უძღვნიდნენ ნაწარმოებებს კომპოზიტორები: ო. თაქთაქიშვილი, ს. ნასიძე, ვ. აზარაშვილი, ნ. გაბუნია, გ. სიხარულიძე და ა.შ. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ლაფერაშვილი აქცევდა სიტყვის გამოთქ-



ჯოაკინო როსინი. ოპერა „სევილიელი ფალაქი“
გაზილიუს როლში



ოთარ თაქთაქიშვილი. ოპერა „ვირველი სიყვარული“
ხუთას როლში

მას, უზომოდ უყვარდა ქართული პოეზია – სიცოცხლის ბოლო დღეებშიც ხელში ეკავა ვაჟა-ფშაველას ტომი.

მე ბედნიერი ვარ, რომ ცხოვრებამ მომცა საშუალება წლების მანძილზე ვყოფილიყავი ასეთი ნიჭიერი ადამიანის გვერდით, მემუშავა უშუალოდ მასთან ერთად საკონცერტო პროგრამაზე და საოპერო სპექტაკლზე, და ასევე, მის კლასში – კონსერვატორიაში. თამაზ ლაფერაშვილს ჩემს ერთ-ერთ პედაგოგად მივიჩნევ და მთელი ცხოვრების მანძილზე ვეცდები ხელოვნებაში მისი პრინციპები გავატარო. წლების მანძილზე თამაზი ხელმძღვანელობდა თეატრის საოპერო დასს და იყო გენერალური დირექტორის მოადგილე, სადაც დიდ სიყვარულს და პატივისცემას იღებდა კოლექტივის თითოეული წევრისაგან.

ჩვენ დავკარგეთ დიდი კაცთმოყვარე ადამიანი, რომელიც წავიდა იმქვეყნად სუფთა გულით, სადაც არ იყო სიძულვილის ნატამალიც კი. მაგრამ, მე მჯერა, რომ მისი სული და ნიჭი აგრძელებს არსებობას თავის მოსწავლეებში და ხარობს მათი წარმატებებით. ■

პაატა ბურჭულაძე – გაეროს კეთილი ნების ელჩი, თბილისისა და ფილადელფიის საპატიო მოქალაქე, შოთა რუსთაველის, იაკობ გოგებაშვილის, ზაქარია ფალიაშვილის სახელობისა და სახელმწიფო პრემიების მფლობელი; მარია კალასის, პ. ჩაიკოვსკის, ლუჩინანო პავაროტის, „ვერდის ხმების“ საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, „მსოფლიო ბანად“ წოდებული მომღერალი, რომელსაც დიდმა კარაიანმა „მეორე შალიაპინი“ უწოდა. იგი მოღვაწეობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, შესრულებული აქვს 100-ზე მეტი პარტია, თანამშრომლობდა მსოფლიოს უდიდეს დირიჟორებთან – ჰერბერტ ფონ კარაიანთან, კლაუდიო აბადოსთან, ლორინ მახელთან, ზუბინ მეთასთან, რიკარდო მუტისთან და სხვ.

ლაძე, ამაზე ერთ ამბავს გავიხსენებდით. მოგეხსენებათ, სასურსათო მაღაზიებშიც დგას საქველმოქმედო ფონდ „იავნანას“ ყუთები. ვისაც რა შესაძლებლობა აქვს, ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს ამ საქმეში. ერთხელ სასურსათო მაღაზიიდან გამომსვლელი მამაკაცი ყუთთან შეჩერდა, 100 ლარიანი ჩაავდო და თან ჩაილაპარაკა: „მადლია, ამისთვის არ მენანება, ვიცი რომ ეს ფული, სადაც საჭიროა, იქ წავაო“ – ესაა ის უზარმაზარი ნდობა, რომელიც პაატა ბურჭულაძემ სამართლიანად დაიმსახურა...

თავისთავად, პაატა ბურჭულაძის 60 წლის იუბილე უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო ჩვენთვის, ამას კი დაემატა ის, რომ საღამო მიყავდა ლეგენდარულ მსახიობს ალენ დელონს, რომლის ცოცხლად ხილვა

პაატა ბურჭულაძე – 60

ერთი შემოქმედისთვის ეს უზარმაზარი მიღწევებია და თითქოს მეტი რა უნდა ინატრო კაცმა, მაგრამ პაატა ბურჭულაძე არაა მხოლოდ ხელოვანი, ის იმ გამორჩეულ შემოქმედთა რიგშია, რომელსაც საქართველოს მოსახლეობის თითქმის ასი პროცენტი იცნობს: სოფლად თუ ქალაქად, მთაში თუ ბარში, ყველამ იცის მის მიერ დაფუძნებული ფონდი „იავნანა“ და მისი თაოსნობით რეალიზებული უნიკალური პროექტები, რომლის წყალობითაც არაერთმა მრავალშვილიანმა ოჯახმა თავი დააღწია გაჭირვებას, არაერთმა ბავშვმა თავისი მყუდრო კერა ნახა და გზას დაადგა. ძნელია ყველა იმ სიკეთის ჩამოთვლა, რაც პაატა ბურჭულაძეს საქართველოსთვის გაუკეთებია. შესაძლოა მისი დაუვიწყარი როლები: მეფისტოფელი თუ ლეპორელო, დონ-კარლოსი თუ ბორისი, კონჩაკი თუ ზარასტრო, სხვა და სხვა, ყველასათვის ცნობილი არაა, მაგრამ ტელევიზიით მაინც მოუსმენია პაატა ბურჭულაძისათვის და დამტკბარა მისი ხავერდოვანი ბანით, მონმე გამხდარა მისი ფასდაუდებელი ქველმოქმედების. თუ ვინ არის და როგორ ფასობს პაატა ბურჭუ-

ათწლეულები ჩვენი საზოგადოების, კინოს მოყვარულების ოცნება იყო, ჩვენი თაობა, ალბათ, სიზმარშიც კი ვერ წარმოიდგენდა ამას. აღარაფერს ვამბობთ, რომ კონცერტში მსოფლიოში სახელგანთქმულ ქართველ მუსიკოსთა არაჩვეულებრივი თანავარსკვლავედი იღებდა მონაწილეობას: მევიოლინე ლიანა ისაკაძე, მომღერლები: მაყვალა ქასრაშვილი, ნინო მაჩაიძე, იანო თამარ (ალიბეგაშვილი), ანიტა რაჭველიშვილი, თამარ ივერი, ნინო სურგულაძე, მარიკა გულორდავა, თეონა დვალი, ნანა მირიანი (ქავთარაშვილი), ასევე: ნატალია ქუთათელაძე, ირინა შერაზადაშვილი, მარიამ როინიშვილი; ამერიკაში მოღვაწე ახალგაზრდა ქართველი პიანისტი დავით (დათუნა) ალადაშვილი. უცხოელი პრიმადონებიდან მონაწილეობდნენ ოლგა ბოროდინა და ირინა მაკაროვა.

სპეციალურად ამ დღისთვის გაერთიანდა ორი სიმფონიური ორკესტრი – ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი და ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი. გა-



პაპასა გუჩულაძე, ალენ დელონი

ერთიანებულ ორკესტრს ორმა მამსტრომ — ჯანლუკა მარჩანომ და ნიკოლოზ რაჭველმა უდირიჟორეს.

ასეთი რანგის კონცერტს მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყანა ინატრებდა. ქართველმა მუსიკოსებმა, ცხა-დია, მონვეულ უცხოელ მუსიკოსებთან ერთად, ქართული საშემსრულებლო ხელოვნების მართლაც რომ უმაღლესი დონე აჩვენეს! ეს იყო პაატა ბურჭულაძის

კიდევ ერთი დაუვინყარი საჩუქარი ქართველი საზოგადოებისათვის, რომელიც დიდხანს, დიდხანს გაჰყვება მაღლიერ მსმენელს!

ჟურნალი „მუსიკა“ ულოცავს ჩვენს სახელოვან მომღერალს 60 წლის იუბილეს, ხანგრძლივ სიცოცხლეს და ბედნიერებას უსურვებს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ახალი ლაურეატები

2010 წლიდან საქართველოს კომპიუტერთა შემოქმედებითი კავშირის ცხოვრებაში, შეიძლება ითქვას, ახალი ხანა დაიწყო. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ აიტაცა ინიციატივა, — მონეობილიყო კონკურსები საუკეთესო ნაწარმოების გამოსავლენად, აგრეთვე დაწესებულიყო პრემიები წლის საუკეთესო საკომპიუტერო ნაწარმოებისთვის და სამუსიკისმცოდნეო ნაშრომისთვის.

ეს ყველაფერი გამიზნული იყო ქართული მუსიკის ჟანრების სასიცოცხლო არსებობისთვის. იყო ჟანრები, რომელთაც აღარ მიმართავდენ კომპიუტორები, მათ შესრულებასთან დაკავშირებით სავარაუდო პრობლემების შექმნის გამო. ამ წამოწყებამ კი (ამ პროცესში აქტიურად იყო ჩართული ან გარდაცვლილი, დიდი კომპოზიტორი და პიროვნება იოსებ კეჭაყმაძე) სტიმული მისცა კომპიუტორებს, განაწყო ამ ჟანრებში ნაწარმოებების შესაქმნელად.

თავდაპირველად კონკურსები სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებში იმართებოდა კომპიუტერთა კავშირში. ბოლო ორი წელია კონკურსი ეწყობა კულტურის სამინისტროში. ცხადია, საზოგადოება ყოველთვის ინტერესით ელის კონკურსებში გამარჯვებულებს. არანაკლებ ინტერესს იწვევს ჟიურის შემადგენლობაც, თუ ვინ წყვეტდა საკონკურსო ნაწარმოებების ბედს.

წელს ორი სახის კონკურსი გაიმართა. ერთში უნდა გამოვლენილიყო საუკეთესო ვირტუოზული პიესები ფორტეპიანოსათვის (ამ კონკურსის ჟიურის წარმოდგენდა: თავმჯდომარე მანანა დოიჯაშვილი, წევრები — მანანა ახმეტელი, ომარ მინდორაშვილი, ნოდარ ნაკაიძე, მიხეილ ოძელი), მეორეში კი უნდა შერჩეულიყო საუკეთესო რომანსი ქართველი პოეტის ლექსზე (ჟიური: თავმჯდომარე ვაჟა აზარაშვილი, წევრები — ელდარ გენაძე, თემურ გუგუშვილი, გულიკო კარიაული, დარეჯან მახაშვილი).

კონკურსი სამ ტურად გაიმართა. პირველი და მეორე ტურები აუდიოჩანაწერებით მიმდინარეობდა,




გიორგი შაჰვაჩაშვილი

მესამე ტური კი ცოცხალი შესრულებით. შემსრულებლები იყვნენ — პიანისტი თამარ ლიჩელი, მომღერლები: ლევი იმედაშვილი, ნუცა ზაქაიძე, ირაკლი მურჯიკნელი, ლაშა სესიტაშვილი, კონცერტმასტერი მაია ფერაძე.

გამარჯვებული ნაწარმოებები, ნომინაციაში საუკეთესო ვირტუოზული პიესა, აღმოჩნდა: გიორგი შა-



გურამ ნალარიშვილი



შალვა შალვაშვილი

ვერზაშვილი – ტოკატა (პირველი პრემია), ზურაბ ნადარიშვილი – ეტიუდი (მეორე პრემია), შავლეგ შილაკაძე – კაპრიჩიო (მესამე პრემია); ნომინაციაში საუკეთესო რომანსი ქართველი პოეტის ლექსზე: კახა ცაბაძე – რომანსი „დუმილი რეკავს“, ლექსი მუხრან მაჭავარიანის (პირველი პრემია), შავლეგ შილაკაძე – რომანსი „როდესაც კვნესის ბუკიოიტი“, ლექსი ანა კალანდაძის (მეორე პრემია), კახა ცაბაძე – რომანსი „როგორც მიყვარდი“, ლექსი გოდერძი ჩოხელის (მესამე პრემია).

განსაკუთრებულ ინტერესს მაინც პრემირებული ნაწარმოებების მოსმენა იწვევს. აქამდე ტარდებოდა კონცერტები, სადაც ხდებოდა ავტორთა დაჯილდოება და სრულდებოდა გამარჯვებული ნაწარმოებები. სამწუხაროდ, გასულ წელს ეს ვერ მოხერხდა, მაგრამ საზოგადოება სულმოუთქმელად ელის ამგვარ კონცერტ-დაჯილდოებას, 2014 წლის გამარჯვებულ კომპოზიტორებთან და მათ ქმნილებებთან შეხვედრას.



კახა ცაბაძე

დღეს, როდესაც საქართველოს უმშვენიერესი, სისხლხორცეული კუთხის, აფხაზეთის ანექსია გრძელდება, თბილისში, „აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი“ ინარჩუნებს და სულს უბერავს აფხაზურ ენგადს – სულიერებას, რომელიც დევნილობაში მყოფ აფხაზობას შეუნარჩუნებია და რომლის გარეშეც არ არსებობს არამცთუ ქართველი და აფხაზი, არამედ საზოგადოდ – ერი. განა რაა ერი თუ არა ისტორიული მემკვიდრეობა, კულტურა და ურთიერთსიყვარული, ერთ პატარა მიწის ნაგლეჯზე სხვადასხვა გუნება-განწყობის ადამიანებში თანაარსებობის, ერთობის აუცილებლობას რომ განაპირობებს...

„აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა“ შესანიშნავ ტრადიციას დაუდო სათავე – იგი თავის მოკრძალებული შესაძლებლობებით თავს უყრის



ელისო ასათიანი

მხია ჯაფარიძე

აფხაზური ოაზისი

ანუ „სოხუმში შეხვედრამდე“

ხოლმე დევნილობაში მყოფ შემოქმედებით, სამეცნიერო საზოგადოებას, რომელთა მენტალობაში ყველაზე მეტადაა დავანებული მთავარი – ის კულტურული ფასეულობები, რომლებიც აფხაზეთიდან წამოუღიათ და მიუხედავად უმძიმესი ათწლეულებისა, მაინც სიყვარულითა და რუდუნებით შემოუნახავთ შთამომავლობისათვის. ესაა საღამოები, სადაც თავის ბავშვობას, ეზო-კარს, უმშვენიერესი აფხაზეთის ბუნებას, მეგობრებს, ღირსეულ ადამიანებს იხსენებენ, ერთმანეთსაც თავს ახსენებენ. მოგონებებს აფხაზეთზე, პატივისცემისა და სიყვარულის ურთიერთგაზიარებებს, მუსიკალური ნომრები აღამაზებს და ამშვენებს... იმ მცირე, ორ-სამ საათში, ეს ტკივილნარევი, სითბოთი სავსე სალონური საღამოები რომ გრძელდება, თავს პატარა აფხაზურ

ოაზისში იგრძნობთ, სადაც არც ომია, არც შუღლი და არც ბოღმა...

როგორც უკვე აღვნიშნე, საღამოს ყოველთვის ახლავს მცირე კონცერტი. აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ „აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის“ ხელმძღვანელი, მუსიკისმცოდნე, საოცრად კულტურული, განათლებული, პოეტური ადამიანი ქ-ნი სვეტლანა ქეცვა და არაერთი საინტერესო იდეის ავტორი, ქართული მუსიკალური კულტურის დიდი გულშემატკივარი, მუსიკისმცოდნე ლია სეხნიაშვილი ყოველთვის საინტერესო, გემოვნებიან პროგრამას სთავაზობენ მსმენელს.

ამჯერად საღამოს საკონცერტო ნაწილი გახსნა უცხოეთში მოღვაწე შესანიშნავმა მუსიკოსმა, პიანის-

ტმა ელისო ასათიანმა. იგი მოღვაწეობდა ესპანეთში, როგორც სოლისტი და კონცერტმასტერი. ამ ამბულაში ელისო არაერთი ვოკალური კონკურსის ლაურეატი: ესპანეთში, საფრანგეთში, ბელგიაში, პორტუგალიაში. 1995 წელს მან სწავლა გააგრძელა ჰამბურგის მუსიკისა და თეატრის უმაღლეს სასწავლებელში, პარალელურად დაამთავრა ჰამბურგის უნივერსიტეტის გერმანისტიკისა და მუსიკის მეცნიერების ფაკულტეტი-

თვითონაც წერს ლექსებს), პოეზიის მისეული თარგმანები ასეთი მაღალი დონისა ვერ იქნებოდა. ლისტის „რობერტ შუმანის“ ელისოსეული თარგმანის ნაწყვეტი დაიბეჭდა კიდევ ჟურნალ „მუსიკაში“. სამწუხაროდ, ელისოს, ესოდენ განათლებულ, დახვეწილ მუსიკოსს, მიუხედავად მისი არაერთი საინტერესო ჩანაფიქრისა, ძალზე უჭირს სამშობლოში თავისი იდეების რეალიზება და კონცერტების გამართვა, რაც ნამდვილად სამწუ-



როიალთან ნანუ ჯალიძე, დიმიტრი ზოქოლივილი, სალომი ჯიძია.

ბი. მიღებული აქვს არაერთი პრიზი, მათ შორის 2002-2004წწ. რიხარდ ვაგნერის ასოციაციის სტიპენდია, აგრეთვე მიწვეული იყო ბაიროითის ფესტივალზე სოლო კონცერტით. არ შეიძლება არ აღინიშნოს მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობა. მას აქვს შესანიშნავი, დახვეწილი თარგმანები: თეოფილ გოტიე, მათილდა ვეზენდოკი, პეტრარკა, ფრიდრიხ ნიცშე, ადალბერტ ფონ შამისო, რიხარდ ვაგნერი, ფერენც ლისტი და სხვ. რომ არა მისი პოეტური ნიჭი (როგორც ვიცი, ელისო

ხაროა, რადგან მისი კონცერტები ყოველთვის სავან-მანათლებლო დატვირთვისაა. ქართველ მსმენელს კარგად ახსოვს მის მიერ გამართული კონცერტები მიძღვნილი მალერისა და ვაგნერის შემოქმედებისადმი. ამჯერად მუსიკოსმა მსმენელს შესთავაზა შოპენის ექსპრომტები (№1 თბ. 29, As dur; №2 Fis dur, თბ. 36.). აღფრთოვანებული შეკრებილი საზოგადოება ითხოვდა ბისზე შესრულებას. პიანისტმა ბისზე შეასრულა ლისტის „სიყვარულის ოცნებები“. ელისო ასათი-

ანმა მსმენელს რომანტიკული მუსიკის განსხვავებული ინტერპრეტაცია შესთავაზა, გერმანული თავშეკავებულობა, სიმკაცრე, მაგრამ ამასთანავე სიღრმე რომ ახლდა თან. მისი ფრაზირება და ღრმა ბგერა მოკლებული იყო ზედმეტ რომანტიზაციას და სენტიმენტებს, თუმცა ემოცია შესრულებას ნამდვილად არ აკლდა.

შოპენის ექსპრომტები ქართულმა კლასიკამ შეცვალა. დღეს უკვე ყველასათვის კარგად ცნობილმა, თბილისის ოპერისა და ბალეტის სოლისტმა, საერთაშორისო პრიზების მფლობელმა, მასტრო რენატა სკოტოს მასტერკლასის ნევრმა, სოპრანო სალომე ჯიქიამ შესრულა ლელას არია რევან ლალიძის ამავე სახელწოდების ოპერიდან. მას აკომპანირებს უნევედენ ისეთი მუსიკოსები, როგორებიც არიან: ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ქ-ნი ნუნუ ჭელიძე და კლარნეტისტი დიმიტრი ბოქოლიშვილი. დიმიტრი ბოქოლიშვილი დღეს რომის, სანტა ჩეჩილიას აკადემიის საშემსრულებლო დაოსტატების უმაღლესი კურსის სტუდენტია. მისი პედაგოგია რომის აკადემიის პროფესორი, ცნობილი კლარნეტისტი ალესანდრო კარბონარე. არცთუ დიდი ხნის წინ დიმიტრი ბოქოლიშვილი გახდა იტალიის ქალაქ პადოვას XIII საერთაშორისო კონკურსის "Premio Citta di Padova"-ს პირველი პრემიის მფლობელი. ახლახან, საქართველოს მუსიკალური საზოგადოების საერთაშორისო კამერული ფესტივალის გახსნის საზეიმო კონცერტზე, დიმიტრიმ საზოგადოება მონუსხა თავისი საოცარი მუსიკალობით, ბრწყინვალე ბგერით, ტექნიკით, ოსტატობით. მსმენელს დაუვინყარ შთაბეჭდილებად დარჩა მის მიერ ბისზე შესრულებული ნაწარმოები — გაეტანო დონიცეტის "Studio Primo" სოლო კლარნეტისათვის.

ქ-ნი ნუნუ ჭელიძე და დიმიტრი ბოქოლიშვილი სალომეს ექსპრესიულ, ღრმად ემოციურ შესრულებას უზადო თანხლებას უწევდნენ — ეს იყო შესანიშნავი ანსამბლი. კლარნეტის დახვეწილი ჟღერადობა სრულიად განსხვავებულ მომხიბლაობას სძენდა ყველასათვის უსაყვარლეს არიას. სალომეს შესრულებას განსაკუთრებული ემოცია სდევდა თან — მისი დედაც აფხაზეთიდან ლტოლვილია. იქნებ ამანაც განაპირობა ის, რომ სამშობლოს სიყვარული, სევდა და ტკივილი, რომელიც ამ არიაშია განსხეულებული, სალომემ ისეთი ემოციით



სალომე ჯიქია, ნუნუ ჭელიძე, დიმიტრი ბოქოლიშვილი

მოიტანა მსმენელამდე, რომ ცრემლის გარეშე ძნელი იყო მოსმენა, მით უფრო ამ გარემოში...

მეორე ნომრად სალომე ჯიქიამ შესრულა ოთარ თავთაქიშვილის „დედაო ღვთისავ, მზო მარიამ“ ვოკალური ციკლიდან გალაკტიონ ტაბიძის ლექსებზე. დრამატიზმით, ტრავიზმით აღსავსე ეს შესანიშნავი რომანსი, ისევე, როგორც მთელი ციკლი, მრავალი კონცეპტუალური-ემოციური თუ ტექნიკური პრობლემის წინაშე აყენებს მომღერალს, რის სრულყოფილად გადმოცემას და მსმენელამდე სწორად მიტანას, უდავოდ, მაღალი პროფესიონალიზმი ესაჭიროება. სალომემ ამჯერადაც მძლავრი ემოცია აღძრა მსმენელში.

დიმიტრი ბოქოლიშვილმა, ნუნუ ჭელიძის აკომპანიმენტით, შესრულა აგრეთვე საკონცერტო ფანტაზია „რიგოლეტოს“ თემებზე. ტრანსკრიპცია სპეციალურად დიმიტრისათვის შეუქმნია ლუიჯი ბასის. ასეთი ოსტა-

ტობით, მუსიკალობით შესრულებულმა ვერდის მელო-
დიებმა, არაჩვეულებრივად გაიჟღერეს. დასანანი მხო-
ლოდ ისაა, რომ დიმიტრიმ ნაწარმოები ბოლომდე არ
შეასრულა.

საკონცერტო ნაწილის ბოლოს, სოხუმის დ. არა-
ციშვილის სახელობის მუსიკალური სასწავლებლის
პედაგოგმა მანანა ბერულავამ ქართულ პოპულარულ
მელოდიებზე აგებული საფორტეპიანო კომპოზიცია



გიორგი ბალახაშვილი

შესთავაზა მსმენელს.

ეს სალონური საღამო გახსნა და დახურა აფხაზე-
თიდან ლტოლვილმა ახალგაზრდა პოეტმა ვიორგი
ბალახაშვილმა, რომელსაც აფხაზეთი არცკი უნახავს,
თუმც სევდა მშობლიური კუთხის დაკარგვისა, მაინც
დაჰყვება მასაც და მის ლექსებსაც. მან საღამოს და-
საწყისში თავისი ორი ლექსი წაიკითხა: ერთი გამოძა-

ხილი იყო 90-იანი შავ-ბნელი წლებისა, ხოლო მეო-
რე რიჩარდ ბახის გახმაურებულ მოთხრობის „თოლია
ჯონათან ლივინგსტონის“ შთაბეჭდილებით დაუნერია,
რომელიც ყოფითობასა და ყოველდღიურობაზე ამაღ-
ლების, მასისათვის განსხვავებულის მიუღებლობის, სუ-
ლიერი სრულყოფის, თავისუფლების თემებს ეძღვნება
და იმას, რომ ამის პოტენცია ყველა ჩვენგანში დევს.
აფხაზეთიდან ლტოლვილი ახალგაზრდა პოეტის ამ ნა-
წარმოებითა და მასში დაშიფრული თემებით გატაცება
არა მგონია შემთხვევითი იყოს... ბოლოს კი ელისო ასა-
თიანის შესრულებით გამოწვეულმა ემოციამ გიორგის,
აკროსტიხის სალექსო ფორმით, ექსპრომტივ კი დაა-
წერინა, რომელშიც სახელი ელისოა დაშიფრული:

ე-გ თითები, ჩემო კარგო, როგორც ქრიზანთემები,
ლ-ისტს და შოპენს აცოცხლებენ,
პარტიტურებს შუბერტის...
ი-ცი? შენი თვალებიდან ტიტანებს რომ შევებით,
ს-აოცარი სიმშვიდით და აღტაცებით ვუსმენდით.
ო-ლიმპოდან გესალმები,
თუმც პარნასის მკვიდრი ვარ,
ს-ულ ერთს გეტყვი: Ich Liebe
და ჩემს მუზებთან მივდივარ!

ეს ნამდვილად იყო ამ პოეტური საღამოს პოეტური
კოდა.

ჩემი წერილი მინდა დავასრულო ქ-ნ ადა მარშა-
ნიას სიტყვებით, რომელმაც მადლობა გადაუხადა ქ-ნ
ლანა ქეცბას, ამ მშვენიერი საღამოს ყველა ორგანიზა-
ტორს, მონაწილეს და აღნიშნა:

„ყველა დევნილობაში მყოფი, ვინც „აფხაზეთის
სულიერებისა და კულტურის ცენტრში“ მოდის, სული-
ერად უკეთესად გრძნობს თავს... ჩვენ აქ ერთმანეთს
ვხვდებით, ბოგჯერ ვეცნობთ ერთმანეთს... სამწუხა-
როდ, ვერა და ვერ მოხდა ჩვენი გაერთიანება ერთი
ფრაზის გარშემო და ამიტომაც ვართ დევნილობაში
21 წელი!.. როგორც ებრაელები ამბობდნენ, ვიდრე არ
დაბრუნდნენ ისრაელში – „იერუსალიმში შეხვედრამ-
დე“, ჩვენც უნდა ვთქვათ – „სოხუმში შეხვედრამდე“
მანამ, სანამ იქ არ დავბრუნდებით. ამ შეხვედრებს კი
შეიძლება დავარქვათ – „სოხუმში შეხვედრამდე!“...

მთარგმნელისაგან:

„მუსიკოსები ისე უნდა გიყვარდეს, რომ არ უნდა მისცე უფლება დაეშენენ იმ შემოქმედებით ნიშნულს ქვემოთ, რომელზედაც ასვლის უნარი აქვთ“.

რომან კოფმანი

ჩემმა ბედმა ისე მოისურვა, რომ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის მსახიობმა ყველასათვის მოულოდნელად გადავწყვიტე სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი გავმხდარიყავი... თუმცა ჩემთვის ეს მოულოდნელი კი არა, დიდი ხნის ოცნება იყო, მეგონა – აუხდენელი, ვიდრე კინოსა და თეატრის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბალეტის რეჟისურის სპეციალობაზე სწავლისას (პროფესორ გოგი ალექსიძის სახელოსნო) არ შევხვდი ქალბატონ ნანა ლორიას, არაჩვეულებრივ პედაგოგს, რომელმაც კლასიკური მუსიკისადმი სიყვარული კიდევ უფრო გამიღვივა და რაც მთავარია, დამარწმუნა, რომ მე ამას შევძლებდი... მოგვიანებით, როცა კონკრეტული არჩევანი უნდა გამეკეთებინა, ბატონმა ვია ყანჩელმა მითხრა: „თუ ამაზე სერიოზულად ფიქრობ, მხოლოდ რომან კოფმანთან უნდა წახვიდე კიევში“... ასე აღმოვჩნდი დიდი მასტროს მონაფეთა შორის კიევის პ. ჩაიკოვსკის სახელობის მუსიკალურ აკადემიაში.

რომან კოფმანი, დირიჟორი, მევიოლინე, კომპოზიტორი, რეჟისორი, პედაგოგი, მწერალი, პოეტი, ფილოსოფოსი... ადამიანი, რომელიც გაოცებს, რომელსაც შეუძლია მუსიკის და სიტყვის ისე გარდაქმნა, რომ მსმენელი და მკითხველი ერთნაირად მოაჯადოოს.

ბუნებით რეფორმატორი, ხანდაზმულ ასაკშიც მუდამ ახლის ძიებამია. როცა ხუთი წელი გერმანიაში, ბონის ოპერის და ბონის სიმფონიურ ორკესტრებს ხელმძღვანელობდა, სხვა მნიშვნელოვან პროექტებთან ერთად განახორციელა დიმიტრი შოსტაკოვიჩის თხუთმეტივე სიმფონიის ჩანერა, დადგა ათი ოპერა, ბონის სიმფონიურ ორკესტრს მისი ინიციატივით ბეთჰოვენის ორკესტრი ეწოდა, დიდი მასტრო კი დაჯილდოვდა საპატიო ჯვრით გერმანიის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის.

დღეს რომან კოფმანი უკრაინის ეროვნული ფილარმონიის აკადემიური სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორია. მრავალი წელია უკრაინის კულტურულ ცხოვრებაში უნიკალურ მოვლენადაა მიჩნეული მისი საავტორო კონცერტები: „კოფმანი და მისი მეგობრები“, „ბეთჰოვენის ყველა სიმფონია“, „მოცარტის ყველა სიმფონია“ (წარმოიდგინეთ, პირველად უკრაინაში ერთ სეზონში ერთმა ორკესტრმა შეასრულა მოცარტის ყველა,



მიხეილ მანაზაფა, რომან კოფმანი

41-ვე სიმფონია), შუბერტის, ბრამსის, ჩაიკოვსკის ყველა სიმფონია... ყოველწლიური საერთაშორისო ფესტივალი „მაღალი კლასიკის ერთი კვირა რომან კოფმანთან ერთად“, სადაც მსოფლიო მუსიკის ვარსკვლავებთან ერთად ცნობილი ქართველი შემსრულებლებიც მონაწილეობენ: ელისო ვირსალაძე, ლიანა ისაკაძე.

პროფესორ რომან კოფმანზე და მის, როგორც პედაგოგის დამსახურებაზე, მისი სწავლების განსაკუთრებულ მეთოდსა და სტილზე, დირიჟორის აღზრდის მისეულ ხერხებზე საუბარი ცალკე თემაა. საკმარისია გავცნოთ მის წიგნს „დირიჟორი და ორკესტრი, ანუ 100 „უსარგებლო“ რჩევა ახალგაზრდა დირიჟორებს“, რომ ცხადი გახდეს მისი დამსახურება ამ მხრივაც. თავის დროზე, მისი ხელმძღვანელობით კიევის კონსერვატორიის სტუდენტურმა სიმფონიურმა ორკესტრმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა ბონში ბეთჰოვენის ფესტივალზე, ამავე ორკესტრმა უკრაინაში პირველმა შეასრულა ალფრედ შნიტკეს და ვია ყანჩელის ნაწარმოებები... მკაცრი მასწავლებელი სწავლის დამთავრე-

ბის შემდეგ თავისი მოწაფეების თბილ მეგობრად და დაუზარელ მრჩევლად რჩება.

შეკითხვაზე, რომელია მისთვის უპირველესი, მუსიკა თუ ლიტერატურა, მასეტრო პასუხობს: „უპირველესია ლიტერატურა, თუნდაც იმიტომ, რომ ლექსების წერა უფრო ადრე დავიწყე, ვიდრე მუსიკის შესწავლა“.

დღეს რომან კოდმანი ათამდე წიგნის ავტორია. „წიგნი არყოფნისა“ მისი მეოთხე წიგნია მოგონებებით, მისი და მისი მეგობრების მხატვრულად დამუშავებული ცხოვრებისეული ისტორიებით. მეგობრებს შორის კი არიან: შნიტკე, პიარტი, ყანჩელი, გუბაიდულინა, სილ-ვესტროვი, გუტმანი, ვირსალაძე, ისაკაძე, როსტროპო-

ვიჩი, კრემერი, მონიგეტი, ლიუბიმოვი...

ძალიან მინდოდა, კლასიკური მუსიკით დაინტერესებულ ქართველ მკითხველს გაეცნო ეს საოცარი ადამიანი, მე კი ამ ჩემი მოკრძალებული თარგმანით მადლობა გადამეხადა დიდი მასეტროსათვის დირიჟორის ჯადოსნური ჯოხის ფლობის ურთულეს გზაზე გამოჩენილი მოთმინებისა და თანადგომისათვის.

მისილი მინაზაძე

უკრაინის ეროვნული ფილარმონიის აკადემიური სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორის თანაშემწე.

ძვირფასო ქართველო მეგობრებო!

ბედნიერი ვარ, რომ ჩემი წიგნი უცხოურ ენაზე პირველად სწორედ ქართულად ითარგმნა. საქართველოსთან მე სხვადასხვა დონის უამრავი მეგობრული კავშირები მაახლოებს – ახალგაზრდობაში სტუდენტური კონტაქტებიდან დაწყებული, დამთავრებული მრავალწლიანი შემოქმედებითი და პირადი მეგობრობით თქვენ შესანიშნავ მუსიკოსებთან – ელისო ვირსალაძესთან და ლიანა ისაკაძესთან.


ამ ჩამონათვალს აგვირგვინებს ღრმა და უწყვეტი მეგობრობა დიდ ვია ყანჩელთან. ბედნიერი ვარ, რომ პირველმა ვუდირიჟორე მის ნაწარმოებებს უკრაინაში. და არცთუ დიდი ხნის წინ, შარშან ნოემბერში, უკვე მე-

რამდენე შეხვედრა, დიდი იმედი მაქვს, რომ არა უკანასკნელი, ვია ყანჩელთან კიევში, სადაც კონცერტზე – „ეძღვნება უკრაინელ ხალხს“, კიევის კამერულმა ორკესტრმა და ბავშვთა გუნდმა „შჩედრიკმა“ შეასრულა მისი „სევდის ანგელოზები“ (დანერლილი სპეციალურად „შჩედრიკისათვის“. სხვათა შორის, გუნდი დაფუძნებულია ჩემი მეუღლის მიერ და ამჟამად მას ხელმძღვანელობს ჩემი ქალიშვილი)... ვიოლინოს პარტია ვიდონ კრემერმა შეასრულა... და ბატონი ყანჩელიც ჩვენთან იყო, ჩვენი ქვეყნისთვის უმძიმეს დღეებში... მაგრამ ჩვენ მაინც შევსვით თითო-თითო ჭიქა ქართული ღვინო მარადიული მუსიკისათვის.

რამდენიმე წლის წინ, კონსერვატორიაში, ჩემს კლასში და შემდგომ უკვე ასპირანტურაში სწავლობდა მიხეილ მენაბდე – ნიჭიერი ახალგაზრდა, საინტერესო წარსულითა და, იმედი მაქვს, კიდევ უფრო საინტერესო მომავლით. ჩემს კლასში ის შემთხვევით არ მოხვედრილა, არამედ იმავე ბატონი ყანჩელის რეკომენდაციით და ამისათვის მე მისი მადლიერი ვარ.

და კიდევ: კიევში მე ვცხოვრობ შოთა რუსთაველის ქუჩაზე, რაც ასევე შემთხვევითი არ უნდა იყოს – ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩემს მიჯაჭვულობას საქართველოსთან.

რომან კოჭმანი



წიგნი არყოფნისა პაროლი – შნიტკე

ჩემი სიმამრი, საბლინი ნიკოლაი ივანოვიჩი, იაპონელი „შპიონი“ გახლდათ. უფრო სწორად, მთლად ჯაშუში კი არა, უბრალოდ ენთუზიასტი, იაპონიაში ოქრო რომ უნდა გადაეზიდა და იაპონელების საამებულად ხიდები რომ უნდა აეფეთქებინა. სინამდვილეში მას ხიდები არ აუფეთქებია, მხოლოდ განზრახული ჰქონდა, არც ოქრო გადაუზიდა, რადგან ხელშიც კი არასდროს სჭერია. კიდევ უფრო ზუსტად კი, – არც აპირებდა, გაეკეთებინა ან ერთი, ან მეორე, და უფრო მეტიც, პირიქით – იყო პატიოსანი და შეგნებული მუშა. ცხოვრობდა ერთ პატარა დაბაში, ბაიკალსიქეთა ბორცვებს შორის რომ ჩაკარგულიყო... და კიდევ, იაპონელების ჯინაზე, სტახანოველიც კი იყო.

მაგრამ ამხანაგ სტალინს და მის „ორგანოს“ ექოვს მოესურვათ, რომ ნიკოლაი ივანოვიჩი საბლინი იაპონელი შპიონი და საშიში მავნებელი ყოფილიყო. ამიტომ დიდხანს ითმინა ამხანაგმა სტალინმა, ითმინა და 37-ში, აევსო რა მოთმინების ფილა, წაიყვანა ნიკოლაი ივანოვიჩი საბლინი იაპონელებისაგან მოშორებით, ვორკუტის მისადგომებთან და დამალა იქ, ყრუ დაჭაობებულ ჭაღაში მავთულხლართების მიღმა.

იაპონელები კი, დაკარგეს რა ასეთი მნიშვნელოვანი თანაშემწე, ძალიან აღელდნენ, ომისთვისაც კი დაიწყეს მზადება და, საბოლოოდ, დაკარგეს არა მხოლოდ ნიკოლაი ივანოვიჩი საბლინი, არამედ კარგი რეპუტაცია და ასევე ჩრდილოეთით მდებარე თავისი ტერიტორიებიც კი, რასაც დღემდე ძალიან ნანობენ და მათ დაბრუნებას ასევე ძალიან ცდილობენ. მაგრამ ვერ მიართვეს! ადრე უნდა ეფიქრათ და ნაკლებად ეშფოთად.

ასე ფიქრობდა და სულ არ შფოთავდა ნიკოლაი ივანოვიჩი საბლინი სრული თორმეტი წელი, ვიდრე 56-ში არ შეატყობინეს კრემლიდან, რომ, თურმე, ის სულაც არ ყოფილა მავნებელი და ჯაშუში, ყოფილა ნორმალური, უწყინარი მოქალაქე, რომ სამშობლოს მიმართ არ უნდა ჩაიდოს გულში წყენა და რაც ძალი და ღონე შერჩა, გაი-

ხაროს სიკოცხლით... მზის ამოსვლითა და მზის ჩასვლითაც. დაჭერილი ქაშაყითა და შვილიშვილის ტიტინით, დილის სიგრილით და ცხელი ჩაით ახლა უკვე ფაიფურის – და არა ალუმინის (!!!) – დიდ ფინჯანში. ზოგჯერ კი ენატრებოდა ის საზოგადოება, სწორედ ის, მავთულებს იქით. არადა, რა ხალხი იყო მის გვერდით! მართალია, ყველანი ბოროტი ზრახვებით, მაგრამ მათთან ლაპარაკი ნამდვილად დიდი სიამოვნება იყო. აი, მაგალითად, ექიმები, პროფესორები, ვინაც რევოლუციის ქარიშხალას – ალექსეი მაქსიმოვიჩის (იგულისხმება მაქსიმ გორკი) მოშორება ჩაიფიქრეს... ან პოეტები უკრაინიდან, რომელთაც განზრახული ჰქონდათ... ღმერთმა უწყის, რა ჰქონდათ განზრახული, მაგრამ ესენიც – ხალხი, ძალიან ღირსეული,... და ბევრი, ძალიან ბევრი სხვა. ასეები, ათასები, მილიონები... თვალუნვდენელი სივრცეები... თავები, თავები, თავლები, პირები...

და კიდევ, ნიკოლაი ივანოვიჩი საბლინი მაგრად უკრავდა გარმონზე და ჩვენს ოჯახში, სადაც ყველას მუსიკასთან საკმაოდ ახლო შეხება აქვს, ის იყო ყველაზე მხიარული მუსიკოსი.

ძვირფასო კოლეგა-მათემატიკოსებო, თქვენ, ვისაც ყველა კითხვაზე მყისიერად მზად გაქვთ პასუხი. მომაპყარით, გეთაყვა, თქვენი ნაღვლიანი მზერა.

რა ხდება? ასე ძლიერ როგორ მოქმედებს ჩვენზე ეს დიდი რიცხვები? ასე უცნაურად რატომ აძინებენ ისინი ჩვენს სინდისს?

რატომაა, რომ ხუთი ათეული კაცის დამღუპველის, მანიაკი ჩიკატილოს დანაშაულების გამო მსოფლიოში მილიონობით ადამიანი შეძრწუნდა, ხოლო ყველა დროისა და ხალხის ყველაზე დიდი სერიული მკვლელის, გარეგნულად ადამიანის მსგავსი არსების – იოსებ ჯულაშვილის მიმართ, თავს უფლებას ვაძლევთ, გამოვავლინოთ, ეგრეთ ნოდებულები, „შერეული გრძნობები“? შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ მოხუცი ქალები, რომლებსაც დემონსტრაციამზე ჩიკატილოს პორტრეტები მოაქვთ და მასზე სიმღერებს მღერიან? რამდენია ის კრიტიკული რიცხვი, რომლის მიღმა პიროვნების გამოცნობისათვის თავს აღარ ვინუხებთ და ვაფიქსირებთ მხოლოდ ჯოგის სულადობას, მაშინ, როცა ჩვენი თანამოდძეები, მელოტე-

ბი და ხეჭუჭთმიანები, ტანსრულები და ხმელები, ბედნიერები და სანყლები, ბრუციანები და მზერამახვილნი, ჩვენთვის მხოლოდ უსახური, რხევადი მასაა? თანაც, როცა ეს რხევა გვაღიზიანებს, თუ დავუშვებთ, რომ ეგრეთ წოდებული, „ზნეობრივი გრძობა“ ყოველ ორგანიზმში ბუდობს, მაშ, რა ეშმაკისეული არითმეტიკაა, ასე რომ გვაჩლუნგებს, როგორც ეს სრულიად რუსეთის კომპოზიტორთა კავშირის ყოფილი მეთაურის, ბატონ X-ის შემთხვევაში მოხდა? პოპულარული გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში მას არ რცხვენია ფშვინვით იმსჯელოს იმ „მაგნიტურ“ ზემოქმედებაზე, რომელსაც უხვად ასხივებდა საყოველთაო-სახალხო ჯალათი. გარდა ამისა, გვარწმუნებენ, რომ ეს გაქცეული კატორღელი, თურმე, ხელოვნებაშიც ერკვევა. ხოლო ამ გასაოცარი ამბის დასტურად ბატონ X-ს, რომელიც, როგორც ჩანს, ჰინოზიდან ჯერ ვერ გამოსულა, მოჰყავს გულის ამაჩუყებელი, რომ იტყვიან, საშობაო ზღაპარი: ერთხელ სტალინი წყვეტს თურმე პოლიტიბუროს სხდომას და სთავაზობს მას დიდ თეატრში წასვლას, სადაც რამდენიმე წუთში „ივანე სუსანიინიდან“ მიხაილოვი იმღერებს არიას „გრძობენ სიმართლეს“. შესანიშნავია! შთამბეჭდავია! და ამასთან, დიდებულ ევროპულ ტრადიციებშია მოქცეული. დასავლეთის საუკეთესო ადამიანები ხომ არასდროს ყოფილან გულგრილნი ხელოვნებისადმი! მაგალითად, ჰიტლერსაც უყვარდა ოპერა. მართალია, გლინკაზე მეტად ვაგნერს ანიჭებდა უპირატესობას და უცნობია, მიერეკებოდა თუ არა ის რაისკანცელარიიდან თავის კამარილიას ათი წუთით ოპერაში, რათა კოლექტიურად მოესმინათ არია „ტანჰოიზერიდან“... რეისმარშალი, ბუნჩულა გერინგი ფერნერის კოლექციონერი იყო, ჩვენი საყვარელი ჟდანოვი ფორტეპიანოზე „ძაღლების ვალსს“ ასრულებდა. მოლოტოვი კი ოდესღაც, თავის ვიატკაში, კვარტეტში ალტზე უკრავდა!..

წარმოიდგინეთ, გვიან საღამოს მოსკოვის ცარიელ, დათოვლილ ქუჩებში დაჯავშნული „ЗИС-ების“ (ომის-შემდგომი პერიოდის უმაღლესი კლასის მანქანა — მ.მ.) კავალკადა. დიდი თეატრის საიდუმლო კარებს შეაღებს ვახტიორად გამოწყობილი, დაჭირბლული გენერალი, — და აი, უკვე ლოჟაში განთავსდნენ პუბლიკისათვის უხილავი, ხახვისა და ჩექმის სუნის მფრქვეველი თვითმარქვია ბელადები.

ჰოი, ხელოვნების კეთილისმყოფელო ძალავ! მადლობა შენ, გლინკა! ამ რამდენიმე წუთს მაინც, ვიდრე სუსანიინი მიწებებული წვერის ცახცახით სიცოცხლეს ეშვადობებოდა, ნატიფი ხელოვნების მოყვარულთა უმაღლესი წრიდან არ გამოცხადებულა მორიგი სასიკვდილო განაჩენი.

მოკვდა ალფრედ შნიტკე.

გასაკვირია, მაგრამ სულაც არ მინდა გავამუქო ფერები. ბედისწერის ტრაგიზმმა სრულად ამოწურა კოლორიტის შესაძლებლობები. მხოლოდ თავი უნდა დავხაროთ დიდი გათავისუფლების წინაშე — ტკივილისაგან, სიმუხვისაგან, რყევებისაგან.

ახლა კი პროვინციული ქრონიკიდან.

დეკორაცია — კიევის კონსერვატორიის მოღუშული ვესტიბიული.

მოქმედების დრო — ოთხმოცდაათიანების დასაწყისი. იმპერია ორსულადაა „პერესტროკით“. ორსულობა შეუმჩნევლად მიმდინარეობს არა მხოლოდ გარშემოცოფთათვის, არამედ თვით მრუშისთვისაც.

აფიშებით აჭრელებულ კედელს ვუახლოვდები, მინდა დავტკბე საკვირველი ნუგბართ: შნიტკეს საავტორო კონცერტი! პირველად უკრანაში! ალფრედი ის-ისაა ორმოცდაათის გახდა და მე კი, ვერაფრით ვერ მოგიყვებით, როგორ მოხერხდა ამ კონცერტის ჩატარების ნებართვის მიღება კიევში, ქალაქში, სადაც მოსკოვეური სუსტი წამოხველება კიევურ ბრონქიტად იქცეოდა ხოლმე.

მამ ასე, მიაღვენეთ თვალი: აღელვებული და ამაყი — ეს მე ვარ. ოდნავ წინ, ჩემსკენ ზურგით, კომპოზიტორია.... აი, აქ კი, მის ჯინაზე, დავარქვით მას უცხოური ასო X. ტურების ცმაცუნით კითხულობს აფიშის ტექსტს. (აქ, ფრჩხილებში, უნდა აღინიშნოს, რომ კომპოზიტორი X იმ შემოქმედთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა სახელიც კარგადაა ცნობილი ხალხისათვის; მაგრამ იგივე ხალხს რომ ჰკითხო, მაინც რითაა სახელოვანი ეს ცნობილი სახელის მატარებელი, ანუ რა მოიმოქმედა — ხალხი აჩეჩავს ორმოცდაათმილიონიან მხრებს და იტყვის: „ღმერთმა უწყის!“ სამაგიეროდ, ერთი რამ კი კარგადაა ცნობი-



ელისო ვირსალაძე, როზან კოჭიანი

ლი კომპოზიტორ X-ზე, რომ მუზების მსახურებაზე უფრო მეტად უყვარს მას კომისიებში, პრეზიდენტებში, სამხატვრო საბჭოებში ფდომა და, მიუხედავად დაბალი ხმისა და თითქოსდა მოვლემარე გარეგნობისა, გამოირჩევა უნარით, ყველაზე უიმედო სიტუაციებიდან ჰიდრავლიკური ძალით გამონუროს სათავისო შედეგები. ყურადღებიანი მეთვალყურე შეამჩნევს, რომ ყველა დროში და ყველა კონტინენტზე თავისი შემოქმედების „გაქაჩვით“ გამოირჩეოდნენ სწორედ არასიკოცხლისუნარიანი ოპუსების შემოქმედნი. ვინაიდან ჭეშმარიტად დიადი აღმოჩენები იქმნება მეცნიერებათა შესაყარზე, ნება დაგვრთეთ, გავაკეთოთ განაცხადი ფიზიკა-ხელოვნებამცოდნეობის კანონის რეგისტრაციაზე: „ავტორის მიერ თავისი შემოქმედების გაქაჩვის ძალა უკუპროპორციულია მისი ხარისხისა“).

...ამრიგად, დგას კომპოზიტორი X აფიშის წინ, რომელიც გულზე ამკარად არ ეხატება, დაბოლოს, წარმოთქვამს ისე, სივრცეში, უმისამართოდ: «Що ж це

робиться? Нас (!?) не грають, а тут якась Шнитке!»¹ ახლაც კი მახსოვს ეს ხმა, რომლის მოდულაციებში ძალიან რთულადაა შერწყმული დზარალებული და ამპარტავანი ადამიანის, დიდი წყენისა და, ამავე დროს, სწრაფი და სამართლიანი შურისგების მოლოდინის გრძნობა.

მე მაინც მაღლობელი ვარ კომპოზიტორ X-ის მოულოდნელი საჩუქრისათვის: შავი ლინგვისტური იუმორის საყვარელი ნიმუში.

თუმცა ალფრედის გვართან დაკავშირებით, ასე მიუჩვეველი რომ იყო მუსიკასთან შორიახლო მყოფი მოღვაწეების ყურისა და თვალისათვის, კიდევ უფრო ეგზოტიკური თავგადასავლები იყო დაკავშირებული.

აი, მაგალითად, მივეშურები რეპეტიციაზე დიდ ქალაქ ხარკოვში, ვხედავ წითელ ფერში შესანიშნავად

¹ „რა ხდება? ჩვენ (!?) არ გვასრულებენ, აქ კი ვილაც შნიტკე!“

დაბეჭდილ საკონცერტო აფიშას, სადაც პროგრამა ასეა წარმოდგენილი:

- ფ. ვერდი – უვერტიურა ოპერიდან „ბედისწერის ძალა“
- ჟ. ბიზე – სიუიტა მუსიკიდან დრამისათვის „არლეული ქალი“
- შ. ნიტკე – კონცერტი ფორტეპიანოსა და სიმებიანებისთვის....

აღბათ მიხვდით, ვთხოვე ფილარმონიის დირექტორს ამ გულისამაჩუყებელი აფიშის რამდენიმე ეგზემპლარი, ხოლო ერთი მათგანი დაუყოვნებლივ გავუგზავნე ალფრედს და სულ მალე ფილდოდ კიდევ ერთი რარიტეტი მივიღე. როგორც კი კონცერტის პარტიტურის ნაბეჭდი ვარიანტი მოიტანეს, – მანამდე ხელნაწერით მიხდებოდა დირიჟორობა, – მე გამომიგზავნეს ეგზემპლარი წარწერით: „რომანს – მადლიერებით, შემდგარი და შეუმდგარი შესრულებისთვის,

- ა. შნიტკე
- შ. ნიტკე
- ი. ტკე
- ტ. კე
- ect....“

(„შეუმდგარი“ კი იმითომ, რომ კომპოზიტორ შ. ნიტკეს კონცერტი საერთოდ არ ჩატარდა: სალამოს, ავარიის გამო, დიდი ქალაქი ხარკოვი წყვილიაღში ჩაიძირა. პუბლიკა ორმოცი წუთი მოთმინებით ელოდა; ორკესტრანტები კულისებს მიღმა ხელის ცეცებით ეძებდნენ თავიანთ პროფკავშირის ლიდერებს და თხოვდნენ სახლებში გაშვებას. ბოლოს გამოცხადდა, რომ კონცერტი გაუქმდა და როცა საწყალი მსმენელები ერთმანეთს ეჯახებოდნენ და ისე მიინევდნენ გასასვლელისკენ, დრამატურგიის კანონების თანახმად, შუქიც მოვიდა. პუბლიკა სიხარულით მოაწყდა უკან, მაგრამ, როგორც ხვდებით, თითქმის ყველა ორკესტრანტი უკვე ტრამვაიში იმყოფებოდა და მშობლიური კერებისაკენ მიიჩქაროდა).

ვლასარაკობდით სერგეი სლონიმსკის ოპერაზე „ოსტატი და მარგარიტა“, ბაიანზე, ორკესტრში ივანე ბეზდომნის სახის შესაქმნელად რომაა შეყვანილი. ვოხუნჯობლით. მე ვყვებოდი ნიკოლაი ივ. საბლინზე, მის მხარეულ

გარმონზე; ალფრედს შევთავაზე, შეექმნა რაიმე გარმონისათვის ყოფილი იაპონელი შპიონისათვის ოჯახურ წრეში შესასრულებლად. ალფრედმა თქვა: „კარგი, მე გავაკეთებ ვალსის ვარიაციებს თემაზე „მანჯურის გორაკებზე“...“

უცნაურად იხლართება და ერწყმის ერთმანეთს თემები, მინიშნებები, ბედისწერა, მოტივები...

აბა, რა არის საერთო რაფინირებულ გენიოსსა და გულდია, სენტიმენტალურ მეგარმონეს შორის? საერთაშორისო უზარმაზარი სახელის მქონე მანსტროსა და მხოლოდ რიგითი ნომრის მქონე პატიმარს შორის?

და აი, ერთხელაც შეთავსდნენ ეს შეუთავსებელი ენერგიების ლეკურტები და აღმოჩნდა, რომ ეს კავშირები რაციონალურ კვლევისათვის მიუწვდომელია. ეს კავშირები წარმოიქმნება უსასრულობაში და უსასრულობაშივე გადადის. ისინი თავისი თავითვე იკვებებიან; ამ ჯაჭვის რგოლები ზოგჯერ ქრება, მაგრამ ისინი თურმე ფსკერზე ეშვებიან იმისათვის, რომ საჭირო დროს მოულოდნელად ამოტივტივდნენ.

ამრიგად, ერთხელაც დამწვა საყოველთაო კავშირების კიდევ ერთმა ციკმა ნაპერწკალმა. როცა ვუკრავნელ ფუგატოს შნიტკეს პირველი Concerto grosso-დან, ვხედავ შორიზონტს მიღმა მიმავალ, უკიდევანო, ეკლიან მავთულებს, მესმის ქარის არათანაბარი სტვენა... და მავთულებს მიღმა – პატიმარ ნიკოლაი ივ. საბლინის ცისფერ თვალებს, შუშის ცრემლით.

ამ ყინულოვანი სიდამწვრის დაღი არ ქრება; თავს ვერაფერს ვუხერხებ... და არც მინდა მოვუხერხო.

ვინ უფრო უყვარს ღმერთს: ადამიანები თუ ცხოველები?

– რა თქმა უნდა, ადამიანები, – იტყვიან თქვენ, – ადამიანის შექმნაში ხომ ამდენი ღვთიური გამჭრიახობა დევს!

მაგრამ, გეთაყვა, მაინც რაშია უპირატესობა? ტვინის შეფარდებითი სიდიდე? ეს არაა პრინციპული. ზოგ ძალთან პუშკინისა და ტოლსტოის ენაზე ვინდა საუბარი და ის გაგიგებს. მაშინ, როცა აგერ გვერდით ორ ფეხზე მდგომი ჰომო, ასე ვთქვათ, საპიენსს, შესაძლოა, ვერაფერი შეასმინო, – რამეთუ მისი მოცულობითი ტვინი პასუხობს მხოლოდ სიგნალებს: „ვემსახურო“, „ფეხებთან“

და საყვარელის — „фак!“

ცხოველებს იუმორის გრძნობა არ გააჩნიათ, ეს უკვე უფრო არსებითია. თუმცა არც აქაა ყველაფერი ნათელი. არის ხალხი, სიცილით რომ კვდება, როცა კრემიან ტორტს სახეზე ითითხნიან... რაზეც ცხოველები არ რეაგირებენ, — ეს მათ მხოლოდ ღირსებას მატებს.

მაგრამ, ყურადღება! მთავარი, შიმის მომგვრელი, თითქმის უიმედო განსხვავება: კაცობრიობას, ფაუნისაგან განსხვავებით, გაჩაღებული აქვს არა სახეობათაშორისი, არამედ შიდასახეობრივი დაუნდობელი ბრძოლა! ადამიანი ალტკინებით, სიხარულით ანადგურებს თავისი სახეობის წარმომადგენლებს; იგი, მშვიდი თუ ძაძღარი, თავს ესხმის ნინიდან და უკნიდან, ღამით და დღისით, მართო თუ ჯოგურად.

და აი, კიდევ რა ხდება ჩვენთან არამხეცურად: დაუნდობელ შიდასახეობრივ ბრძოლაში იღუპებიან არა ყველაზე სუსტი, სიციოცხლისუნარიანობას მოკლებული ინდივიდები, არამედ ყველაზე საუკეთესონი. ამაყები, ნიჭიერები. ისინი განწირული არიან...

კიდევ რას აღმოაჩენ საინტერესოს, კაცობრიობას თუ გვერდიდან დააკვირდები(!)? სიმართლე გითხრათ, არც მთლად ცუდადაა საქმე. ღმერთმა კიდევ ერთით განგვასხვავა, რათა ადამიანები სირცხვილისა და სინანული-საგან არ მოვკვდარიყავით. მხეცები მონათესავე სუნს ეძებენ. ადამიანები — მონათესავე სულელებს... ეს ძიება, სწორედაც რომ, იფარავს კაცობრიობას საბოლოო დამლისაგან, ისაა ჩვენი ყოველდღიური ამაო შემოქმედების, ჩვენი დიდი ფაცი-ფუცის არსი, რომელსაც ყოველთვის ვერც კი ვაცნობიერებთ.

მაგრამ, როგორ არ უნდა შევცდეთ? როგორ გამოვიცნოთ მონათესავე სულელები?

ზოგჯერ ხმით გამოიციან, ზოგჯერ — ინტონაციით, ზოგჯერაც — სათვალეების გაღვებით ან თავის დახრის მანერით, ნიშნებით, ასე უხვად რომაა მიმოფანტული მატერიალურ სამყაროში.

60–70-იან წლებში ვილაც, ვინც მეტროს ვაგონში ჟურნალ „ნოვი მირს“ კითხულობდა, ნათესავი თუ არა, დიდი ხნის ნაცნობი მაინც გეგონებოდა. სურვილი გქონდა, მისალმებოდი ან გავეღიმა მაინც. აი, ის კი, ჟურნალ „იუნოსტიი“ ხელში, თავისუფლად შეგეძლო ყავაზე მიგებატიყა ან, მაგალითად, გეთხოვა, ხმამაღლა წაე-

კითხა.

ეს იყო ნიშნები. თქვენ ვერც კი აცნობიერებდით, ისე მოვდიოდით სიგნალი. წარმოთქვამდნენ პაროლს. და თქვენც, გსურდათ დაგეჯერებინათ — ამ ადამიანთან ზურგით დგომა არ არის საშიში.

ადამიანები ერთმანეთისკენ მიილტვოდნენ. თბებოდნენ და ათბობდნენ, ოცნებობდნენ, ოხუნჯობდნენ, ტიროდნენ და ღალატობდნენ.

პოეტური ავანგარდი ვოზნესენსკის ირგვლივ გვეუფდებოდა; ახალგაზრდა კომპოზიტორები, ისინი, ვინც ცკ-ს სახელმძღვანელოებსა და დადგენილებებს არ სცნობდნენ, ანდრეი ვოზნესენსკისა და ედისონ დენისოვისკენ მიილტვოდნენ და ხარბად ისრუტავდნენ სიახლეებს „ვარშავული შემოდგომიდან“.

კომუნისტურ ვირთხებს, სხვათა შორის, ავანგარდისტები სიკვდილამდე არ ავიწყდებოდათ. მათ მხოლოდ მწკრივში ატარებენ (прогонять сквозь строй²), მაგრამ ცოცხლებს ტოვებდნენ, რათა გამათრახებულ ზურგზე წამებულთა სამოსი გადაეცვათ და ეფართხალათ და ეძიძგილავათ. ასე იქმნებოდა სულიერი ცხოვრების ვითომდა არსებობა არასულიერ ტერიტორიაზე, სუნთქვის ილუზია ვაკუუმში.

ზოგჯერ ხელისუფალნი, გართობის მიზნით, ავანგარდისტებს, როგორც ეგზოტიკურ ფრინველებს, საექსპონატოდ გამოფენდნენ ხოლმე...

აღფრედ შნიტკეს ვერანაირად ვერ მოერგებოდა ვიტრინის თოჯინის როლი.

უპირველესად, სისხლის ანალიზი — საშინელი. ნახევრად ებრაელი, ნახევრად გერმანელი — საბჭოთა კომპოზიტორისათვის უიმედო ვარიანტია. მართალია, რუსულმა ქარბუქმა საბჭოთა სიმღერების ებრაელი კომპოზიტორები უხვად მოხვეტა. მაგრამ შნიტკეს, სამწუხაროდ, ისე არ უყვარდა სიციოცხლე, როგორც კალმანოვსკის, როგორც ბლანტერს — კატეუმა, როგორც

2 მეფის რუსეთის არმიაში ჯარისკაცის დასჯის წესი. ორმწკრივად განლაგებულ ჯარისკაცებს შორის გაატარებდნენ დასჯილ ჯარისკაცს, ურტყამდნენ ჯოხებით და შპიცრუტენებით (წკებლა).



გიორგი კრამერი, რომან კოჭავაძე

ძმებს პოკრასებს – ბუდიონი; მან არ განადიდა სიმღერაში დნეპრი როგორც ფრადკინმა, ხოლო რუსული ველი – ფრენკელმა; არ აამაღლა საბჭოთა ადამიანების სიცოცხლის ხალისი მთელი გრადუსით, როგორც დუნაევსკიმ და, ბოლოს და ბოლოს, არცკი მოუთხოვია: დაე, მუდამ ვიყო მე, როგორც ოსტროვსკიმ. ანუ, რას უნდა გამორჩე ამ კაცს!? მაგრამ, მეორე მხრივ, თუმც იგი ვერაფერი შემწეა ორი სისტემის შეჯიბრში გამარჯვებისათვის, მაგრამ, ზოგადად, უწყინარი მაინცაა. თავად არავის ერწყმის, მის ირგვლივაც არავინ ირევა, არ დისიდენტობს. იყოს თავისთვის, იარსებოს... და ხელისუფლება თითქოს ვერც კი ამჩნევდა აღფრედ შნიტკეს. ის კი არაა, ერთხელ, მისი გლობალური პოპულარობის ხანაში, მას ნ. კრუპსკაიას სახელობის რესპუბლიკური პრემიის ლაურეატის მაღალი წოდება მიანიჭეს – მულტფილმისათვის შექმნილი მუსიკისათვის...

ყოველთვის დააბიჯებდნენ დედამიწაზე ადამიანები –

თავისთავად. მარტოსული მგლები.

ჰო, რა თქმა უნდა, ჰყავთ მათ ახლობლები, უფრო სწორია, ითქვას დაახლოებულები; ვისაც გაუმართლებს – ოჯახი. მაგრამ ისინი მარტოსულები არიან ამ არცთუ მხიარული სიტყვის უმაღლესი ვაგებით, როგორი მარტოსულიც უნდა იყოს განსაკუთრებული მისიის მატარებელი ადამიანი.

ასეთია არვო პიარტი, ასეთი იყო აღფრედ შნიტკე. ორივეს გაუმართლა ცოლებში. ცოლის თანადგომის გარეშე სულ მთლად გაუსაძლისი იქნებოდა ღვთისმადიებული ჟღალწვერიანი არგოსათვის ის დღეები, როცა ის, კომპოზიტორთა კავშირიდან გარიცხული, სნეული, თითქმის მოშიშმილე, ერთი და ისიც უვარგისი თირკმლის ამარა, კილომეტრებს კეცავდა ტალინის ქუჩებში, როცა ფოსტას არიგებდა, შიმშილით რომ არ მომკვდარიყო... საჭიროა კი ირინა შნიტკეს ყოველდღიური გმირობის აღწერა, როცა უმოძრაო და მეტყველებადაკარგული ქმრის ასისტენტად იქცა მის შეუსვენებელ კომპოზიტორულ საქმიანობაში, მორიგი ინსულტის მოლოდინში.

მაგრამ შნიტკე და პიარტი, რომლებიც პროკოფიევი-სა და შოსტაკოვიჩის შემდეგ ყველაზე ხშირად სრულდებიან დასავლეთში, ყოფილი საბჭოთა კომპოზიტორები არიან – ისინი არიან ადამიანები კლუბების გარეშე. თავყრილობების გარეშე. ჯგუფური მიდრეკილებების გარეშე. მაშინ, როცა თითქოსდა ყველა ნიშა შევსებული იყო, მათ იპოვეს საკუთარი ენა; როდესაც ყველა ბილიკი გათელილი მოსჩანდა, მათ საკუთარი გზა იპოვეს და ამაყ მარტოობაში გაუყვნენ მას, იმავდროულად დელიკატურნი და შეუვალნიც.

ასეთია ვალენტინ სილვესტროვიც, რომელიც დროისა და, წარმოიდგინეთ, თითქოსდა სივრცის გარეშე ცხოვრობს.

ასეთია გია ყანჩელიც – კიდევ ერთი მარტოსული მგელი. ახლა მის თავზე ბელგიური ნაცრისფერი ღრუბლიანი ქაა, ის ისუნქავს ანტვერპენის ზღვის სურნელს და არავინ უწყის, რა აზრები ბუდობს მის იდეალურად გამოძერწილ, სკულპტურული თავის ქალაში.

ბრწყინვალე და უიღბლო საქართველოვ, ნურავის დაუთმობ შენს გიას, ნურავის! დიახ, იგი უყვართ დასავლეთში, მაგრამ იქ ვერ გაიგებენ, თუ რატომაა ასე უსასრულო მისი ზეციური მელოდიები. და იქ სიტყვა „მიმი-ნოს“ გაგონებაზე არავის გაელიძება...

პირველი დარტყმა, სხვათა შორის, ალფრედს სწორედ საქართველოში დაატყდა თავს. ვინ იცის, როგორი იქნებოდა დასასრული, ეს რომ სხვა ადგილას მომხდარიყო. მაგრამ მაშინ, გეგონებოდათ, მთელი საქართველო ფეხზე დადგა და სათუთად აიყვანა ხელში; ის ბიჭვინთიდან დაუყოვნებლივ ვერტმფრენით თბილისში გადმოიყვანეს და მის ირგვლივ შეიკრიბნენ საუკეთესო ექიმები, მათ შორის, მოსკოვიდან მონვეულებიც. მაშინ ალფრედი შეინარჩუნეს, მოუარეს, გადაარჩინეს.

თქვენ გახსოვთ ქართველების ეს საარაკო გულღიობა – თავმომწონეობის ზღვარზე, მაგრამ ზღვარს მიღმა – არასდროს.

სამწუხაროდ, დიდხანს არ მიეცა ამოსუნთქვის საშუალება. დარტყმები ერთმანეთის მიყოლებით, ყრუდ, ართმევდა მას მოძრაობისა და მეტყველების უნარს, ვიდრე სრულ უმოძრაობამდე, სიმუნჯემდე. მაგრამ ყოველივე,

რაც ამ ადამიანში ცოცხლობდა და სუნთქავდა, კვლავაც მუსიკას ქმნიდა.

არაერთ თვესა და წელს გრძელდებოდა ეს შეუდარებელი სატანჯველი. ეს ის დრო იყო, როცა ქვეყანა ცხოვრობდა დაძაბული სულიერი ცხოვრებით: შემოქმედებითი კავშირები ქონებას იყოფდა, ლამაზი არტისტები, ასევე ლამაზ პრემიებს იგონებდნენ და ერთმანეთს აჯილდოებდნენ, უიღბლონი ფურშეტებზე ჰპოვებდნენ შევებას, ხოლო სულიერი პროდუქტის მილიონობით მომხმარებელი ხარბად ჩაჰკირკიტებდა დილის გაზეთებს იმის გასაგებად, პოპ-მომღერალთაგან რომელი მოასწრებს სხვებს დაორსულებას.

შნიტკეს მუსიკას ვერ შეიყვარებ, მაგალითად ისე, როგორც უყვართ დებიუსი, ვივალდი ან შოპენი. ის არ გვეუბნება: მომისმინეთ, რა კარგი ვარ! ის თითქოს გულგრილია, არ აინტერესებს, უსმენთ მას თუ არა; ის ცხოვრობს საკუთარ, მტკიცედ და მჭიდროდ დასახლებულ სამყაროში. და თუ შეიჭვრიტეთ ამ სამყაროში, იგი გაგვლევთ, სულს აგიფორიაქებთ თავისი ენერგიით, რომელიც შეუთავსებადია თქვენს მიმღებ აპარატთან, რამეთუ ის სხვა ენერგეტიკულ ველში არსებობს. და ეს მუსიკა, თავისი მახვილი ძვიდეებით, ტრილობებს მოგვაყენებს იმიტომ, რომ მისი გეომეტრია შეუთავსებადია ჩვენს, ადამიანურ, მრავალსაუკუნოვანი კომპრომისებით გაქლიბულ-გაპრიალებულ გეომეტრიასთან.

შესაძლებელია მხოლოდ გემინოდეს ამ მუსიკის ან გძულდეს ის ისევე, როგორც ვჭულს ან გვემინია ყველაფრის, რაც სცილდება ჩვეული რეფლექსების ზღვარს.

ვიდეოკასეტამ გაიტკაცუნა და ტვინის სიღრმეში შეცურდა... წამიერი გაელვება და – თვალწინა სურათი: მოსკოვი, ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზი, ინსტრუმენტების აწყობა, ნახევრადგანათებული სცენა, რეპეტიცია „ლოქტორ ფაუსტის ისტორიის“ პრემიერის წინ.

პრემიერა კი ჯერ კიდევ გაზაფხულზე გამოცხადდა. მზადება ძალაში შევიდა და კარტიც შესანიშნავად დალაგდა: პულტთან – როჟდესტვენსკი, ანგელო-

ზი – კულმანგალიევი, ტექსტი – არავითარი გოეთესი, არამედ პირველშობილი, ძველი გერმანული ლეგენდა; ხოლო სატანის როლში, ფოფოხეთის მოციქული... ალა პუგაჩოვა. წარმოიდგინეთ: სკენაზე უზარმაზარი სიმფონიური ორკესტრი, აივნებზე – გუნდი, და სადღაც დარბაზის სიღრმიდან მიკროფონით ხელში ფაუსტის სულის საყიდლად ტანგოს რიტმში მოკურავს ახალგაზრდა ალა!

პრემიერას, ტუნების ლოკვით, მთელი მოსკოვი მოუთმენლად ელოდა. პარტიის ქალაქკომიც მოუთმენლად ელოდა და ამიტომაც გააუქმა პრემიერა. გააუქმა თავის ჩვეულ სტილში, მზაკვრულად, კომუნისტური საღმით, დილით, პრემიერის დღეს, ჩასაფრებული კუთხიდან, ისე, რომ არ დაუტოვებია წერილობითი განკარგულების არანაირი კვალი.

ახლა კი, შემოდგომაზე დაუშვა და კვლავაც – არგუმენტების გარეშე. ო, პარტია, შეუცნობადია შენი გზები!

და აი, შემოდგომა, გენერალური რეპეტიცია უკვე დაიწყო. პულტანაა პოლიანსკი, პუგაჩოვას ნაცვლად – კოტოვა დიდი თეატრიდან. ამფითეატრი თითქმის ცარიელია და მხოლოდ მარჯვნივ, მეოთხე რიგში ორი წყნარი ადამიანი: მუსიკის ავტორი და მის გვერდით (არა, ასეთი რამ ცხოვრებაში არ ხდება!) – მე, უკრაინული გედის ტბის „საძაგელი ბატის ჭუკი“, დირიჟორი ორკესტრის გარეშე, «ноль без палочки»³. ცოტათი მაყრიალებს, მატარებელში უძილო ღამის გამო, მაგრამ უფრო იმიტომ, რომ „ფაუსტის“ პარტიტურა ავტორის მარცხენა და ჩემს მარჯვენა მუხლზე დევს, ჩვენი შვერა კი პარტიტურის ერთსა და იმავე წერტილში იკვეთება. ის თანაბარი და დაბალი ხმით უკეთებს კომენტარებს შესრულებას, მღელვარების, ყოველგვარი მინიშნების გარეშე, თითქოს მისი თხზულებების პრემიერა ყოველდღე ყოფილიყოს.

ასევე ჩემად ჰყვება იგი შესვენებაზე „ფაუსტის“ საგზაფხულო ავბედითი თავგადასავლების შესახებ, მშვიდად და უბოროტოდ, თითქოს მსუბუქად დასკინის, გაუგებარია ვის, და არც არავის უჩივის.

საღამოს კი, პრემიერაზე – ზღვა ხალხი. მილიციამ მოედანზე რკინის ტიხრები დააყენა, როგორც ფეხბურ-

თის მატჩის დროს...

დაუსრულებელი მრავალმნიშვნელოვანი ოვაციების პასუხად ავტორი სკენიდან საკმაოდ მოუხერხებლად ხრის თავს... მე კი სულ ის ჩუმი ხმა მესმის, რომელიც ისე მომითხრობს შემოქმედის დევნის შესახებ, თითქოს საუბარი მხოლოდ მოუხერხებულ ფეხსაცმელს ან კოლოებს შეეხებოდეს, აგარაკზე ზაფხულის დახუთულ საღამოს რომ განუხებენ.

სად უნდა მოიძიო ასეთი მოთმინება?

ან იქნებ ალფრედმა უკვე მიიღო მრისხანე სიგნალი მომავლიდან და სიმამაცით აღიჭურვა?

და იქნებ დიდი მოთმინებაა სწორედ სიდიადე?

ნიკოლაი ივ. საბლინ, პატიოსანო მექანიკოსო, მხიარული მუსიკოსო და ბანაკის მტვრის ნაწილაკო, აუუუ, ძვირფასო!

დაბოლოს, მთლად დასაწყისისკენ. პირველი შეხვედრი-საკენ.

სამოცდაათიანების მეორე ნახევარი. ძალზედ განვითარებული, სამწუხაროდ, სოციალიზმის ყველაზე უღიმღამო ხანა.

ყოველისშემძლეობით გონებაარეული და გაზულუქებული ჩინოფნიკები. რაღაც – რაღაცები დაშვებულია, მაგრამ ყველაფერი განწირულია.

ენციკლოპედია არტისტების შესახებ: დაიბადა 19.., 19.. – დამსახურებული არტისტი, 19.. – გარდაიცვალა. ყველაფერი სწორია: შემოქმედის ცხოვრება ჩქეფდა არა პრემიერიდან პრემიერამდე, არამედ ბრძანებიდან ბრძანებამდე. რაც უფრო მაღალია წოდება, მით უფრო კომფორტულია საავადმყოფო, სადაც შენ ოდესმე ზენარს გადაგაფარებენ, – შემოქმედებისთვის უდიდესი სტიმულია....

თუმცაღა, ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ „უძრობა“ (застой) დროებით უქმდებოდა. სსრკ-ს ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსი ატყდებოდა თავს. ქვეყნის პულსი ირღვეოდა, სუნთქვა არათანაბარი ხდებოდა. მზარეული ქალები სახელმწიფოს მართვას თავს ანებებდნენ და ბანქოზე მკითხაობდნენ თუ ვინ გავიდოდა პიანისტებიდან მესამე ტურში. ერთმანეთის მონინააღმდეგე მევიოლინეები კათოლიკეებად და პროტესტანტებად ან,

3 უმნიშვნელო, არშემდგარი ადამიანი.



ალფრედ შნიტკა

ლმერთმა დაგვიფაროს, ხუტუ და ტუტსად გადაიქცეოდნენ⁴.

ქვეყანას უხაროდა და აღშფოთებული იყო, მისი სახე ხან ტანჯვით, ხანაც სიხარულით იბრიცებოდა... და სწორედ ეს, დაღახვროს ეშმაკმა, იყო სოციალიზმი ადამიანური სახით, — თუნდაც ორი კვირით! (სიტყვამ მოიტანა და, აბა, შეეცადეთ, გაისხენოთ ბოლო კონკურსების გამარჯვებულების სახელები? ან თუნდაც, ჟიურის წევრები? ასეა, ასე. თქვენ კი ამბობთ: „ზასტოი“).

და აი, კიევი ელის კონკურსის გამარჯვებულს, რომის ტრიუმფატორი მონაგონია, თუმც მამინ ჯერ კიდევ სრულიად საბჭოთა მევიოლინეს გიდონ კრემერს. პროგრამაშია კომპოზიტორ ალფრედ შნიტკეს „Concerto grosso

4 რუანდაში 1994 წელს უბედურება დატრიალდა. ერთი ტომის ხალხმა (ხუტუ), რომელიც უმრავლესობა იყო ქვეყანაში, გადაუარა მეორე ტომის ხალხს (ტუტსის), რომელიც უმცირესობას წარმოადგენდა... ორი თვის განმავლობაში მილიონამდე ტუტსი გაანადგურეს..

2 ვიოლინოს, კლავესინის, მომზადებული როიალისა და სიმებიანი საკრავებისათვის” (დაწერე სიტყვა „კომპოზიტორი“ და თვალწინ დამიდგა სტატია „პრავდიდან“, სადაც ალფრედის შესახებ ეწერა «композиторишка Шнитке» (Якесь Шнитке). სალაპი! უნიკალური პასკვილის ავტორი, დირიჟორი, რასაკვირველია, სახალხო არტისტი, დღესაც ცოცხალია და, როგორც ამბობენ, საჭმლის მონელებას არ უჩივის. გიდონის ზარი და — ერთდღიან ორკესტრში მოხალისეები 24 საათში შეკრებილია.

შეცბუნებას ინვევდა „მომზადებული როიალი“... ეს როგორ? ...კიევის სადგურზე მატარებლიდან ეშვებიან კრემერი, მარადახალგაზრდა ტატინა გრინდენკო და მათთან ერთად მდუმარე კაცი, სახის დახვეწილი ნაკეთებითა და ჩავარდნილი, გამგებებიანი თვალებით.

ორი საათის შემდეგ ალფრედი უკვე როიალის საშოში იქეჩება, სადაც, „სტენვის“ ნერვულ სისტემაში ერთკაპიკიან მონეტებს ჩრის.

კონცერტზე თავად ავტორი უკრავს როიალზე და

კლავესინზე. როიალი კენისის, ბრდღვინავს და ოხრავს, როგორც დაჭრილი მხეცი. გარინდებულ და სუნთქვა-შეკრულ ჰუბლიკას აზრადაც არ მოსდის, რომ ეს ხმელ-ხმელი, უცნობი, ორკესტრანტებს შორის რომ ჩაკარგულა, არის სწორედ ის, ვინც ეს ყველაფერი მოიგონა.

მე კი მაშინ ყოველივე ამას აღვიქვამდი მიამიტი ბავ-შვივით, თითქოსდა ამგვარი ზღვარგადასული მოვლენები ცხოვრებაში კიდევ ბევრი უნდა ყოფილიყო. მხოლოდ ახლა, ოცი წლის შემდეგ, მთლიანად ვეშვები რა არყოფნის ვარსკვლავურ დროში, ღრმა ნოსტალგიური მღელვარება მიპყრობს.

რომ გაიგოთ რას ვგრძნობდი, წარმოიდგინეთ, რომ დირიჟორი ხართ და თქვენს ორკესტრში „თქვენი ჯობით“ დირიჟორობს, აი, მაგალითად, შუმანი. ან სტრაუსინსკი. ან ბრამსი... მაგრამ თუ მუსიკოსი არ ხართ და ხართ, დავუშვათ, სამხედრო, დაუშვით წარმოსახვაში, რომ მხედართმთავარი ხართ, უძღვებით ჯარს და აქვე, მესამე რიგში მარცხნიდან მეოთხე – სუვოროვია!

დადგება დრო და შნიტკეს ცხოვრების ბოლო პერიოდს შეადარებენ ბეთჰოვენის ტრაგიკულ წლებს...

კომუნიკაციის საშუალებების გარეშე დარჩენილი, მომავლის, აწმყოს, იმედის გარეშე...

ბეთჰოვენმა გადარჩენა ღვინოში სცადა. შნიტკემ კათოლიკობა მიიღო. ვაკურთხოთ ერთიცა და მეორეც.

არავინ უწყის, რა ეხმარებოდა მათ დაჯიჯვნილ სულს ამოეხეთქათ თავისივე სიღრმიდან – დასასრულამდე – მუსიკა, ერთადერთი სუფთა სუბსტანცია ამ დედამიწაზე.

პათეტიკისკენ თუ გადავიხრებით, შეგვიძლია ვთქვათ ალტრედის შესახებ: მეტყველებადაკარგული, ის ათასებს ესაუბრებოდა; სანოღზე მიჯაჭვულმა კი მსოფლიო შემოიარა.

ამ სიტყვებს იაპონიაში ვწერ. სასტუმროს ფანჯრის მიღმა, ისევე, როგორც გუშინ, როგორც მთელი კვირის მანძილზე ჯადოსნური სილამაზის დაისია. „ჩამავალი მზის ქვეყანა“... გუშინ ისევ შეგვანჯღრია და ცათამბრჯენმა გაამართლა მეტაფორა – მართლაც ცას მიეზღინა...

ტელევიზორში გამორთული ხმით – ფერადოვანი, უღაზათო ციმციმი. სატელევიზიო ესთეტიკა აქ, სამწუხაროდ, ისეთივე უნესრიგოა, როგორც ჩვენთან.

ეკრანი მშვიდდება, ფერები ქრება. იაპონური ტელევიზია უჩვენებს, ვერ ვხვდები, კამჩატკას თუ სახალინს. ბორცვები, „ხრუშჩოვკები“, სილატაკე. აი, ქორნილიც; ცა ქუდად... ყველა ბედნიერია, როგორც ჩანს, ქარხნის სასადილოა; ახალგაზრდა უკბილო მეგარმონე რაღაცას ჩუმად უბერავს...

დავიძაბე, გაუგებარია რატომ. მღელვარება მატულობს, პასუხს ითხოვს... იქნებ კითხვას... ვერაფერს ვხვდები... ხმა ჩავრთე.

აი, თურმე რა ხდება! მეგარმონე უკრავს „მანჯურის გორაკებზე“. არმყოფობა თავის მომწუსხავ ნიშანს მანვდის, მავთულის ბოლოები ნაპერწკლებს ყრის...

იაპონია... აუფეთქებული ხიდები... 58-ე მუხლი... შნიტკეს დაუნერული ვარიაციები მეგარმონისა და მისი ოჯახისათვის... ეკლიანი მავთული...

რაღაც აკლია, მოუთმენლობის ჟრუანტელი მივლის.

აჩქარებული ვძვრები ფრაკში, უკვე ლიფტში ვიცვამ ლაბადას, სასტუმროს გასასვლელში მომსახურე ბიჭი თავს დაბლა მიხრის... ღრმად ვისუნთქავ წყნარი ოკეანის ჰაერს, მიღებენ მანქანის კარებს და უკვე გზაში ვაცნობიერებ. საათიც კი არ გავა და გარინდებულ დარბაზში ყრუ ნაბიჯებით დაინყებს თავის შემდგომ სვლას, ეკლიანი მავთულხლართის გასწვრივ, შნიტკეს ფეუგა.

ჯაჭვიც შეიკვრება.

ნიკოლაი ივ. საბლინ, იაპონელო შპიონო და სოციალისტური მავნებელო, შენ ახლა სხვა, ნამდვილ სამყაროში ხარ. იქ ბევრი, შეუდარებლად მეტი ადამიანია, ვიდრე ამ მხარეს – აურაცხელი თაობა, მილიარდობით სულელები.

როცა ჩემი დრო მოვა, აუცილებლად გიპოვი. ძალიან მინდა, ჩემთვის ეს სასიკოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს.

მაგრამ როგორ შევხვდე, როგორ ვიპოვოთ ერთმანეთი? მიცნობ კი? ნუთუ არანაირი იმედი არაა? მოდი ვეძებოთ, მოდი შევხვმიანოთ...

პაროლი – შნიტკე.





ნიკოლოზ (პოპა) გუდიაშვილი

ნიკოლოზ გუდიაშვილის ხსოვნას

დოღო გოგუა

გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის, პედაგოგის, საქართველოს სახალხო არტისტის ნიკოლოზ გუდიაშვილის დაბადებიდან 100 წლისთავი აღინიშნა საიუბილეო საღამოთი, რომელზედაც შესრულდა მისი კამერულ-ვოკალური და ინსტრუმენტული ნაწარმოებები, ხოლო ამ ღრმად პატივსაცემი და უაღრესად მიმზიდველი ადამიანის პიროვნული თვისებები გაცოცხლდა მისი კოლეგების მოგონებებში.

ჯერ კიდევ 1978 წელს ნიკოლოზ გუდიაშვილის შე-

მოქმედებისადმი მიძღვნილ სტატიაში მოვიყვანე ცნობილი მუსიკისმცოდნის ვ. დონაძის ფრიად საგულისხმო გამონათქვამი: „შემოქმედებითს გულწრფელობასთან ერთად ნ. გუდიაშვილს, როგორც კომპოზიტორს, ახასიათებს კეთილშობილური თავმდაბლობა და მოკრძალება... ამავე დროს, როგორც შემოქმედებითი ნიჭი და ოსტატობა, ისე მუსიკალური კულტურის მტკიცე საფუძველი მას ხელს უწყობს, რომ მოქმედების ფართო სარბიელი მოიპოვოს და მონინავე რიგებში ჩადგეს. ნ. გუდიაშვილის შემოქმედება ღირსია უფრო ფართო საკონცერტო პროპაგანდისა“. საკვირველია, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ მიუხედავად განვლილი წლებისა, ვ. დონაძის მიერ კომპოზიტორის შემოქმედებისა და პიროვნების ესოდენ ლაკონური და ზუსტი შეფასება დღესაც ინარჩუნებს თავის აქტუალობას.

ნ. გუდიაშვილის ცხოვრებისეული გზა არაა გამორჩეული გარეგნულად მდიდარი და მრავალფეროვანი მოვლენებით. შეიძლება ითქვას, რომ მისი შემოქმედებითი გზის უმნიშვნელოვანესი ეტაპები, რომლებიც



ერთ- ერთი პირველი ჯაზ-ბენდი საქართველოში „მუსიკალური საკრავი“. შოპი. 1940- იანი წწ. როიალთან კოკა გუდიაშვილი.

მხოლოდ მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობის გამო შეფერხდა, პირველ რიგში დაკავშირებულია მიღწევებთან საკომპოზიტორო შემოქმედების სფეროში, რომელსაც ერთგულად და უანგაროდ ემსახურა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე.

ნ. გუდიაშვილის მხატვრული მრწამსი და აზროვნების სტილი საბოლოოდ ომის შემდგომ წლებში ჩამოყალიბდა. სწორედ 40-50-იანი წლების პერიოდს უკავშირდება მისი პირველი თვალსაჩინო ქმნილებები, მაგალითად ისეთები, როგორებიცაა სამმაგი კონცერტი ვიოლინოს, ჩელოსა და ფორტეპიანოსათვის ორკესტრთან ერთად, მეოთხე კონცერტი „ჩემი სამშობლოს ველებზე“ – ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, ინსტრუმენტული მინიატიურები, მათ შორის საფორტეპიანო პრელუდიები, საკვარტეტო ნაწარმოებები, განსაკუთრებით საფორტეპიანო კვინტეტი, რომელიც დღემდე ინარჩუნებს თვალსაჩინო ადგილს ქართველ კომპოზიტორთა საუკეთესო კამერულ-ინსტრუმენტულ ანსამბ-

ლებს შორის. საგულისხმოა, რომ ეს ნაწარმოებები შეიქმნა ქართული პროფესიული მუსიკის განვითარების ყველაზე აქტიურ, დინამიურ პერიოდში და ისტორიულ პერსპექტივაში მისი აღმავლობის განუყოფელ, ორგანულ ნაწილად აღიქმება.

ნ. გუდიაშვილი ავტორია სრულიად განსხვავებული ჟანრის მრავალრიცხოვანი ნაწარმოებების – ოპერების, ოპერეტების, ბალეტების, სიმფონიური, საგუნდო, კამერულ-ინსტრუმენტული და ვოკალური მუსიკის. თუმცა, სავსებით უდავოა, რომ მისი დამსახურება ქართულ მუსიკალურ ხელოვნებაში კამერულ-ინსტრუმენტული ნაწარმოებებით – საფორტეპიანო მინიატიურებითა და კამერულ-ინსტრუმენტული საანსამბლო მუსიკით უნდა განისაზღვროს. ეს კი უთუოდ განაპირობა მაღალმა პროფესიულმა ოსტატობამ და მისმა განსაკუთრებულმა უნარმა კლასიკურად დასრულებულ და მოხდენილად ჩამოქნილ ფორმებში ლირიკულ განწყობილებათა ფაქიზი ნიუანსირების, იუველირულად დახვეწილი



მედიკონი
გიორგი

В МОСКВЕ НА ПЕРВОМ ВСЕСОЮЗНОМ
СЪЕЗДЕ СОВЕТСКИХ КОМПОЗИТОРОВ.
22-IV-42.

მარცხნიდან სხედან: კოკა გუდიაშვილი, ლადო ფონაძე, ვალვა მშველიძე, გრიგოლ კილაძე, ოლღა ზარაიძე-ვილი, იონა თუსკია, რევაზ გაბრიჯაძე, მიხეილ (მიშა) ხახანაშვილი. მარცხნიდან დგანან: არჩილ ჩივაკაძე, ოთარ თაქათაძე-ვილი, ღავით (გუბული) თორაძე, ზორის გულისაშვილი, ზორის გალაავი, ალექსი მაჭავარიანი. მოსკოვი. კომპოზიტორთა პირველი საკავშირო ყრილობა. 1942

ინსტრუმენტული ფაქტურისა და რბილი „პასტელური“ – ჟღერადობის მიღწევის.

უნდა აღინიშნოს, რომ ნ. გუდიაშვილის მხატვრულ სახეთა სამყარო არ გამოირჩევა დიდი სირთულითა და მრავალფეროვნებით. როგორც ხელოვანს მას ნაკლებად ახასიათებს ცხოვრებისეული მოვლენების ფართო და მრავალმხრივი ასახვა, თუმცა ისიც სავსებით უდავოა, რომ მისი ხელოვნება გამსჭვალული ადამიანის სულიერი სილამაზის, მშობლიური ბუნებისა და ხალხური ყოფის შთაგონებული რომანტიკული აღქმით, უშუალოდაა ამოზრდილი კლასიკური და ხალხური მუსიკის ტრადიციებიდან, რაც მელოდიურ სილამაზესთან, გამობატვის ბუნებრიობასა და სისადავესთან ერთად, მისი მუსიკის განსაკუთრებულ მიმზიდველობასა და მისანვლოდობას განაპირობებს.

ნ. გუდიაშვილის შემოქმედება აღბეჭდილია არა მარტო ნაყოფიერებითა და ჟანრობრივი მრავალფეროვნებით, არამედ დიდი შინაგანი მთლიანობით, მისი მყარი

ერთვლებით ერთხელ არჩეული მხატვრული იდეალების მიმართ. შეიძლება დაბეჭდვით ითქვას, რომ მის ესთეტიკურ პოზიციას, ფაქტობრივად, არცკი შეხება გასული საუკუნის 60-70-იან წლებში ქართულ მუსიკაში მიმდინარე სტილური განახლების, მართალია, პრაქტიკულად ბუნებრივი, გარდუვალი, არაიშვიათად წინააღმდეგობრივი პროცესები, თუმცა უდავოდ იყო „ჩახედული“ თანამედროვე საკომპოზიტორო ტექნოლოგიებში. ამასთან, სავსებით უდავოა ისიც, რომ გუდიაშვილის შემოქმედებით ძიებებში თავისებურად მაინც აირეკლა იმ დროის ქართული საკომპოზიტორო ძიებების საერთო მიმართება ტრადიციული, ისტორიულად დამკვიდრებული ჟანრობრივი მახასიათებლების დაძლევისაკენ და მუსიკალური საზროვნო სისტემის გამდიდრებისაკენ. მაგალითისათვის მოვიყვან მის მესამე სიმფონიას „ტექსელის გირებს“ ფორტეპიანოს სოლოთი, მეოთხე სიმფონიას „მეგობრებს“, რომელიც ამ ჟანრისათვის ერთობ უჩვეულო შემადგენლობისთვისაა დანერგილი (სიმები-



პოპა გუდიაშვილი, გივი აგაიფარაშვილი

ნი ორკესტრი, ხის ჩასაბერები, ვალტორნა, საყვირი და ტრომბონი). ასეთი „გადახრილი“ კამერული სიმფონიზმის სფეროში ეს სიმფონია სავსებით სიმპტომატურ მოვლენად აღიქმება 60–იანი წლების ქართულ საკომპოზიტორო შემოქმედებაში მიმდინარე „კამერზაციის“ მკაფიოდ გამოკვეთილ საერთო პროცესში.

ამავე კონტექსტში შეიძლება მოვიაზროთ ნ. გუდიაშვილის მიერ პოლიფონიური ტექნიკისა და დამახასიათებელი ჟანრების თანმიმდევრული დაუფლება ნაციონალურ ინტონაციურ სტილისტიკასთან ორგანულ სინთეზში. მხედველობაში მაქვს მისი საფორტეპიანო ციკლები „პოლიფონიური პიესები“, „24 პრელუდია და ფუგა“, რომლებშიც ერთგვარად განზოგადა თავისი მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილება და ქართველ კომპოზიტორებს შორის პირველმა მიმართა ი. ს. ბახის „კარგად ტემპერირებული კლავირის“ კლასიკურ ტრადიციას.

ნ. გუდიაშვილმა მნიშვნელოვნად გაამდიდრა ქართული მუსიკის ლირიკის სფერო და ამით საგრძნობლად გაამდიდრა მისი რომანტიკული ტრადიცია; მიაღწია თვალსაჩინო წარმატებებს ინსტრუმენტული მინიატიურის, კონცერტისა და კამერულ-ინსტრუმენტული ანსამბლური ჟანრების სფეროში. საბოლოო ჯამში ნ. გუდიაშვილის მკაფიოდ გამოხატულმა ინდივიდუალურმა შემოქმედებითმა ხელწერამ და ესთეტიკურმა პოზიციამ, მაღალმა პროფესიულმა კულტურამ განსაზღვრა მისი ადგილი ქართული მუსიკის ისტორიაში.

ხსოვნის საღამოზე დამსწრე საზოგადოების სიმრავლემ და მისმა ცოცხალმა რეაქციამ ნ. გუდიაშვილის მუსიკაზე, უნებლიეთ მომაგონა ცნობილი ძველბერძნული გამონათქვამი — „ცოცხალი ხარ, სანამ გახსენებნო“, რამაც ჩამისახა იმედი, რომ ნიკოლოზ გუდიაშვილის ხსოვნა და მისი შემოქმედების კვალი მუდამ დარჩება ქართულ მუსიკალურ ხელოვნებაში. ■

გასულ წელს კომპოზიტორ რუსუდან ხორავას საუბილეო თარიღი აღინიშნა. იგი სამოგადოების წინაშე თავისი მესამე საავტორო კონცერტით წარსდგა როგორც თბილისში, ისე მის მშობლიურ ქ. ფოთში. კონცერტებმა დიდი წარმატებით ჩაიარა.

რ. ხორავა დაიბადა 1954 წელს, ქალაქ ფოთში, ცნობილი ლოტბარის, პროფესიონალი დირიჟორის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის არჩილ ხორავას ოჯახში, რომლის სახელსაც სამართლიანად ატარებს ფოთის სახელოვნებო სასწავლებელი. რ.ხორავას ოჯახში, წინაპრებიდან დანყებულნი, ყველა მომღერალი და ქართული ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებელი იყო. რუსუდან ხორავა სწორედ წინაპრების კვალს გაჰყვა და გასაკვირი არაა, რომ მისი შემოქმედება ერთგულ მუსიკალურ ფესვებზე მყარად დგას.

კომპოზიტორმა საწყისი მუსიკალური განათლება ფოთში მიიღო, შემდეგ კი სწავლა განაგრძო თბილისის კონსერვატორიაში საკომპოზიციო ფაკულტეტზე (ალექსი მაჭავარიანის კლასი), რომელიც 1979წ. დაამთავრა, ხოლო 1982წ. – ასპირანტურა.

რ. ხორავას არაერთი ჯილდო აქვს მიღებული. იგი არის პეტერბურგში გამართულ ახალგაზრდა საკავშირო კონკურსის, კომპოზიტორთა კავშირის კონკურსის დიპლომანტი; მიღებული აქვს პრემიები კულტურის სამინისტროს კონკურსებში; არის ვაჟა-ფშაველას პრემიის ლაურეატი, ფაბისის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ფოთის საპატიო მოქალაქე. მიუხედავად იმისა, რომ მას ძირითადად იცნობენ როგორც საგუნდო კომპოზიტორს, იგი არის ავტორი სავიოლინო და საფორტეპიანო კონცერტების, 4 ნაწილიანი რომანტიკული სიმფონიის სოპრანოსა და დიდი სიმფონიური ორკესტრისათვის, საბალეტო სიუიტის „სინათლის ძალა“, კამერულ-ინსტრუმენტული ნაწარმოებების, რომანსების, საესტრადო სიმღერების, საბავშვო აკაპელა გუნდებისა და სიმღერების, ფანტაზიის ფ-ნოსა და ორკესტრისათვის, კონცერტინოს ფ-ნოსა და დიდი სიმფონიური ორკესტრისათვის. რ. ხორავას საფორტეპიანო პიესები – „ელეგია“, „ექსპრომპტი“ და „მთიულური“ რამდენიმე წელია შესულია თბილისის ახალგაზრდა პიანისტთა საერთაშორისო კონკურსის რეპერტუარში, რ. ხორავას საბავშვო მუსიკალური კომედია „რწყილი და ჭიანჭველა“ (ლიბრეტო ი.დოღბაიასი) წარმატებით დაიდგა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში. რაც შეეხება გუნდებს, მისი გუნდები სრულდება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ უცხოეთშიც: ბელგიაში, ლატვიაში, იტალიაში, ბულგარეთში, თურქეთში. აღსანიშნავია, რომ მისი გუნდები შესრულდა აგრეთვე ინგლისში, კერძოდ, ოქსფორდსა და სტრადფორდში, შექსპირის სახლ-მუზეუმში, ინგლისის დედოფლის დარბაზში, ხოლო რუსეთში – გერგიევის საერთაშორისო საგუნდო ფესტივალზე.

2014 წელს საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და სამოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეამ“ ქ-ნ რუსუდანს აკადემიკოსის წოდება მიანიჭა. იგი არის აგრეთვე კლასიკური მუსიკის რესპუბლიკური ფესტივალის ჟიურის წევრი.



რუსუდან ხორავა

A cappella გუნდის მოტრფიალე

რუსუდან ქუთათიელაძე

რუსუდან ხორავას სახელი მცირე დრო როდია, რაც გა- ისმის ქართულ საკომპოზიტორო სკოლაში. მისი რამ- დენიმე მშვენიერი თხზულების შესრულების მომსწრე- ნიც ვყოფილვართ და მაინც ჩემთვის მოულოდნელი აღმოჩნდა ის შთაბეჭდილება, საქართველოს ეროვ- ნული ბიბლიოთეკის დარბაზში 1914 წ. 13 ნოემბერს გამართულმა კონცერტმა რომ დამიტოვა. ცალკეულ შთაბეჭდილებას ვაგიზიარებთ.

პირველ ყოვლისა გამაოცა კომპოზიტორის შე- მოქმედებითა ნაყოფიერებამ — 25 ნაწარმოები ერთ საკონცერტო პროგრამაში! ხელხვაიანი შეეგება იგი, თურმე, თავის საიუბილეო თარიღს. მართალია, ქალები გაურბიან ასაკის გამხელას, მაგრამ, რადგან ამჯერად ეს დაფარული არ იყო, არც მე მოვერიდები აღვნიშნო — 60 წელი. ეს შემოქმედი ადამიანის შუადღეა. კიდევ ერთი რამ, რაც ძალზე საგულისხმოდ მესახება — კომ- პოზიტორის შემოქმედებითი არჩევანი — მხოლოდ და მხოლოდ a cappella გუნდები! მრავლად არ იპოვები- ან კომპოზიტორები ამ ფრიად სპეციფიკურ ჟანრს ყუ- რადლებას რომ მიაპყრობენ, იშვიათად თუ ჩართავენ ხოლმე საკუთარ ინტერესთა წრეში. რუსუდან ხორავამ კი სწორედ ამ ჟანრისადმი გამოიჩინა განსაკუთრებუ- ლი ერთგულება, მე ვიტყვოდი — ტრფიალი. თითქოს შეიზღუდა, სინამდვილეში კი, აფერუმ!, სწორედ ასეთ, ერთი შეხედვით ვიწრო ასპარეზზე გამოავლინა იშვი- ათი მრავალფეროვნება, ბავშვთა, ქალთა, შერეული შემადგენლობის გუნდები, ანუ საგუნდო მუსიკირების უმაღლესი სფეროს უკლებლივ ყველა სახეობა მოიცვა. მინიატიურული და მასშტაბური ფორმები, საგუნდო კა- მერული შემადგენლობისა თუ დიდი კოლექტივისათვის

განკუთვნილი საგუნდო თხზულებები წარმოადგინა. ამ- გვარმა ნაირფეროვნებამაც სასიამოვნოდ განმაცვიფრა!

ზოგადად საგუნდო მუსიკის ადგილი ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებით მეტკვიდრეობაში რა-ოდენობრივად თუმც არა, მაგრამ მხატვრული ღირე- ბულების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია. მართალია, კომპოზიტორები არცთუ ხშირად სტუმრობენ ამ ჟანრს, ვთქვათ, სიმფონიურს, საოპეროს, ან კამერულ-ინსტ- რუმენტულს რომ გაუტოლდეს. საგუნდო მუსიკას, ასე ვთქვათ, ეპიზოდურ ადგილს უთმობენ, და მაინც, თი- თოეული მათგანის მეტკვიდრეობაში იპოვება ნაწარმო- ები, ეროვნული მუსიკის ღირსების მაჩვენებლად რომ მიიჩნევა. იშვიათი გამონაკლისებიც არსებობს, მხოლოდ ზოგადად გუნდებს კი არა, სწორედაც a cappella-ს რომ ანიჭებენ უპირატესობას, შემოქმედების მაგისტრალურ ხაზად მიიჩნევენ და ეროვნულ ხელოვნების საგანძურს ღირსსახსოვარი ნიმუშებით ამდიდრებენ კიდევაც. ასე- თებია ქართული პროფესიული მუსიკის ეტალონებად მიჩნეული ნიკო სულხანიშვილის, იოსებ კეჭაყაძის გუნდები. რაოდენ სასიხარულო იყო ჩემთვის, რომ რუ- სუდან ხორავა სწორედ ამ დიდ კომპოზიტორებს ჩაუდგა კვალში, სწორედ მათი გზის განგრძობა, ანუ, საგუნდო შემსრულებლობის ამ უმაღლესი სახეობის დაძლევის ურთულესი ამოცანა დაისახა შემოქმედების ძირითად მიზნად. ვავიმეორებ — ცოტანი არიან ასეთები. და ამ- გვარ შემთხვევაში საკუთარი შემოქმედებითი ადგილის მიკვლევა იოლი, ნამდვილად, არაა. სიტყვა რომ არ გა- მიგრძელდეს, აქვე ვიტყვი — კომპოზიტორმა ეს ფრიად და ფრიად რთული ამოცანა საუკეთესო შედეგით, პრო- ფესიული ხარისხოვნებით გადაჭრა. რუსუდან ხორავას



ოჯახური ალბომიდან: ხენსოში სხადან: დიდი ბაბუა ფარნავაზ სორავა, მუხომესთან მინიკი ჯალალონიასთან (ხნოვილი მარონგოვა სამეგრელოში), ქალიშვილთან — მამო სორავასთან და რაქლთან — მარი ხაფრაქსთან ერთად; მარცხნიდან მარჯვნივ დგანან: შვილები — ულასო, ფელონი, ანდრი სორავა; ნინა რიგში სხადან: მინიკი და მასანი სორავა. აქვია ფოტო, რომელზეც აღგაფიქვია იმჟამად უცხოეთში მყოფი ბაბუა, ხნოვილი მომღერალი გრიგოლ სორავა. სოფ. უაფათო (სანაპის რაიონი), 1915 წ.

თითოეული გუნდი მართლაც პროფესიული ხარისხობებით ხასიათდება, გამართულია ფორმის სიმწყობრის, განვითარების ლოგიკურობის თვალსაზრისით, საგუნდო ხმათა სპეციფიკის ცოდნით, ხმების პოლიფონიური შეხმატებულებისა — ხმათა შორის ბალანსის მიღწევის უნარით, ტესიტურის მოთხოვნათა დაცვით, თითოეული ვოკალური ხმის დიაპაზონს ორგანულად მოიცავს და მოჭარბებული საშემსრულებლო მოთხოვნებით, ხელოვნური სირთულეებით არ ტვირთავს. და კიდევ, რაც ჩემთვის მეტად ფასეულია, მხატვრულ-ემოციური ზემოქმედების ძალითაცაა დატვირთული. ორ საათიანი კონცერტის მსვლელობის მანძილზე ერთხელაც არ მომდუნებია ყურადღება, არ დაცემულა ემოციური განცდის მუხტი. მივესალმები კომპოზიტორის გემოვნებას

სიტყვიერი ტექსტის არჩევანშიც, სადაც კლასიკოსების გვერდიგვერდ თანამედროვე პოეზიის ნიმუშებიც უწყვილდება მუსიკალურ ჰანგს. კიდევ რა არის ჩემთვის ღირებული? საგუნდო ხმათა ფერადოვანი პალიტრა, რბილი, ლირიკული, ნათელი ფერების შეთანადება მკლერადსა და მუქ, ნაჯერ ფერებთან; მელოდიურობა, კანტილენურობა, მუსიკის ლირიკული მდინარება, რაც ეგოდენ სანატრელი იშვიათობა შეიქნა. ეს მკლერადობა და მელოდიზმი, ლირიკული განცდის სიუხვე სრულიადაც არ ნიშნავს ემოციურ განურჩევლობას, გრძობა-განცდათა ნეიტრალობას. სულაც არა! ხორავას მუსიკა დატვირთულია ემოციით, მღელვარეუცაა და ვერც დრამატიზმის ნაკლებობას ვუსაყვედურებთ. ჩვენს ბობოქარ, მშფოთვარე ცხოვრების ორომტრიალში კომპოზიტორი



კონსერვის ვაჟები. ცენტრი: რუსუდან ხორავა, გივი მუხაიშვილი.

ეგოდენ სულიერებას რომ ინარჩუნებს, ესეც ფრიად დასაფასებელია, მისასალმებელი. დიახ, რუსუდან ხორავას მუსიკა სილამაზისკენ, სიკეთისკენ, სულის სიფაქიზისკენ მოგვიწოდებს.

როგორც აღვნიშნე, ქართულ მუსიკაში გვყავს *a cappella* გუნდის დიდოსტატები. განიცდის მათ ზეგავლენას რუსუდან ხორავა? არა! იგი გამკლავება მიმბაძველობის ცდუნებას და ნაცვლად ამისა, გონივრულად აუთვისებია წინამავალთა, სულხანიშვილის, კეჭაყმაძის (ცალკეულ თხზულებას, მადლიერების ნიშნად, მას უძღვნის კიდევაც) მონაპოვრები, მათსა თუ თავისი უშუალო მასწავლებლის, ალექსი მაჭავარიანის თხზულებებს, ჩანს, შესასწავლად დაწაფებია და ამით გაუმდიდრებია საკუთარი ხელწერა. არც თანამედროვე მუსიკის თავისებურებებისთვის აუვლია გვერდი, მაგრამ გემოვნებით, ზომიერებით, ხოლო საკუთარი შემოქმედების ძირითად მასაზრდოებელ წყაროდ, ფუძისფუძედ ხალხური, ქართული მრავალხმიანი ფოლკლორი მიუჩნევია. ვფიქრობ, ეს ყველაფერი რუსუდან ხორავას მუსიკას მკვეთრად გამოხატულ ეროვნულ იერსახეს ანიჭებს. თითოეულ თხზულებაში იკითხებოდეს კომპოზიტორის ხელწერის ეროვნული კუთვნილება, უნინ შემოქმედის უდიდეს ღირსებად მიიჩნეოდა. ჩემთვის დღესაც ესაა ხელოვნების ნიმუშის მხატვრული ღირებულების ერთ-ერთი მთავარი საზომი.

მუსიკალური ნაწარმოების მეკვლედ მსმენელისაკენ მიმავალ გზაზე შემსრულებელია. რაგინდ ღირებულებაც

იყოს ქმნილება, შემსრულებელმა თუ პროფესიული ხარისხივებით არ წარადგინა, ძნელია მისი ღირსების ჯეროვანი დაფასება. რუსუდან ხორავას, ამ თვალსაზრისით, ნამდვილად გაუმართლა. კონცერტში მონაწილე თითოეული კოლექტივი, ჩანს, პასუხისმგებლობით, მეტიც, სიყვარულით, მოეკიდა პარტიტურას და დარბაზს მხატვრულად გამართული, ნაწარმოებთა არსში წვდომით აღბეჭდილი მუსიკა შესთავაზა, როგორც თავად ავტორმა აღნიშნა: „ზედმიწვევით გახსნა კომპოზიტორის ჩანაფიქრი“. შემსრულებელთა პროფესიულმა უნარმა, ემოციურმა განცდამ, მათმა ნიჭიერებამ განაპირობა საიუბილეო კონცერტის მხატვრულ-ემოციური მუხტი. ამდენად, ვფიქრობ, თუმც ბევრნი კი არიან, აუცილებელია მადლიერების გრძნობით მოვიხსენიო ყოველი კოლექტივი, ყოველი ლოტბარი, ყოველი სოლისტი, ყოველი მათგანის სახელი მკითხველსაც გავაცნო. ეს ვახლავან: ნიკო სულხანიშვილის სახ. საქ. სახელმწიფო საგუნდო კაპელა, მთავარი დირიჟორის, არჩილ უშვერიძის ხელმძღვანელობით (სოლისტები: ქეთევან ხომერიკი, შიო აპრახამია, მიხეილ ედიშერაშვილი. დირიჟორის ასისტენტი თამარ თალაკვაძე), ქ. ბათუმის ქალთა კამერული გუნდი და მათი სამხატვრო ხელმძღვანელი ზაირა ვადაჭკორია, მთავარი დირიჟორი – გელა ვადაჭკორია, სოლისტი ლელა ვაშაყმაძე; ქ. გორის ს. ცინცაძის სახ. სამუსიკო სემინარიის გოგონათა და ბავშვთა გუნდები, მთავარი დირიჟორი ნინო წიკლაური. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ყოველ მათგანს!

დავით არუთინოვი-ჩინჯარაძე

ქსენია ჯიქია მიეკუთვნება ეროვნული მუსიკალური ხელოვნების იმ სასიქადულო წარმომადგენელთა რიცხვს, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს ქართული მუსიკალური კულტურის, და კერძოდ, ქართული საფორტეპიანო სკოლის წარმატებით განვითარებაში, ახალგაზრდა ნიჭიერ პიანისტთა მალაკვალაფიციურ პროფესიულ აღზრდაში, ფორტეპიანოზე სწავლების მეთოდის დახვეწაში. თუმცა, მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის დიაპაზონი გაცილებით უფრო ფართო იყო — პედაგოგიკასთან ერთად, ის ეწეოდა საშემსრულებლო,

საზოგადო მოღვაწე, პროფესორი ლარისა ქუთათელაძე. ქ-ნ ლარისას ლენინგრადში გამგზავრების შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში, ახალგაზრდა ნიჭიერი მუსიკოსი მეცადინეობდა პროფესორ თამარ ტერ-სტეფანოვასთან, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ სწავლა განაგრძო შესანიშნავ ქართველ პიანისტ-პედაგოგთან, პროფესორ ანასტასია ვირსალაძესთან.

აღსანიშნავია, რომ თბილისის კონსერვატორიაში მუსიკალურ განათლებას, სპეციალობის გარდა, ქ.ჯიქია იღებდა ისეთ გამოჩენილ მოღვაწეებთან, როგორებიც იყვნენ: ეგვენი მიქელაძე (ანსამბლის კლასი), დიმიტრი არაყიშვილი (ქართული მუსიკალური ეთნოგრაფია),

ღირსეული პიროვნება და აღმზრდელი

მეტად ნაყოფიერ ადმინისტრაციულ და მუსიკალურ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას. უმაღლესმა პროფესიონალიზმმა, ისეთ სანატრელ პიროვნულ თვისებებთან ერთად, როგორიცაა მასშტაბური აზროვნება, ორგანიზატორული ნიჭი, გასაოცარი ენერჯია და მიზანდასახულობა, პატიოსნება და უანგარობა, შექმნა ქალბატონ ქსენია ჯიქიას ფენომენი, გაუთქვა მას სახელი არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ქსენია ილარიონის ასული ჯიქია დაიბადა 1915 წლის 24 იანვარს ქ. ქუთაისში, ხელოსნის ოჯახში. მუსიკალური განათლების სანჯისი ეტაპი მან გაიარა მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ქუთაისის სამუსიკო სკოლა-ტექნიკუმში — 6 წლის განმავლობაში (1925-1931 წ.წ.) ის სწავლობდა საფორტეპიანო განყოფილებაზე.

ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ, 1931 წელს, ქ.ჯიქიამ სწავლა განაგრძო თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საფორტეპიანო ფაკულტეტზე. მისი სპეციალობის ხელმძღვანელი გახლდათ ცნობილი პიანისტი-მუსიკოსი და



ქსენია ჯიქია, რომან გორალაშვილი



მოსკოვის კონსერვატორიის სტუდენტებთან ერთად. პირველ რიგში მარჯვნიდან მეორე ქსანია ჯიქია.

შალვა მშველიძე (საკრავთმცოდნეობა), შალვა ასლანიშვილი (ჰარმონია) და ალექსანდრე რაბინოვიჩი (მუსიკის ისტორია).

1938 წელს, თბილისის კონსერვატორიის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, საქართველოს რესპუბლიკის ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მიერ ქ.ჯიქია მივლინებული იყო სწავლის გასაღრმავებლად მოსკოვის კონსერვატორიაში. იგი ჩაირიცხა საფორტეპიანო ფაკულტეტის მესამე კურსზე.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ შეწყვიტა ქ.ჯიქიას სწავლა მოსკოვის კონსერვატორიაში: ის ბრუნდება საქართველოში და 1942-1944 წ.წ. განმავლობაში მუშაობს ქუთაისის სამუსიკო სასწავლებელში საფორტე-

პიანო განყოფილების გამგედ და პედაგოგად.

1944წ. მოსკოვის კონსერვატორიის რექტორატის მიწვევით, ქ.ჯიქია კვლავ გაემგზავრა რუსეთში, სწავლის გასაგრძელებლად.

მოსკოვის კონსერვატორიაში ფორტეპიანოს სპეციალობით ქ-ნ ქსენიას ხელმძღვანელი იყო სახელგანთქმული, მსოფლიო რანგის პიანისტი-პედაგოგი, პროფესორი ჰენრიხ ნეიჰაუზი. მასთან შემოქმედებითა ურთიერთობამ, გადამეტების გარეშე შეიძლება ითქვას, წარუშლელი კვალი დატოვა ქ.ჯიქიას მუსიკალურ მოღვაწეობაზე, განსაკუთრებით მის პედაგოგიურ პრინციპებზე. უაღრესად თბილი, მეგობრული დამოკიდებულება ამ ორ დიდ მუსიკოსს მთელი მათი მომდევნო

ცხოვრების მანძილზე აკავშირებდა.

მოსკოვის კონსერვატორიაში ქ.ჯიქიამ დაჰყო ხუთი წელი. დადგა გამოსაშვები გამოცდების დროც. სახელმწიფო გამოცდის პროგრამაში, რომლითაც წარსდგა ქ.ჯიქია ავტორიტეტული კომისიის წინაშე, 1946წ. გაზაფხულზე, შეტანილი იყო შემდეგი ნაწარმოებები: პროკოფიევის საფორტეპიანო სონატა №1, ბრამსის „ინტერმეცო“ მი-ბემოლ მაჟორი, ფრანკის „პრელუდია, ქორალი და ფუგა“, შოპენის პოლონეზი ლა-ბემოლ მაჟორი, ლისტის კონცერტი №1, მაჭავარიანის „ხორუმი“ და ბალანჩივადის „ნოქტიურნი“.


აი, რა შემოქმედებითი დახასიათება მისცა ჰ.ნეიგაუმმა თავის აღზრდილ მოწაფეს მოსკოვის კონსერვატორიის დამთავრებისას: “Ксения Джикия окончила Московскую государственную консерваторию с отличием (круглая отличница по всем дисциплинам). За годы учёбы она очень хорошо развилась, благодаря прекрасным природным данным, большой энергии и работоспособности. В её игре есть и большой темперамент и виртуозный блеск и хороший глубокий звук.

Не сомневаюсь, что при большой работе, с развитием её педагогических способностей, она и впредь будет совершенствоваться как исполнитель и педагог, и с полным правом займёт в Тбилисской музыкальной жизни подобающее ей незаурядное положение. От всей души желаю моей дорогой ученице успеха и удовлетворения от своей деятельности.

Заслуженный деятель искусств РСФСР, доктор искусствоведения, профессор

Г. Нейгауз“.

ამასთან ერთად მან უსახსოვრა ქ.ჯიქიას თავისი ფოტოსურათი შემდეგი წარწერით: “Славной моей ученице, поразившей меня своими превосходными успехами, на память об окончании ею Московской консерватории VI 1946, с наилучшими пожеланиями и уверенностью, что она всегда будет любить музыку, честно работать и передавать своим будущим ученикам и всем, с кем она



ჰენსონი ნეიგაუზი

будет встречаться в жизни, свою любовь к музыке и своё горячее сердечное отношения к ней.

С искренней дружбой Г. Нейгауз“.

(1948 წლით დათარიღებულ წერილს ქსენია ჯიქიასადმი ის ამთავრებს სიტყვებით “Твой папаша Нейгаузишвили”).

ქ.ჯიქიამ მოსკოვის კონსერვატორია ე.წ. წითელი დიპლომით დაამთავრა. მას მიენიჭა პედაგოგ-პიანისტის და საკავშირო პირველი კატეგორიის შემსრულებლის კვალიფიკაცია.

1946წ., სამშობლოში დაბრუნებისას, იწყება ქსენია ჯიქიას მჩქეფარე, მრავალმხრივი, სრულმასშტაბიანი საქმიანობა, როგორც პედაგოგის, შემსრულებლის, ხელმძღვანელის და მუსიკალურ-სამოგადოებრივი მოღვაწის.

40-50-იან წლებში, როგორც საქართველოს სა-



მარჯვნივან ღვანას: ევგენი მიქალაძე, ძსენია ჯიქია

ხელმწიფო ფილარმონიის და რადიოს სოლისტი, ქსენია ჯიქია წარმატებით გამოდის კონსერვატორიის და რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზებში, არა მარტო სოლო და საანსამბლო კონცერტებით, არამედ სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, მონაწილეობს საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის მიერ ორგანიზებულ კონცერტებში. მის სამემსრულებლო პროგრამებში კლასიკურ რეპერტუართან ერთად წარმოდგენილი იყო ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებებიც: აბალანჩივაძის „ნოქტიურნი“, ამაძავარიანის „ხორუმი“, აშვერზაშვილის „სკერცო“ და სხვ.

მავრამ მაინც ძირითადი წვლილი ქსენია ჯიქიამ სამუსიკო პედაგოგიკაში შეიტანა, სადაც დიდი ნიჭი გამოავლინა ახალგაზრდა პიანისტა არაერთი თაობის მაღალხარისხოვან აღზრდაში. 1946 წლიდან ქსენია იწყებს მუშაობას თბილისის IV სამუსიკო სკოლის და სასწავლებლის ფორტეპიანოს კლასის პედაგოგად, ხოლო 1951 წლიდან ინიშნება ამავე სკოლის და სასწავლებლის დირექტორად. სკოლისა და სასწავლებლის განცალკევების შემდეგ (1960წ.) ქსენია დატოვებს იყო სამუსიკო სასწავლებლის დირექტორის თანამდებობაზე, რასაც ბრწყინვალედ უძღვებოდა 37 წლის მანძილზე – 1978 წლამდე. აღსანიშნავია, რომ იმავდროულად

დიდი ხნის განმავლობაში (1959-1979) ქსენია შეთავსებით მუშაობდა თბილისის კონსერვატორიაში სპეციალური ფორტეპიანოს კათედრაზე.

ქსენია ჯიქიას მიერ აღზრდილ მოსწავლეთა რიცხვი მარტო სასწავლებელში აღემატება სამოცდახუთს, ხოლო კონსერვატორიაში საფორტეპიანო კლასი მასთან წარმატებით დაამთავრა ოცამდე სტუდენტმა.

ქსენია ჯიქიას კლასის მოსწავლეთა კონცერტები ყოველთვის იქცევადა მუსიკალური საზოგადოების ყურადღებას, დიდ ინტერესს და, როგორც წესი, იმსახურებდა მაღალ შეფასებას. აღსანიშნავია, რომ არა მარტო ქსენიას კლასის, არამედ მთელი სასწავლებლის საანგარიშო კონცერტებს მუდამ ჰქონდათ მნიშვნელოვანი მხატვრული რეზონანსი, როგორც თბილისში, ისე მოსკოვში, კიევსა და სხვა ქალაქებში.

ქალბატონმა ქსენიამ ძირეულად შეცვალა დამოკიდებულება სასწავლო პროცესისადმი, აიყვანა რა ის მაღალ დონეზე. მან შეძლო საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობის გრძობით გაერთიანებული, მჭიდროდ შეკრული კოლექტივის შექმნა. მისი მაღალკვალიფიციური, ენერგიული ხელმძღვანელობით IV, შემდგომ III, სასწავლებელი ერთ-ერთი ყველაზე მონიხვე დაწესებულებად იქცა საქართველოში. ამ კედლებში აღიზარდა მრავალი ნიჭიერი, გამოჩენილი მუსიკოსი, მათ შორის, კომპოზიტორები, პიანისტები, მომღერლები, სიმებიანი და სასულე დარგის მუსიკოს-შემსრულებლები, დირიჟორები, რომლებმაც ეროვნულ მუსიკალურ კულტურას საქართველოს გარეთაც გაუთქვეს სახელი.

1960 წელს ქსენიას მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის, ხოლო 1980 წელს – საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება „ქართული სამემსრულებლო ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისთვის“.

პედაგოგიურ და ადმინისტრაციულ მოღვაწეობასთან ერთად ქალბატონი ქსენია ეწეოდა დიდ და ნაყოფიერ საზოგადოებრივ მუშაობას, როგორც კულტურის სამინისტროს ხელოვნების დანსებულებათა მეთოდური კაბინეტის საფორტეპიანო კომისიის თავმჯდომარე (1951-1961).

ის იყო არაერთი სანიმუშო წამოწყების და ღონისძიების ინიციატორი, რომელთა განხორციელებისას

დიდ ენთუზიაზმს და ნამდვილ შემოქმედებით მიდგომას ავლენდა. ასე მაგალითად, სასწავლებლის მოსწავლეთა ძალებით ქალბატონი ქსენია ხშირად მართავდა გასვლით საშუალო კონცერტებს ქარხნებში, საწარმოებში, სკოლებში. მჭიდრო შემოქმედებითი კავშირი დაამყარა მოსკოვში მ.იპოლიტოვ-ივანოვის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის კოლექტივთან (რომელსაც სათავეში ედგა ელენე გედევანოვა), კიევის, ერევნის, კიროვაკანის და სხვა ქალაქების სამუსიკო სკოლებისა და სასწავლებლების კოლექტივებთან.

საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცულია ქალბატონი ქსენია ჯიქიას მიერ გადაცემული მისი ბიოგრაფიისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალები, სადაც ფართოდაა წარმოდგენილი მუსიკალური სასწავლებლის და მისი პირადი პედაგოგიური მუშაობის სხვადასხვა ასპექტი: ქალბატონი ქსენიას ნარკვევები, სტატიები, მოგონებები, შესავალი სიტყვის ტექსტები; აქვეა წარმოდგენილი მისი მიმონერა, ფოტომასალები, დახასიათებები, სასწავლებლის მოსწავლეთა საკონცერტო პროგრამები და აფიშები, სიგელები, დიპლომები და სხვ.

ქსენია ჯიქიას მეთოდურ ნაშრომებს შორის თავისი მნიშვნელობით და მასშტაბით გამოირჩევა ხელნაწერი სათაურით „ფორტეპიანოს პედალიზაციის ზოგიერთი საკითხები“, რომელზეც ის მუშაობდა წლების მანძილზე და უნდა ჩამოეყალიბებინა დისერტაციის სახით. ეს ნაშრომი, დანერგილი რუსულ ენაზე, პირველად გამოქვეყნდა კრებულში: ქსენია ჯიქია. მოგონებები და სტატიები. თბილისი, 2000წ.

საუცხოო დამოკიდებულება ჰქონდა ქალბატონ ქსენიას უამრავ დიდ მუსიკოსთან — თავის მასწავლებლებთან თუ კოლეგებთან. ზოგიერთ მათგანზე — ჰ.ნე-იჰაუზზე, ე.მიქელაძეზე, ლ.ქუთათელაძეზე, რ.ლალიძეზე, ე.გედევანოვაზე — ქსენიამ დატოვა თავისი მოგონებები. ერთ-ერთი მათ შორის — „მოგონება ჩემს საყვარელ პედაგოგზე“ (იგულისხმება ლარისა ქუთათელაძე — დ.ა.-ჯ.) გამოიყარა ბროშურაში „თვალსაჩინო მუსიკოსი და პედაგოგი“.

1980 წელს, დაბადების სამოცდახუთ და პედაგოგიური მოღვაწეობის ორმოცდახუთ წლისთავთან დაკავ-

შირებით, თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში, გაიმართა (მუსიკალური საზოგადოების მიერ ფართოდ აღნიშნული) ქალბატონი ქსენია ჯიქიასადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. მილოცვებით გამოვიდნენ ჩვენი კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები, მისი მონაწევრები, კოლეგები.

მომდევნო წლებში სასწავლებელი განაგრძობდა ჩვეულ რიტმში ნაყოფიერ, ინტენსიურ შემოქმედებით ცხოვრებას, თავის საქმეში ამაღლებულად შეყვარებულ ქსენია ჯიქიას ხელმძღვანელობით, მაგრამ 1987 წლის 2 ნოემბერს იგი მოულოდნელად გაათავისუფლეს III სასწავლებლის დირექტორის თანამდებობიდან. ამ, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებარმა გადაწყვეტილებამ იქონია სავალალო შედეგი: ენერგიით, შემოქმედებითი გეგმებით სავსე ქალბატონი ქსენია იღებს მტკიც-ნეულ ფსიქოლოგიურ ტრავმას. ის მძიმედ განიცდის მომხდარს. 1993 წლის 16 აპრილს ქალბატონი ქსენია გარდაიცვალა.

საზოგადოებრივი პანაშვიდი გაიმართა მუსიკალურ-პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელსაც სათავეში ედგა მისი ყოფილი მოწაფე, ცნობილი პიანისტი და პედაგოგი მედეა ფანიაშვილი (ამ ინსტიტუტმა მედეას სახელი მიიღო მისი ნაადრევი გარდაცვალების შემდეგ).

ქსენია ჯიქია დაკრძალულია თბილისში, საბურთალოს სასაფლაოზე.

ქსენია ჯიქია იყო არა მხოლოდ გამოჩენილი ხელოვანი, რომლის ბრწყინვალე მოღვაწეობის შედეგები აღიარებულია მუსიკალური საზოგადოების მიერ, ის იყო ჭეშმარიტად ერის საამაყო ქალბატონი, ძლიერი და მასშტაბური პიროვნება, პირდაპირი და პრინციპული, გულახდილი, ღია და მამაცი. თავისი ხანგრძლივი ნაყოფიერი, თავდადებული და უანგარო მოღვაწეობით, გულისხმიერი და კეთილშობილი თვისებებით მან დამსახურებული ავტორიტეტი და პატივისცემა მოიპოვა საქართველოს ფართო საზოგადოებრივ წრეებშიც, შეიტანა მეტად ნონადი, ღირსშესანიშნავი წვლილი ეროვნული მუსიკალური კულტურის განვითარებაში.

ქალბატონ ქსენია ჯიქიას ხსოვნა დიდხანს იარსებებს მის მდიდარ სულიერ დანატოვარში, მისი უამრავი მოწაფის ხელოვნებაში, საქმიანობაში. ■

ნაკერები ფრაკზე

ალექსანდრა მნარიაშვილი

1. წარმოდგინეთ წარმოდგენელი: რუსეთის სამემს-რულეზლო კოლექტივებმა უარი თქვეს რუსული მუსიკის შესრულებაზე და მხოლოდ დასავლეთევროპულ მუსიკას ასრულებენ... მილანის „ლა სკალამ“ რეპერტუარიდან ამოიღო იტალიური ოპერები და მისი ორკესტრი მხოლოდ ქართული კინომუსიკის კონცერტებს მართავს... სიდნეის ოპერა უვადო რემონტშია, მისი დასი უმოქმედოა და საგასტროლოდ მხოლოდ აბორიგენტო ეროვნული ბალეტი დადის... ირანი მასპინძლობს თანამედროვე ჯაზის კოლექტივებს... პოლონელი დირიჟორები ირონიულად ახსენებენ თავიანთ კომპოზიტორებს და სხვა ქვეყნის შემოქმედებას უწვევენ პოპულარიზაციას...

წონსენსია?!!! ახლა ზემოთ ნახსენები ქვეყნები „საქართველოთი“ შეცვალეთ და ყველაფერი ნაცნობ სურათს მიიღებს!!!

2. „რაიკომის მდივნის კაბინეტის კარებს ფეხით ვაღებდი“, „მოსკოვში რესტორანში თვითმფრინავით მივდიმოვდიოდი“, „ფული მქონდა იმდენი, ვერ ვითვლიდი!!!“... ბევრისთვის ნაცნობი რიტორიკაა, მაგრამ როცა დღეს ამას გიყვება სრულიად წარუმატებელი და ჯიბეგაფხეკილი სუბიექტი — ღიმილი გებადება და გეცოდება... წარსულით სიამაყე მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც ანმყოფ ღირსეულია! დღეს საქართველოში რეტრო-კულტურა და რეტრონარმატებებია ზენიტში!! „მაშინ“ გვყავდა ფეხბურთელებიც, „მაშინ“ გვყავდა მუსიკოსებიც, „მაშინ“ გვყავდა მსახიობებიც და კოლორიტებიც!! სიამაყით აღვნიშნავთ მათ 100 წლის იუბილეებს, როცა

დღეს საასპარეზო მოედნები სრულიად დაცარიელდა! ახალგაზრდობა ვერ უწევს კონკურენციას „ზეზასა და მზიას“ და მალე მოვიხმართ ნაცნობსა და პრიმიტიულ წარწერებს — „Здесь был Вася“, „აქ იყო... კულტურა“, „აქ იყო... ფეხბურთი“, „აქ იყო... საქართველო!“...

3. მათემატიკა ჯიუტი მეცნიერებაა! და მოქმედებს ყველა დარგში. ერთი სიმღერის ათ რიმიკს თუ გავაკეთებთ, ისევ ერთი სიმღერა გვექნება და არა ათი!!! თანამედროვე მომღერლების რეპერტუარი უცხოური ან უკვე დაზეპირებული და გადაკეთებით გაფუჭებული ქართული სიმღერებით არის შევსებული. მსმენელის სიმპათია და სიყვარული, რომელიც ამ სიმღერების მიმართ არის, თავის თავსა და საკუთარ შემოქმედებას მიანერენ... ამას უწოდებენ „ცახეს ცინობერის“ სინდრომს და ამ სინდრომით შეპყრობილი არიან საქართველოში გაპარებული და გაგლამურებული პიროვნებები, ცნობილი და დამსახურებული ხალხის შთამომავლები, რომლებიც სარფიანად სარგებლობენ არსებული სიტუაციით...

4. მათემატიკის კანონი — შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი რომ არ იცვლება, ფილოლოგიაში არ მოქმედებს... სიტყვების გადანაცვლებით აზრი იცვლება. მაგალითად: „კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტრო“, გადავაადგილოთ სიტყვები — „ძეგლთა და კულტურის სამინისტროს დაცვა“, ან „ძეგლთა დაცვის სამინისტროს კულტურა“, ან „ძეგლთა სამინისტროს დაცვითი კულტურა“, „კულტურას — ძეგლი, დაცვა — სამინისტროს!“, სამწუხაროდ, ვარიაციები უფრო ახლოსაა რეალობასთან, ვიდრე ძირითადი ვარიანტი...



5. ზოგიერთ თანამედროვე კომპოზიტორის კონცერტზე მახსენდება ხოლმე ფილმი „კრავთა დუმილი“ და თავს ვგრძნობ კრავის როლში. მუსიკა მონყდა დანიშნულების არსს და არა მხოლოდ ა-ტონალურია, არამედ ა-მელოდიური, ა-ლირიკული, ა-იუმორისტული, ა-საკეკვაო, ა-საყოფაცხოვრებო, ა-ეროვნული... ამდენი ა-სგან მსმენელი ა-მთქნარებს და „კრავთა დუმის“ წყვეტს ფარისევლური ა-პლოდისმენტები....

6. ფეხბურთელმა ბევრი ვარჯიშის შემდეგ იყიდა ბურთი და ფორმა, აიყვანა მწვრთნელი, შეაწუხა თანაგუნდელები, გადაუხადა მოთამაშეებს, დაბეჭდა აფიშები, იქირავა მოედანი, დაურეკა ნაცნობებს და შეავსო ტრიბუნები, ოპერატორს გადააღებინა თამაში, რომელიც არცთუ ისეთი კარგი გამოვიდა... შევეცოდათ ფეხბურთელი?! ნუ დელავთ... ამ ყველაფერს დღეს აკეთებს კომპოზიტორი...

7. ა) Dull – dullest!!, ბ) Бездарный – бездарнейший!!, გ) ნიჭიერი – უნიჭიერესი????!!!! ეს არა მარტო ქართული ენის თავისებურებაა, არამედ დღევანდელი შეფასების ძირითადი ვექტორი....

8. დღეს პიანისტებს ფაკულტატიურად უნდა ასწავლონ არფაზე დაკვრაც! თანამედროვე ავტორები მათ ინსტრუმენტთან ჯდომას არ აღირსებენ და ფეხზე აყენებენ სიმეზზე დაკვრისთვის. მოუთმენლად ველოდები, როდის დაანვენენ ჩელისტებს!

9. კომპოზიტორებო!!! დანერეთ მუსიკა სი მაჟორში (H-dur-ში), იქნებ მერე ფინანსთა მინისტრმა (ხა-დური) ღირსეულად შეაფასოს თქვენი შრომა!



სანოტო კრებული 12/12

გასულ წელს, პირველად ქართული პროფესიული მუსიკის ისტორიაში, გამოიყვანა თანამედროვე ქართველი და გერმანელი ქალი-კომპოზიტორების სანოტო კრებული „12/12“. ეს, უდავოდ, მნიშვნელოვანი ნამოწყება და მოვლენაა ქართულ მუსიკალურ სივრცეში, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც საქართველოში სანოტო გამოცემლობა, ფაქტობრივად, შეჩერებულია. არ გამოიყვანა არათუ ქართველი კლასიკოსი კომპოზიტორების სანოტო კრებულები, არამედ მსოფლიო მუსიკალური კლასიკაც. როგორც გამოცემის პროექტის იდეის ავტორი და ორგანიზატორი, კომპოზიტორი ეკატერინე ახოვაძე შესავალში აღნიშნავს, ეს იდეა მას გერმანიაში, ქ. შტუტგარდში, თავის მეგობარ ნესტან ბაგრატიონ-დავითაშვილთან ყოფნისას გასჩენია. მისი მიზანი იყო ერთი მხრივ, ორი ქვეყნის შემოქმედების ერთმანეთთან დაკავშირება, გაღრმავება, მეორე მხრივ, კი ქალი-კომპოზიტორების შემოქმედების წარმოჩენა, ვინაიდან, მისი აზრით, „ქალი, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, სხვა მუსიკას ქმნის“, დაბოლოს – თანამედროვე მუსიკის პოპულარიზაცია.

გამოცემაში თავმოყრილია სხვადასხვა თაობის 12 ქართველი და 12 გერმანელი ქალი-კომპოზიტორის 24 საფორტეპიანო ნაწარმოები. ქართველ ქალი-კომპოზიტორთა შემოქმედება იხსნება ყველასათვის ცნობილი, შეიძლება ითქვას, პირველი ავანგარდისტი ქართველი ქალი-კომპოზიტორის, ნათელა სვანიძის ნაწარმოებით; ასევე წარმოდგენილი არიან: მარინა ადამია, ეკა ჭაბაშვილი, რუსუდან მეიფარიანი, ნესტან ბაგრატიონ-დავითაშვილი, თამარ სალუქვაძე, ნანა კობალაძე, თამარ ფუტყარაძე, ეკატერინე ახოვაძე, ლალი საბანაძე, ნინო ჯანჯღავა; გერმანული მხრიდან: კაროლა ბაუკ-ჰოლტი, იულიანე კლაინი, შარლოტე ზაიტერი, ურსულა ვიორში, ბარბარა ჰელერი, მია შმიდტი, ურსულა მამლოკი, მარგარეტე ზორგ-როზე, სუზანე ცარგარ-სვირიდოვი, სიბილე პომორინი, კარინ ჰუსმანი, ელკე ტობერ-ფოგტი. ისიც მნიშვნელოვანია, რომ კრებულს ახლავს თითოეული კომპოზიტორის ბიოგრაფიული მონაცემები, რაც ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნის მათ შემოქმედებით გზაზე. აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ გამოცემას თანდართული აქვს CD დისკიც, სადაც შეგვიძლია მოვისმინოთ თანამედროვე კომპოზიტორ ქალთა ნაწარმოებები. შემსრულებლები არიან ქართველი პიანისტები: ნინო ჟვანია, ნინო კასრაძე, თამარ ჟვანია, ნინო მაისურაძე, ეთერ ბუხრაშვილი. სწორედ ამ პიანისტებმა წარადგინეს და ააქლერეს საპრეზენტაციო კონცერტზე, 3 დეკემბერს, კონსერვატორიის მცირე დარბაზში, ქალი-კომპოზიტორების ნაწარმოებები. კონცერტზე აქლერდა კრებულში არსებული ყველა ნაწარმოები. ამასთანავე, ნაჩვენები იქნა დოკუმენტური ფილმი კომპოზიტორებზე, რომლებიც გვესაუბრებოდნენ თავის შემოქმედებაზე, ამ პროექტზე, რამაც ინფორმაციულადაც დატვირთული გახადა საღამო.

პრეზენტაციამ ცხადყო საზოგადოების დიდი ინტერესი ამ მოვლენისადმი – დარბაზი, მიუხედავად კონცერტის ხანგრძლივობისა, ბოლომდე გადაჭედული იყო.

როგორც პროექტის ავტორმა აღნიშნა, კრებულის პრეზენტაცია გერმანიაშიცაა დაგეგმილი. სანოტო კრებული კი უფასოდ დარიგდება საქართველოს ყველა რეგიონისა და გერმანიის მუსიკალურ სასწავლებლებში, რაც თანამედროვე მუსიკის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს.

ელენა ობრაზცოვა

75 წლის ასაკში, გერმანიის ქალაქ ლაიფციგში, გარდაიცვალა ელენა ობრაზცოვა, როგორც მას უწოდებენ – ყველა დროის უდიდესი მომღერალი, „მსოფლიო საოპერო სცენის დედოფალი“.

ელენა ობრაზცოვა ჯერ კიდევ პეტერბურგის, ანუ როგორც მაშინ ეწოდებოდა, ლენინგრადის კონსერვატორიის სტუდენტი გახლდათ, როდესაც მოსკოვის დიდ თეატრში შედგა მისი დებიუტი მარინა მნიშევის პარტიაში, მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი“. ათი წლის შემდეგ უკვე ამავე თეატრის სოლისტი გასტროლებით გამოვიდა მეტროპოლიტენ ოპერის სცენაზე ამავე პარტიაში და სპექტაკლის მსვლელობისას იმგვარი ოვაციები ატყდა, იგი ხუთჯერ გამოიძახეს, რამაც წარმოდგენის შეჩერება გამოიწვია. ამ ტრიუმფულმა გამოსვლამ საბოლოოდ მოუტანა დიდება მსოფლიო საოპერო სცენაზე. ობრაზცოვას ბიოგრაფიიდან აგრეთვე უნდა გამოირჩეს 1975 წელს ესპანეთში ოპერა „კარმენის“ 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ფესტივალზე მისი აღიარება მსოფლიოში კარმენის პარტიის საუკეთესო შემსრულებლად.

ფრანკო ძეფირელიმ, რომელმაც ელენა ობრაზცოვა გადაიღო სანტუცას როლში ფილმ-ოპერაში „სოფლის ღირსება“, წარმოთქვა სიტყვები: „მე ჩემი ცხოვრების მანძილზე გავოგნებულვარ სამგზის და ეს შოკი მომგვარეს: ანა მანიანიმ, მარია კალასმა და ელენა ობრაზცოვამ, რომელიც ფილმის გადაღებისას ახდენდა სასწაულებს“.

მომღერალი მოსკოვის ნოვოდევიჩის სასაფლაოზე დაკრძალეს. იგი აურაცხელი როდენობის ადამიანმა გააცილა უკანასკნელ გზაზე.

თბილისელთათვის ყოველთვის დიდი დღესასწაული მოჰქონდა ელენა ობრაზცოვას ჩამოსვლას სოლო კონცერტით (უმეტესად მის ბრწყინვალე კონცერტმანისერ – ვაჟა ჩაჩავასთან ერთად) თუ საოპერო სპექტაკლში მონაწილეობით. დაუვინყარი შთაბეჭ-



ელენა ობრაზცოვა

დილება დატოვა მისმა კონცერტმა ქუთაისში, ფესტივალზე „საოპერო სცენის ოსტატები“.

მომღერალი არაერთგზის აღნიშნავდა, რომ მას დიდ თეატრში პირველ მოსმენაზე პარტნიორობა გაუწია ზურაბ ანჯაფარიძემ, უკვე სახელოვანმა მომღერალმა. „პიკის ქალშიც“ მისი პირველი პარტნიორი ზურაბ ანჯაფარიძე გახლდათ. იქედან მოყოლებული მთელ რიგ სპექტაკლებში უწევდათ ერთად სიმღერა, ვიდრე ზურაბ ანჯაფარიძის დიდ თეატრში ყოფნამდე. შემდგომში ამ სპექტაკლებში მისი პარტნიორი გახდა ზურაბ სოტკილავა. იგი ყოველთვის დიდი სიყვარულით ასწავებდა სხვა ქართველ პარტნიორებსაც: მაყ-

ვალა ქასრაშვილს, მედეა ამირანაშვილს, ცისანა ტატიშვილს. საგანგებოდ იყო ჩამოსული თბილისში ზურაბ ანჯაფარიძის ბიუსტის გახსნაზე.

ელენა ობრაზცოვა ძალიან აფასებდა ქართველი მსმენელის აზრს. ბოლომდე მჭიდრო და გულთბილი ურთიერთობა ჰქონდა საქართველოსთან, ქართველ მუსიკოსებთან. ბუნებრივია, რომ მისი მეგობრები განსაკუთრებით განიცდიან მის დაკარგვას.

ნუნუ გაბუნია: „ელენა ობრაზცოვას გარდაცვალება



სუსპრაჲ ნუნუ გაბუნიაშთან, სხედან: მაყვალა ქასრაშვილი, ელენა ობრაზცოვა, ნუნუ გაბუნია, გურაბ სოსპილავა; ფგას: ლაპარა ჯყოინა

დიდი დანაკლისია მთელი მუსიკალური სამყაროსათვის. მისმა წასვლამ კიდევ სხვა ტკივილი მოგვაცენა მის მეგობრებს. ძალიან სწრაფად და მოულოდნელად გამოგვეცალა ხელიდან. ის განსაკუთრებული და გამორჩეული იყო არა მხოლოდ როგორც მომღერალი და ხელოვანი, არამედ როგორც ადამიანიც. ლენინგრადიდან რომ ჩამოვიდა მოსკოვში, მაშინვე ძალიან დაუახლოვდა მაყვალა ქასრაშვილს. მაყვალასთან ურთიერთობით დაიწყო მისი მეგობრობა და სიყვარული ქართველებთან და საქართველოსთან.

მე იგი გავიციანი და დაუახლოვდი 70-იანი წლებიდან, როდესაც სტაჟირებას გავდიოდი მოსკოვის დიდ თეატრში. არაერთი შემთხვევა მახსენდება, სადაც ლენა წარმოჩენილა თავისი განუყოფლობით. ახლაც თვალწინ მიდგას მაყვალა ქასრაშვილის ქორწილი — მოსკოვში, ვტო-ში. ლენა მოვიდა დაგვიანებით,

კი არ შემოვიდა — შემობრიალდა, შემოანათა, წითელი კაბა ეცვა, თმები ოქროსფრად უელავდა, საოცარი ეფექტი მოახდინა.

კიდევ ერთი ფაქტი მაგონდება, ისიც მაყვალა ქასრაშვილთან დაკავშირებით. მაყვალას ჩვენი თანდასწრებით დაურეკეს რომელიღაც ძალიან პრესტიჟული საოპერო თეატრიდან და სპექტაკლში მონაწილეობა შესთავაზეს. მაყვალამ უარი უთხრა: — მე ეს პარტია ნამღერი არა მაქვს და ამიტომ ვერ შევძლებო. იქვე იყო ლენაც, რომელმაც ძალიან შეიცხადა: — როგორ შეიძლება ასეთ რამეზე უარის თქმაო. მე სულ რომ მორეზარისხოვანი თეატრიდან მომმართონ და ჩემთვის უცნობი პარტია შემომთავაზონ, უარს არავითარ შემთხვევაში არ ვიტყვი. თავიდან სწორედ ასე მოვამზადე კარმენის პარტიაო. აფრიკის რომელიღაც ქალაქის თეატრიდან მომმართეს — თუ იმდერებო. მე მთელი პარტია არ ვიცოდი, მაგრამ არ გავამხილე, დღე და ღამე გავასწორე და მოვემზადეო. — საერთოდ ისეთი შრომისმოყვარე იყო, შეიძლება მსგავსი არც მოიძებნოს. მისი კონცერტმანისტური ვაჟა ჩაჩავა პირდაპირ ჩიოდა — ცუდად რომ არის, მაშინაც კი მუშაობა უნდა, წამს არ ამოგასუნთქებსო.

მოსკოვში ახლადჩასული ვიყავი. ზამთარი იყო და აქ მიჩვეული, იქაც უქედოდ დავდიოდი. ლენასთან მივედი, ძალიან მისაყვედურა, აქ უქედოდ სიარული როგორ შეიძლებაო და მომცა თავისი ქუდი — დაიხურეთ. მთელი ის სეზონი იმ ქუდით გავატარე. სულ ახლახან კი, უკვე ლენას გარდაცვალების შემდეგ, ტელევიზიით ვნახე კადრები —ახალგაზრდა ლენა მილანის ქუჩებში მოსეირნობს სხვა ახალგაზრდა მომღერლებთან ერთად და მის თავზე ვიცანი ის ქუდი, რომლითაც მე მაშინ გავატარე მთელი ზამთარი.

ბედნიერი ვარ, რომ მღეროდა ჩემს ნანარმოებს — „ავე მარიას“ არაჩვეულებრივად. თავის მონადეებსაც ასწავლიდა. ჩაფიქრებული ჰქონდა, რომ მოენყო საერთოდ სხვადასხვა კომპოზიტორების „ავე მარიების“ საღამო. თბილისშიც უნდოდა გამართა.

ძალიან მსიამოვნებს იმის გაფიქრება, თუ როგორ უყვარდა ჩემს სახლში სტუმრობა, ჩვენი ოჯახის, დედაჩემის საფირმო კერძები. ყოფილა შემთხვევა, რომ საგანგებოდ გამართულ ოფიციალურ სუფრაზე უარი

უთქვამს და ჩემთან წამოსულა ვინრო წრეში ვახშამზე.

რაც მთავარია, საოცრად უყვარდა საქართველო. ძალიან განიცდიდა აფხაზეთის ამბებს და საერთოდ, სულ აღშფოთებას გამოთქვამდა იმის გამო რაც ხდებოდა საქართველოსთან დაკავშირებით. ამბობდა – რატომ უნდა წყვეტდეს ერთი-ორი ზემოთ მჯდომი უგუნური ქვეყნებს შორის ურთიერთობას და რატომ უნდა ვიჭყლიტებოდეთ ჩვენ, როცა ასე ძალიან გვიყვარს ერთმანეთიო.

მიმაჩნია, რომ საქართველომაც დაკარგა ელენა ობრაზცოვა“.

ცისანა ტატიშვილი: „ძალიან განვიცდით ელენა ობრაზცოვას გარდაცვალებას. ის დიდი მომღერალი იყო, ნამდვილი პრიმადონა. სკენაზე რომ გამოჩნდებოდა, უკვე დაპყრობილი ჰყავდა დარბაზი. ამავე დროს, ლენა ჩვენი დიდი მეგობარი იყო, ძალიან კარგი დღეები გავგიტარებია ერთად.

ჩვენ ხარკოვში კონკურსზე ერთად ვიმღერეთ სპექტაკლ „აიდაში“ (იმ კონკურსზე სპექტაკლებში მღეროდნენ), ეს იყო ჩემი კარიერის დასაწყისში, და იქედან მოყოლებული არაერთხელ გამოვსულვართ ერთად „აიდაში“ მოსკოვშიც, თბილისშიც.

ერთხელ თბილისში ლენას და მის მეუღლეს, დირიჟორ ჟურაიტის კონცერტი ჰქონდათ. იქედან ჩემთან წამოვედით სახლში, სადაც უშველებელი სუფრა იყო გაშლილი, ჩემი მეუღლე და მისი მეგობრები უკვე ლხინის ეშხში იყვნენ შესულნი. ქალბატონებიც შევეერთდით – ლიანა ასათიანი, ნანა დიმიტრიადი და ა.შ. რომ მივედით, ჯერ ლენა შევეუშვით ოთახში და თამადამ, თემო ჩირვაძემ მის დანახვაზე შემოსძახა: “Тылары, приветствовать!”: – და ეგრევე მთელი მამაკაცები (საკმაოდ ბევრნი იყვნენ) სკამებზე შეხტნენ, ლენა გავიჟდა, – ასეთი შეხვედრა ჩემთვის არსად არ მოუწყვიათ, სიზმარშიც კი ვერ ვნახავდი ამას, ეს მხოლოდ ქართველებს შეუძლიათო.

ვაჟა ჩაჩავა თავიდან ჩემი კონცერტმანისტერი იყო. ერთხელაც მოსკოვში, კონსერვატორიის დიდ დარბაზში სოლო კონცერტი მქონდა ვაჟასთან ერთად. კონცერტის ბოლოს ლენა მოვიდა ჩემთან და მითხრა: – ეს რა კონცერტმანისტერი გყავს, მე ამას შენ „აგართმევო“. – მე ვუთხარი: – ძალიან გული დამწყდება,



ელენა ობრაზცოვა, ცისანა ტატიშვილი. მოსკოვში სპექტაკლ „სალომის“ შედეგად

მაგრამ თვითონ ვაჟას კარიერის გამო დავთმობ-მეთქი. ასე გახდა ვაჟა ჩაჩავა ლენა ობრაზცოვას კონცერტმანისტერი.

მოსკოვში ერთ საღამოს ვაჟასთან მივედიოთ სახლში. მანამდე ერთმანეთს უნდა შეხვედროდით. მოვარდა ლენა ლანგრით, თავისი გამომცხვარი ვაშლის ღვეზელი ეჭირა, სულ ცხელ-ცხელი. ავედით ვაჟასთან, ჩაი დავლიეთ, ძალიან სასიამოვნო საღამო გავატარეთ. მერე სულ ვახსენებდი იმ ვაშლის ღვეზელს.

ჩემმა მეუღლემ – გოგი თოთიბაძემ ლენას პორტრეტი დახატა. ძალიან მოეწონა ლენას, გულში ჩაიკრა და ისე წაიღო. მერე გოგიმ ასლი შექმნა და ის ჩვენს სახლში ჰკიდია. ასე რომ, სულ ვუყურებ ლენას პორტრეტს და ახლა უკვე გულისწყვეტა მიპყრობს, რომ ის ჩვენს გვერდით აღარ არის. ძალიან გულიანი იყო, თბილი და იშვიათად ადამიანური. სულ ფიქრობდა, ვინმეს დახმარებოდა. ნათელში იყოს მისი სული!“

სამეცნიერო

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მრავალწლიანი ინტერვალის შემდეგ ჩატარდა სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა მუსიკის სწავლების, პედაგოგიკის პრობლემებს. ძალზე ფართოდ იქნა დასმული და გაშუქებული საკითხთა წრე. ვრცელი იყო ნაშრომების თემატური სპექტრი, იგი მოიცავდა სამუსიკო განათლების სხვადასხვა მიმართულებასა და რგოლს. მომხსენებლები იყვნენ კონსერვატორიის პროფესორები და სახელოვნებო სკოლების პედაგოგები: თამარ ჩხეიძე, ქეთევან ბოლაშვილი, მარიკა ნადარეიშვილი, ლეილა მარუაშვილი, რუსუდან თაყაიშვილი, ნათია დეკანოზიძე, ირინა ბარბაქაძე, მაკა კიკნაძე, მაია ტაბლიაშვილი, მარინა ქავთარაძე, ნანა ლორია, ნანა შარიქაძე, ლალი კაკულია, ეკა ჭაბაშვილი.

განსაკუთრებით დროული გახლდათ სხდომის ბოლოს მრგვალი მაგიდის გამართვა, სახელწოდებით „სამუსიკო განათლების პრობლემები“. მომხსენებლები:

ივანე ჟღენტი, ლეილა მარუაშვილი, მარინა ქავთარაძე, რუსუდან წურნუშია, ნინო კასრაძე, რუსუდან თაყაიშვილი და სხვ. მოდერატორი – მარიკა ნადარეიშვილი. ამ ბოლო დროს ხომ სულ უფრო დიდი ყურადღება ეთმობა მუსიკის როლის მნიშვნელობის საკითხს მზარდის აღზრდაში, სულ უფრო გახშირდა მეცნიერების მიერ დასაბუთება იმისა, თუ რა სარგებლობა მოაქვს მუსიკასთან ზიარებას ადამიანის ჩამოყალიბებაში, მისი აზროვნების ფორმირებაში. ამაზე დაფიქრება კი აღძრავს მთელ რიგ მტკიცებულ პრობლემებს, მათი მოგვარების აუცილებლობის სურვილს.

მრგვალ მაგიდაზე ხაზი გაესვა როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე სახელოვნებო სკოლების სწავლების სისტემის ნაკლოვანებებს. ამის შემდეგ არაერთი საქმიანი და საგულისხმო მოსაზრება გამოითქვა. მწვავედ განიხილეს როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონებში არსებული ვითარება.



კონფერენცია

მტკივნეულ საკითხად მოიაზრება კადრების მდგომარეობა, მასწავლებლის სტატუსი. აღინიშნა, რომ მუსიკოლოგიურ დისციპლინებს ასწავლიან არასპეციალური განხრის კვალიფიკაციის მქონე პირები. სკოლებში ასწავლიან სხვადასხვა სასწავლო გეგმით.

აღინიშნა, რომ სახელოვნებო სკოლებში ადგილი აქვს სპეციალური ლიტერატურის, სახელმძღვანელოების, აუდიო აპარატურის, კომპიუტერების ნაკლებობას. აგრეთვე ყურადღება გამახვილდა სახელოვნებო განათლების კონცეფციაზე. დაისვა საკითხი, რომ კულტურისა და ძველთა დაცვის სამინისტრომ განაახლოს მასზე მუშაობა.

რეგიონებთან დაკავშირებით ასევე ყურადღება გამახვილდა კადრების საკითხზე. პრობლემის მოგვარება დაისახა შემდეგნაირად: კონსერვატორიაში ამოქმედდეს გადამზადების კურსები, აღდგეს კონსულტანტის სისტემა, აქედან მიავლინონ სპეციალისტები, ამოქმედ-

დეს განათლების სამინისტროს მიერ დანერგილი მოდელი – მაღალი ხელფასით მიიზიდონ ახალგაზრდა კადრები რეგიონებში.

უმადლესი სასწავლებლის პრობლემატიკის განხილვისას სხვათა შორის აღინიშნა, რომ სასურველია პროგრამის მოდერნიზება, აგრეთვე არჩევითი საგნების ნუსხის გაფართოება

როგორც წარმოდგენილ შრომებში დასმული საკითხები, აგრეთვე მრგვალ მაგიდაზე გამოთქმული მოსაზრებები საქმიან მიზანს ისახავს. ყოველივე ეს ხომ სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის, არა მხოლოდ მუსიკალური კულტურის, არამედ ზოგადად კულტურის არსებობისათვის.

კონფერენციისა და მრგვალი მაგიდის პრობლემატიკა დეტალურად შეგიძლიათ იხილოთ ფეისბუქის გვერდზე: Science Research Department.



მაკა ვირსალაძე საქართველოს ხელოვანთა გამორჩეული საგვარეულოს კიდევ ერთი სახეა. მის ოჯახში ყველა და ყველაფერი ხელოვნებით სუნთქავს. მარტო ანასტასია, სოლიკო და ელისო ვირსალაძეების სახელის ხსენებაც საკმარისია, რომ გასაგები გახდეს რა გენეტიკურ კოდზეა საუბარი. მათში ხელოვნების ნიჭი თაობიდან თაობას გადაეცემა. ვირსალაძეების სახელოვან ტრადიციებს ახლა უკვე მეოთხე თაობა აგრძელებს – დინი ვირსალაძე – კლასიკური ჯაზის ყველასათვის ცნობილი წარმომადგენელია, ხოლო კომპოზიტორ მაკა ვირსალაძეს კარგად იცნობენ აკადემიური

ბი შერეული და აკაპელა გუნდებისთვის და სხვ. მისი ნაწარმოებები სრულდება გერმანიაში, შვეიცარიაში, პოლონეთში, უკრაინაში, სასომხეთში და სხვ. გასული წლის ბოლოს გამოიყა ქართველი და გერმანელი ქალი კომპოზიტორების საფორტეპიანო ნაწარმოებების კრებული, რომელშიც მისი ნაწარმოებაც შევიდა. კრებულის საპრეზენტაციო კონცერტზე წარმატებით შესრულდა მისი ნაწარმოები „მილენიუმი“.

პროფესიული თანამედროვე მუსიკის სფეროში მამამ აღიარება მოიპოვა როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში. იგი არაერთი ადგილობრივი და საერთაშო-

მაკა ვირსალაძის საერთაშორისო გამარჯვება

მუსიკალური წრეები და თანამედროვე მუსიკის მოყვარულნი.

მაკამ კონსერვატორიის კომპოზიციის კლასი ბიძინა კვერნაძესთან დაამთავრა (1995), ასპირანტურა – ნოდარ მაძისაშვილთან (1998), დოქტურანტურა – ზურაბ ნადარეიშვილთან, ხოლო დისერტაცია მარიკა ნადარეიშვილის ხელმძღვანელობით დაიცვა. მან პარალელურად მუსიკისმკოდნეობის ფაკულტეტიც დაამთავრა (1996, ხელმძღვანელი დოლიძე). ამჟამად მ.ვირსალაძე თვითონ მოღვაწეობს თბილისის კონსერვატორიაში როგორც პედაგოგი. იგი არის კომპოზიციის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, 2014 წლიდან – კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, კომპოზიციის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი.

მაკას შემოქმედება ქანობრივად მრავალფეროვანია: ვოკალური და კამერულ-ინსტრუმენტული მუსიკა, ნაწარმოებები კამერული და სიმფონიური ორკესტრებისთვის, მუსიკა ბალეტისთვის, საგუნდო ნაწარმოებ-

რისო კონკურსის ლაურეატია: 1994წ. მიენიჭა საქ.კულტურის სამინისტროს ფილდო; 2003წ. – ტაშკენტის საერთაშორისო ფესტივალზე „XXI საუკუნე“ დილოგი საუკეთესო რომანსებისათვის; 2010წ. საქ. კულტურის სამინისტროსა და კომპოზიტორთა კავშირის პრემია.

ჯერ კიდევ 2005 წელს მაკა ვირსალაძის შემოქმედებით, და სახელდობრ, კამერული ორკესტრისთვის შექმნილი მისი შვიდი ნაწარმოებით დაინტერესდა შვეიცარიელი დირიჟორი, გამომცემელი და ფესტივალ „მენჰირის“ დამფუძნებელი სიმონ კამარტინი. მანვე მაკას ამ ფესტივალისთვის დაუკვეთა შვეიცარიელი პოეტი ქალის ტერეზა რიუტერ-ზეელის ტექსტზე ვოკალურ-სიმფონიური ტრიპტიქი „ათასი მზერის მიღმა“. ნაწარმოები ამჟამად წელს შესრულდა ფესტივალზე, სადაც მაკა „სუკციალურად მიწვეული კომპოზიტორის“ სტატუსით იმყოფებოდა. ასევე მეტად წარმატებული პროექტი იყო 2003 წელს ჰოლანდიური საქსოფონების კვარტეტის „აურელიის“ დაკვეთაში მონაწილეობა მის პედა-



გოგ. კომპოზიტორ ნოდარ მამისაშვილთან ერთად. აქ მაკა სწორედ ბ-ნი ნოდარის რეკომენდაციით მოხვდა. მ.ვირსალაძეს მას შემდეგ არაერთ სხვა საერთაშორისო პროექტში მიუღია მონაწილეობა და წარმატებითაც.

მ. ვირსალაძე შესულია კემბრიჯის ბიოგრაფიული ცენტრის მიერ 2000 წელს გამოცემულ წიგნში „მოცუვე საუკუნის გამოჩენილი მუსიკოსები“ (Outstanding Musicians of the 20th Century). 2000 წლიდან მისი სახელი და გვარი განთავსებულია ინტერნეტში Dan Albertsonis, (USA) ვებ-გვერდზე „ცოცხალი კომპოზიტორების პროექტი“ (“The living composers project”).

მ.ვირსალაძის ინტერესების სფერო მეტად მრავალმხრივია. იგი დაინტერესებულია ხელოვნების, რელიგიისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგებს შორის კავშირით. იღებს მონაწილეობას სხვადასხვა თემატურ კონფერენციებში როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

გასული, 2014 წელიც, კომპოზიტორისათვის წარმა-

ტებული აღმოჩნდა. მან პეტერბურგში, სრულიად რუსეთის კომპოზიტორთა VII ღია კონკურსში – „საგუნდო ლაბორატორია XXI საუკუნე“ – ნომინაციაში „საგუნდო მუსიკა ლათინურ ტექსტებზე“ II ადგილი და ლაურეატის წოდება მოიპოვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ ნომინაციაში პირველი პრიზი არ გაცემულა. მაკამ კონკურსზე ორი ნაწარმოები წარადგინა: “Alma Mater”, “Tantum Ergo”. კონკურენცია საკმაოდ დიდი იყო, კონკურსში მონაწილეობას იღებდნენ კომპოზიტორები სრულიად რუსეთისა და მსოფლიოს (ბელორუსია, სომხეთი, ყაზახეთი, სლოვენია, უკრაინა, გერმანია, იტალია, ამერიკა, მაკედონია და სხვ.) სხვადასხვა ქალაქებიდან. სულ წარმოდგენილი იყო 198 ნაწარმოები და 12 საგუნდო ციკლი კომპოზიტორთა 125 დევიზის ქვეშ.

30 ნომებერს გაიმართა ვალა კონცერტი, სადაც თითქმის ყველა გამარჯვებული ნაწარმოები შესრულდა. კონკურსის საორგანიზაციო ჯგუფი, სანქტ-პეტერ-



მაკა, ელისო და დინი ვირსალაძეები

ბურგის გამომცემლობა „კომპოზიტორთან“ ერთად, გეგმავს რიგით მეექვსე საწილს კრებულის – „საგუნდო ლაბორატორია XXI საუკუნე“ – გამომცემას. სპეციალისტები აღნიშნავენ კონკურსის მაღალ დონეს, რის გამოც გადამწყდა არა მხოლოდ გამარჯვებული ნაწარმოებების გამოცემა, არამედ ზოგიერთი იმ ნაწარმოებისაც, რომელმაც კონკურსში ვერ მოიპოვა საპრიზო ადგილი. მით უფრო საამაყოა, რომ ქართველი ქალი კომპოზიტორის ნაწარმოებები ამ კრებულში მოხვდა როგორც ნომინირებული ოპუსები.

მ.ვირსალაძე, მისი ინტერესთა სპექტრის მრავალმხრიობიდან გამომდინარე, არ შემოფარგლულა მხოლოდ ნაწარმოებების კონკურსზე წარდგენით. პეტერბურგში ყოფნის პერიოდში მან მონაწილეობა მიიღო ფესტივალ „დროის სარკის“ ფარგლებში გამართულ პრაქტიკულ სემინარზე „თანამედროვე ქორმალისტური“. კონცერტი და პრაქტიკული სემინარი ერთი დღის შუალედით მიმდინარეობდა. ორივე ღონისძიება – საკომ-

პოზიტორო კონკურსი, გალა-კონცერტი და პრაქტიკული სემინარი საგუნდო მუსიკის ფესტივალის ფარგლებში ტარდებოდა.

ეურნალის რედაქციამ რამდენიმე კითხვით მიმართა კომპოზიტორს.

– კონკურსში კომპოზიტორები თავიანთ ნაწარმოებებს წარადგენდნენ დევიზით. რა იყო თქვენი დევიზი?

მაკა ვირსალაძე – ჩემი დევიზი იყო „sacrament“, ანუ იდუმალეობა, რაც ინსტრუმენტულ ნაწარმოებებს დავარქვი თავის დროზე და აქაც გამოვიყენე ეს სიტყვა.

– როგორ მოხვდნენ ამ კონკურსზე უცხო ქვეყნების წარმომადგენლები, მათ შორის თქვენც, რადგან კონკურსი, როგორ ვიცით, სრულიად რუსეთის კომპოზიტორთა კონკურსია და არა საერთაშორისო?

მ.ვ. – ჩემამდე მოსული ინფორმაციით, კონკურსი არის უკვე საერთაშორისო, ყოველ შემთხვევაში, მონკვევაში, რომელიც მივიღე სანქტ-პეტერბურგის კომპოზიტორთა კავშირიდან, ასეა მითითებული და მონაწი-



დაჯილდოება. სანძის- პუსტარგუსი.

ლეთა ქვეყნების მრავალფეროვნებას, ამას მონშობს. ამ კონკურსში მონაწილეობის რეკომენდაცია კი ჩემი პეტერბურგელი კოლეგებისგან მივიღე და მიუხედავად კონკურსების მიმართ ჩემი სკეპტიკური დამოკიდებულებისა, დავთანხმდი. ალბათ, უკვე ასაკიც შეპარება და ზოგიერთი საკითხის მიმართ ნაკლებად კატეგორიული ვხდები.

– როგორც ცნობილია, საქართველოში მაღალი საგუნდო კულტურაა და ამ ჟანრში ქართული საკომპოზიტორო სკოლა მრავალი მაღალმხატვრული მონაპოვრითაა მდიდარი. აქედან გამომდინარე, როგორ შეფასებდით კონკურსის დონეს, წარმოდგენილ ნაწარმოებებს?

მ.ვ. – საკმაოდ კარგი დონე იყო, მრავალფეროვანი იყო იქ წარმოდგენილი სტილების და საკომპოზიტორო მიდგომების თვალსაზრისით. გარდა ამისა, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო პრაქტიკული სემინარი, რომელიც ინტერაქტიული ფორმით იმართებოდა, გამოდიოდნენ

მოსხენებებით, იყო მსჯელობა საგუნდო მუსიკის განვითარების პერსპექტივებზე, საკომპოზიტორთა ასევე საშემსრულებლო კუთხით, საუბარი იყო გუნდთან მუშაობის კონკრეტულ ხერხებზე. მე მომეცა საშუალება წარმედგინა მოხსენება თემაზე „ალეატორიკული ტექნიკის გამოყენება საგუნდო მუსიკაში“ (ზოგიერთი ქართველი კომპოზიტორის – ნოდარ მამისაშვილის, ჯემალ ბეგლარიშვილის, ეკა ჭაბაშვილის და მკა ვირსალაძის საგუნდო ნაწარმოებების მაგალითზე).

მთლიანობაში, ნამდვილად მოსაწონი და დასაფასებელია, როდესაც საგუნდო მუსიკას ყურადღება ექცევა, ცდილობენ სწავლების სხვადასხვა საფეხური მოიცვან, როგორც რეპერტუარის, ასევე სამეცნიერო კვლევების თვალსაზრისით. თუმცა პრობლემები, ბუნებრივია, მათაც ბევრი აქვთ.

– რა შეგიძინათ თქვენ ამ კონკურსმა?

მ.ვ. – ხელოვნებაში, მით უფრო საავტორო ხელოვნებაში, შეჯიბრის იდეა, ჩემი აზრით, მთლად მოსაწონ-



სხედან: ირინა როზანოვა, მაკა ვირსალაძე. მარჯვნიდან ღვანან: ვიჩესლავ გუვი, მაქსიმ გასოვი.

ნი არ არის, მეგრამ ვაღიარებ, კონკურსი ნაწარმოების გაუღერების შესაძლებლობას იძლევა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია კომპოზიტორისთვის. მიუხედავად იმისა, ნაწარმოები შესრულებულია თუ არა. ყოველი ახალი შესრულება ახალ სივრცეს სძენს და მის სივრცხლისუნარიანობას ამტკიცებს.

კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ მნიშვნელოვანი იყო პრაქტიკული სემინარი, იქ სხვადასხვა დისკუსიებში, მსჯელობებში მონაწილეობა. კონკურსმა მთლიანობაში ახალი გამოცდილება შემძინა, ზოგიერთ საშემსრულებლო დეტალებზეც უფრო მეტად დავფიქრდი.

— აპირებთ თუ არა გამარჯვებული ნაწარმოებები ქართველ მსმენელს წარმოუდგინოთ?

მ.ვ. — ამ კონკურსზე დასაშვები იყო შესრულებული ნაწარმოების გაგზავნა, ჩემი გამარჯვებული ნაწარმო-

ებებიც საქართველოში უკვე იყო გაუღერებული. სახელდობრ, ე. მიქელაძის სიმფონიური მუსიკის ცენტრში ჩემს საავტორო კონცერტზე, შეასრულა სახელმწიფო კაპელამ არჩილ უშვერიძის დირიჟორობით.

— რაზე მუშაობთ ამჟამად და რა გეგმები გაქვთ მომავალში?

მ.ვ. — გეგმები ბევრი მაქვს, როგორ განვახორციელებ არ ვიცი. რაზე ვმუშაობ? არ მიყვარს წინასწარ თქმა, თუმცა ამჯერად გავანდობთ, ნაწარმოები იქნება კამერული ორკესტრისთვის.

ჩვენთვის სასიხარულოა, რომ ასეთი მაღალი დონისა და ხარისხის კონკურსზე ქართველმა ქალმა კომპოზიტორმა საპრიზო ადგილი დაიმსახურა. ვულოცავთ კომპოზიტორს ამ გამარჯვებას და მომავალ წარმატებებს ვუსურვებთ. ■

„მუსიკა გონების უმაღლესი გასხვივებაა, გაცილებით მეტი, ვიდრე თვით სიბრძნე და ფილოსოფია“

ლ.ვ. ბეთჰოვენი

ლობის უპირველესი ამოცანაა. მით უმეტეს, რომ ქართველებს თავმოსანონი მსოფლიო საზოგადოების წინაშე სხვა არაფერი გვაქვს. სოციალურ-ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი განვითარების სფეროში, სხვადასხვა ხალხებს და ქვეყნებს განსხვავებული პრობლემები

გორის ქალთა კამერული გუნდის ტრიუმფული კონცერტი

ანგორ შომახია

უცნაური წესი გვაქვს ქართველებს, თუ ხელოვანმა, მხატვარმა, მომღერალმა, პოეტმა ან რომელიმე კოლექტივმა უცხოეთში არ მოიპოვა აღიარება, რატომღაც ვერიდებით მათდამი საქებარი სიტყვის თქმას.

მე მინდა დავარღვიო ეს ტრადიცია და გორის ქალთა კამერული გუნდის გამოსვლას 16 დეკემბერს კონსერვატორიის მცირე დარბაზში ტრიუმფული ვუნოოდ. თუმცა ისიც მართალია, რომ ისეთი ფოლკლორის მქონე ქვეყანას, როგორც ჩვენ ვართ, წარმატებული საგუნდო მუსიკის კონცერტი არ უნდა გაუკვირდეს.

ქართული აკადემიური მუსიკალური ხელოვნება რომ განადგურებულია, ვფიქრობ, საიდუმლო არ არის, ვერა და ვერ მოვახერხებთ დავადგეთ განვითარების სწორ გზას. ეს იმიტომ, რომ კადრების შერჩევა, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებრად და სულელურად ხდება. რეფორმატორებად აცხადებენ თავს სწორედ ისინი, ვისაც მუსიკალური ხელოვნების საჭიროებების არაფერი გაეგება, ან – არაპროფესიონალები, ან ვაიპროფესიონალები არიან.

ჩვენი ეროვნული ტრადიციების გადრმავება და გაძლიერება, ეროვნული ლიტერატურის, მუსიკის, თეატრის, კინოს, მეცნიერების ინტენსიური განვითარება და არა სხვათა უაზრო მიბაძვა გახლავთ მსოფლიო ხალხთა თანამეგობრობის ღირსეულ წევრად გახდომის ნაღდი გზა. ეროვნული კულტურის განვითარება, მისი თვითმყოფადობის შენარჩუნება ქვეყნის დამოუკიდებ-

აქვთ, საქართველოში კი ზოგი რამ როდი ინვესტს შემოფოთებას – აქ ყველაფერი საგანგაშოა.

სწორედ ასეთ გარემოში ბნელეთიდან გამონათებას შგავდა კონსერვატორიის მცირე დარბაზში, 16 დეკემბერს, გორის ქალთა კამერული გუნდის კონცერტი. დიდი წარმატებები თან სდევს ამ კოლექტივის ყველა გამოსვლას. ოქტომბრის თვეში, თელავის საერთაშორისო ფესტივალზე, ი. კეჭაყმაძის 9 საგუნდო ნაწარმოების შესრულების დროს მადლიერმა მაყურებელმა ხუთჯერ მოუწყო დიდი ოვაცია გუნდს, რაც არცთუ ისე ხშირად ხდება. აგრეთვე, დიდი ოვაცია და მოწონება გამოხატა ჩვენმა სახელგანთქმულმა და ყველასთვის საამაყო პიანისტმა ქალბატონმა ელისო ვირსალაძემ, რომელიც დარბაზში იმყოფებოდა მთელი კონცერტის განმავლობაში. იგი განსაკუთრებით აღტაცებული იყო გუნდის ხელმძღვანელის – თეონა ცირამუას სადირიჟორო ხელოვნებით, რაც გამოიხატა კონცერტის შემდეგ მისი და ქალბატონი თეონას ვრცელი და თბილი დიალოგით. ასე რომ, 16 დეკემბრის დიდი წარმატება შემთხვევითი არ გახლავთ.

სანამ გორის ქალთა გუნდის სამემსრულებლო ხელოვნებას შევეხებოდე, მინდა გავიხსენო, რომ მისი შექმნის სათავეებთან საგუნდო ხელოვნების დიდოსტატი, ჩემი მეგობარი ბატონი შალვა მოსიძე და ბატონი ალექსანდრე კაჭარავა იდგნენ (ეს უკანასკნელი ახლაც უდვას გუნდს სათავეში.) ბატონმა შალვამ გავაცოცა

შთაბეჭდილება

არა მარტო საგუნდო საქმის უბადლო ცოდნით, არამედ სამომავლო სტრატეგიით. მან გააკეთა უშეცდომო სვლა, სადავეები გადააბარა თავის ძალიან ნიჭიერ სტუდენტს, რომელმაც სცენიდან უდიდესი მადლობა გადაუხადა თავის მესტროს. გუნდის უკან არის უამრავი გასტროლი, კონკურსებში გამარჯვებები. გუნდი ბატონი შალვას პრინციპების დამკველი მონადის ხელმძღვანელობით ღირსეულად აგრძელებს დამკვიდრებულ ტრადიციებს. ღმერთმა მეც და სხვასაც, თავისი მოღვაწეობის შემდეგ ასეთი მონაფეები დაგვატოვებინოს. ეს დიდი ბედნიერებაა!

იმ საღამოს არ დამავინყდება ბატონ ალექსანდრე კატარავას სახე. ის ოსტატურად მალავდა სიხარულის ცრემლებს, რომელიც მას საბოლოო ოვაციის დროს მოერია (მაპატიეთ, ლირიკული გადახვევა).

გუნდმა პირველ განყოფილებაში წარმოადგინა იოსებ კეჭაყმაძის 8 საგუნდო ნაწარმოები. იოსებ კეჭაყმაძე ეპოქა ქართულ საგუნდო ხელოვნებაში. იგი, როგორც კომპოზიტორი, თავისი მიდგომით, დახვენი-

ლი გემოვნებით, გამოყენებული ხერხებით უეჭველად კლასიკოსია. მის ნაწარმოებში განუწყვეტლივ ისმის ქართული ჰარმონია. ბატონი სოსო ხშირად იყენებს მთის ფოლკლორს და ინტონაციებს. გამონაკლისი, ჩემი აზრით, ალბათ „ეგზერსისია“, რომლის მოსმენის დროს გეუფლება შთაბეჭდილება, რომ გესმის რაღაც კოსმიური ხმები. ამ ნაწარმოებში ბატონი სოსო სცდება დედამიწის ფარგლებს და მის მუსიკას თითქოს კოსმოსში გადაჰყავს მსმენელი.

ბატონ სოსოს გორის ქალთა კამერულ გუნდთან დიდი ხნის შემოქმედებითი მეგობრობა აკავშირებდა. პირადად მეც მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებდა ბატონ სოსოსთან. მახსოვს, პირველად რომ მოიყვანეს ნიჭიერთა ათნლედში, დირექტორმა — ბატონმა გივი სვანიძემ გამოგვიცხადა: — მივიღეთ ახალი უნიჭიერესი მოსწავლე, დიდი მომავლის მქონე ყმანვილი იოსებ კეჭაყმაძეო. აკი ეს ყმანვილი მსოფლიო დონის საგუნდო კომპოზიტორი გახდა. მე არ ვაჭარბებ, თუ მოვახერხებთ და მის ნაწარმოებებს გავიტანთ და მოვასმენინებთ სა-

გორის ქალთა კამერული გუნდი
ხელმძღვანელი — თეონა სირაჟა



ერთაშორისო ასპარეზზე, მას დიდი აღიარება მოჰყვება. თუმცა ბატონ შალვა მოსიძეს თავის დროზე არ დაუკლია ძალისხმევა, რომ ბატონი სოსოს მუსიკა (სხვა კომპოზიტორებთან ერთად) გაეტანა საერთაშორისო ასპარეზზე. ვფიქრობ, ეს ისტორია უნდა გაგრძელდეს. რაოდენ სანაყნია, რომ ბატონი სოსო ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან, რასაც ზოგიერთი ანტიქართველი ჩინოვნიკის უაზრო გადაწყვეტილებამაც შეუწყო ხელი.

საოცარი წარმატება ჰქონდა ჩემი მეგობრის, გოგი ჩლაიძის ნაწარმოებს „ტრელო პეპელა“, რომელიც გახლავთ ერთ-ერთი ნაწილი ციკლისა „თემები და ვარიაციები“. ჩემი აზრით, ეს ნაწარმოები საკონცერტო ფარგლებს ცდება, მან უფრო სპექტაკლის შთაბეჭდილება დატოვა. იგი თითქოს ვიზუალურ მუსიკას ქმნის. არა მარტო გესმის, არამედ თითქოს აშკარად ხედავ, რასაც მუსიკა მოგვითხრობს. ბატონ გოგის შექმნილი აქვს უამრავი საგუნდო და აგრეთვე სხვა ჟანრის (მათ შორის დიდი ფორმის) ნაწარმოები. ახლახან, მან ბატონ ლექსო თორაძისთვის შექმნა საფორტეპიანო კონცერტი. რაოდენ გასახარია, რომ მისი სახით გვყავს კიდევ ერთი წარმატებული ქართველი კომპოზიტორი.

საინტერესო იყო, როგორც მელოდიური, ასევე კომპოზიციური თვალსაზრისით, ბატონ მერაბ გაგნიძის ნაწარმოები „სამგლოვიარო მარში“, მაგრამ გვერდს ვერ ავუვლით იმ ფაქტს, რომ გუნდის შესრულებაში შეიმჩნეოდა ოდნავი ინტონაციური უსუფთაობა. ამის მიზეზი, ჩემის აზრით გ. ჩლაიძის ურთულესი ნაწარმოების შესრულების შემდეგ გუნდის დაღლა იყო.

უზომო სიხარული მომგვარა კიდევ ერთი ჩემი მეგობრის, ბატონ ჯემალ ბეგლარიშვილის შემოქმედებამ. მას აშკარად თავისი ხელწერა აქვს. კონცერტზე წარმოდგენილი იყო სამი სხვადასხვა ტიპის ნაწარმოები. ჯემალ ბეგლარიშვილმა, როგორც საგუნდო კომპოზიტორმა, გორის ქალთა გუნდში აიდგა ფეხი. როცა ისმენ მის ნაწარმოებს „ლხინი სოფლად“, თვალწინ წარმოგიდგება სოფლის ნამდვილი ზეიმი. ბეგლარიშვილმა მიაღწია ჭეშმარიტად დაეხატა სოფლის სიტუაცია შესანიშნავი მიგნებებით. შესანიშნავი იყო 9 აპრილს დაღუპულ გმირებისადმი მიძღვნილი ნაწარმოები — „მიძღვნა“ აკაკი წერეთლის ლექსზე, რომელიც ხარისხით და მხატვრული დონით ნამდვილად ღირსე-

ული ნაწარმოებია. არაჩვეულებრივი წარმატება ხვდა დიდი გემოვნებითა და ოსტატობით შესრულებულ მესამე ნაწარმოებს — „ტრანსკრიფციები ი. ჰაჯიბეგოვის თემებზე“. უზომოდ მოხიბლული მაყურებელი დიდხანს უკრავდა ტაშს შესანიშნავი კომპოზიტორის ნაწარმოების საუკეთესო შესრულებას.

უნდა აღინიშნოს გუნდის სოლისტის — უნიჭიერესი თეონა პავლიაშვილის საკმაოდ მაღალი საშემსრულებლო დონე. იგი დიდი საყრდენია გორის ქალთა გუნდში. მთელი გულით ვუსურვებ მას წარმატებულ მოღვაწეობას.

დაბოლოს, გუნდის შესანიშნავი, ძალიან ნიჭიერი, უმრეტი ენერჯის მქონე ხელმძღვანელი — ქალბატონი თეონა ცირამუა. ის გასაოცარი ოსტატობით და დახვეწილი გემოვნებით უძღვებოდა გუნდს. მის განსაკუთრებულ ნიჭიერებაზე და მესხიერებაზე მეტყველებს ის, რომ კონცერტზე გატანილი 13 ურთულესი ნაწარმოების ზეპირად შესრულების დროს, იოტისოდენა შეცდომაც არ დაუშვია. ვფიქრობ, რომ თეონამ საგუნდო დირიჟორის ხელოვნებაში თვითმყოფი არტისტიზმი შემოიტანა, რითაც განსაკუთრებულ ზემოქმედებას ახდენს მსმენელზე. ასე რომ, ნუ დაუკარგავთ მას ნოვატორობას. გუნდის წევრები მას ასე ახასიათებენ: **„ჩვენი ხელმძღვანელი ძალიან მკაცრია, მაგრამ სამართლიანი და უადრესად კეთილი. რეპეტიციებზე იგი ხანდახან გვიბრძანდება, მაგრამ რეპეტიციის შემდეგ ჩვენ მეგობრები ვართ. თეონა სწრაფია წყენაშიც და სიხარულშიც. ის ჩვენი ნამდვილი მეგობარია, მაგრამ უკომპრომისოა, როდესაც საქმე ხელოვნებას ეხება“.**

ამ ყველაფრის შემდეგ ელდა მეცა, როდესაც გავიგე, რომ გუნდის წევრთა ჯამაგირი, ამ ტიტანური შრომისათვის, ხელზე მხოლოდ 330 ლარია. მე თუ მკითხავთ, ეს ქვეყნის სირცხვილია. ასე რომ ვიჩემებთ ევროპელობას, იქ თითოეული გუნდის წევრი შეძლებული იქნებოდა, ხოლო ხელმძღვანელი, ალბათ, სანატრელი სიმდიდრის მქონე.

ასეა თუ ისე, ღმერთმა ნუ გამოუღიოს საქართველოს თავისი საქმის ერთგული და თავდადებული, გროშებზე მომუშავე პროფესიონალები, ქართული ხელოვნების სადიდებლად და საკეთილდღეოდ! ვისურვებდი, რომ მათ მეტი დაფასება ჰქონოდათ ჩვენს ქვეყანაში!

ბი-ბი-სი აცხადებს 2015 წლის კონკურსს, 12-დან 18 წლამდე მოზარდებისათვის, რომლებსაც სურვილი აქვთ შექმნან საკუთარი მუსიკა. ახალგაზრდებს შეუქმნიან ყველა პირობას მუშაობისთვის, თავიანთი კრეატიული უნარების განვითარებისთვის. ისინი იმუშავებენ დიდი ბრიტანეთის გამომჩენილი კომპოზიტორებისა და მუსიკოსების გვერდით. კონკურსანტები უფასოდ მოისმენენ სემინარებს. კოლეგია, რომელშიც შედიან კომპოზიტორები ჯუდიტ უირი, ანუ შერედიტი და ფრეიზერა ტრეინერი, შეარჩევს გამარჯვებულ ნაწარმოებს, რომელსაც შესარულებენ პროფესიონალი მუსიკოსები და გადაიკემა რადიო 3-ით. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა შეავსონ ანკეტა 2015 წლის 21 მაისამდე. კონკურსი დაფუძნდა 1998 წელს და მისი მიზანია ტალანტების აღმოჩენა, ახალგაზრდა, დამწყები მუსიკოსების ხელშეწყობა.

2015 წლის 20 იანვარს, ბუდაპეშტის მუსიკალურ ცენტრში, მომავლის როიალის სენსაციური პრეზენტაცია შედგა. მას შეიძლება ყველაფერი ვუნოდოთ — გაფრენისათვის მზადმყოფი კოსმოსური ხომალდი, ან ცაში მსწრაფი შავი გედი, მაგრამ არა ჩვეული გაგებით — როიალი. როდესაც შეხედავთ როიალის ფუტურისტულ დიზაინს და ფორმებს, ნამდვილად იფიქ-

რებთ: სწორედ ასეთი უნდა იყოს კოსმოსურ ხანაში ინსტრუმენტების მეფე! ახალი როიალის შექმნის იდეის ავტორი არის წამყვანი უნგრელი პიანისტი გერგი ბოგანი, უმაღლესი — კომპოზიტორის ფილდოს მფლობელი. ბოგანიმ და ჯაზ-პიანისტმა ფერალდ კლეიტონმა როიალის ჟღერადობის წარმოსადგენად შეასრულეს ორ-ორი ნაწარმოები: ბოგანიმ — ბახის დო მაჟორული საორგანო პრელუდიის მისეული ტრანსკრიფცია და დებიუსის „მთვარის შუქი“, ხოლო კლეიტონმა — ორი ჯაზური იმპროვიზაცია. როიალის ჟღერადობას ასე ახასიათებენ: ძალიან მღერადი, ტემბრულად მდიდარი; რაფინირებული ბგერა, რომლის ჟღერადობა უფრო ხანგრძლივია, ვიდრე ჩვეულებრივი როიალისა. შემოქმედებითი ჯგუფი, კონსტრუქტორ ატილა ბოლევას, დიზაინერ პეტერ იუვეგესის და ფორტეპიანოს ტექნიკოს ფოზევ ნაგის ხელმძღვანელობით, ინსტრუმენტის შექმნაზე 10 წელი მუშაობდა. დაიხარჯა ათათასობით ევრო, რომელიც უნგრეთის მთავრობამ და ევროკავშირმა გამოყო. როიალი, დეკას ჩათვლით, დამზადებულია ნახევრადხელოვნური მასალისაგან და ამიტომ, ხისა და რკინის წინამორბედისაგან განსხვავებით, ის არ დაექვემდებარება გარე ფაქტორების ზემოქმედებას — ტემპერატურის ცვალებადობას, სიმშრალესა და ა.შ. ერთადერთი პრობლემა ისაა, რომ „კოსმოსური“ მასალებისაგან შემნილი ეს ინსტრუმენტი ძალიან ძვირი ეღირება. 11 მარტს, ლისტის აკადემიაში,

გერგი ბოგანი მომავლის როიალზე სოლო კონცერტს გამართავს.

ჩაიკოვსკის სახელობის XV საერთაშორისო კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტმა დაამტკიცა დოკუმენტების პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს კარდინალურ ცვლილებებს. ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად კონკურსის გამკვირვალობაა დასახული. პირველ ყოვლისა, ეს ეხება ხმის მიცემის პროცედურის აბსოლუტურ გამკვირვალობას — ჟიურის თითოეული წევრი ღიად მისცემს ხმას კონკურსანტს. ყოველ კონკურსანტს მიეცემა შესაძლებლობა, თითოეულმა ჟიურის წევრმა განუმარტოს და დაუსაბუთოს მას თავისი პოზიცია. ფიქრობენ, რომ ჟიურის ნებისმიერი წევრი უფროხილდება თავის სახელს და ამიტომ ღია კენჭისყრა კონკურსს აარიდებს ნეგატიურ მომენტებს და გაუზრდის ავტორიტეტს. აგრეთვე, აღარ იქნება შეფასების ძველი, ოცქულიანი სისტემა. მას ჩაანაცვლებს „ორბალიანი“ სისტემა: **კი** ან **არა, ყოფნა** — **არყოფნა**. ჟიურის წევრების სტუდენტები კონკურსში მონაწილეობას ვეღარ მიიღებენ, რაც სამართლიანობის მეტ გარანტიებს იძლევა. კასეტებით მოსმენის საფუძველზე კონკურსანტების შერჩევის სისტემამ შარშან არ გაამართლა — კონკურსანტთა ძალიან სუსტი ნაკადი იყო. ამიტომ წელს დაემატა კიდევ ერთი ეტაპი — წინასაკონკურსო მოსმენა. გარდა ამისა, მსოფლიოში 32

უმსხვილესი კონკურსის ლაურეატები შესარჩევ ტურს არ გაივლიან, რაც მიღებულია მსოფლიო პრაქტიკაში. იზრდება კონკურსანტთა ასაკობრივი ზღვარიც: 30-ის ნაცვლად – 32 წელი. დაბოლოს, 2,5-ჯერ გაიზრდება გრანტები – 30 000 ევროდან დანყებული, 100 000 ევრომდე – რაც მსოფლიო მუსიკალურ სამყაროში ყველაზე დიდი საკონკურსო ჯილდო იქნება.

ინგლისის ხელოვნების საბჭომ, ინგლისის ეროვნულ ოპერას შესაძლოა დაფინანსება შეუნწყვიტოს. საბჭო მიიჩნევს, რომ თეატრის არაეფექტურად იმართება. თეატრის სამხატვრო დირექტორთან შეუთანხმებლობის გამო, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ მართინ როუზმა და აღმასრულებელმა დირექტორმა გენრიეტა გოცმა საბჭო დატოვეს. „ჩვენი ამოცანაა, რომ გადასახადის გადამხდელების ფულით, რომელიც ინვესტიციის სახით ამა თუ იმ კომპანიაში იდება, საუკეთესო ხარისხს მივაღწიოთ. ეპიზოდური გამონაკლისების გარდა, ყველა ორგანიზაცია, რომელსაც ჩვენ სპონსორობას ვუწვევთ, ჩვენს მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ეჭვი არავის ეპარება ინგლისის ნაციონალური ოპერის შესანიშნავ შემოქმედებით და არტისტულ შესაძლებლობებში, მაგრამ სერიოზულად გვამფთხებს თეატრის მართვაში არსებული ხარვეზები და ბიზნეს-მოდელი. ველოდებით, რომ ისინი დაძლევენ ამ ხარვეზებს, სხვა შემთხვევაში თეატრი

დაკარგავს ჩვენ დაფინანსებას“ – აღნიშნა ინგლისის ხელოვნების საბჭოს აღმასრულებელმა დირექტორმა ალთა ეფუნშილემ. ინგლისის ნაციონალური ოპერა დიდი ხანია ფინანსურ კრიზისს განიცდის. 2014 წელს მისი დაფინანსება 17,2 მილიონი ფუნტიდან, 12,4 მილიონ ფუნტამდე შემცირდა. ნაციონალური ოპერა, ყველა შემთხვევაში, კიდევ ორი წელი დაფინანსდება. ასე რომ, მას ჯერ კიდევ აქვს დრო ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

ელისო ვირსალაძემ გახსნა ნიუ-ნი-ნოვგოროდის ფილარმონიის კონცერტების ციკლი მიძღვნილი სვიატოსლავ რიხტერის 100 წლის იუბილესადმი. მასთან ერთად მონაწილეობას იღებდა ნატალია გუტმანი. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ორივე შემსრულებელი მუსიკოსთა იმ თანამეგობრობას მიეკუთვნებოდა, ე.წ. „რიხტერის წრის“ სახელით რომაა ცნობილი. მათ რიხტერთან მრავალწლიანი მეგობრობა, ინტენსიური ინტელექტუალური ურთიერთობა, შემოქმედებითი თანამშრომლობა, ერთობლივი საკონცერტო გამოსვლები აკავშირებდათ. ციკლის პირველ საღამოს შესრულდა სამი საფ-ნო კონცერტი – გრიგის, ლისტის პირველი და რაველის მეორე (მარცხენა ხელისათვის). კონცერტების ციკლის ბოლოს ე. ვირსალაძე და ნ. გუტმანი ერთობლივი კამერული პროგრამით წარდგენ მსმენელს წინაშე.

12 და 13 თებერვალს, მარინის თეატრის სცენაზე, წარმოადგინეს დენის მატეიენკოს და დუაიტ როდენის პროექტი „დიდი გეტსები“ (მუსიკა – კონსტანტინე მელაძის). ესაა ფიცჯერალდ ფრენსის სკოტის ცნობილი რომანის სიუჟეტზე შექმნილი ქორეოგრაფიული შოუ, რომელიც დადგა თანამედროვეობის ერთ-ერთმა ცნობილმა ქორეოგრაფმა დუაიტ როდენმა. ბალეტში შენარჩუნებულია XXს-ის 20-იანი წლების შარმი, რასაც ხელს უწყობს, პირველ ყოვლისა, კამკაშა, რიტმული მუსიკა, გერშვინისა და ამერიკული ბიგ-ბენდების სტილიზაციის ელემენტებით. როდენმა შექმნა თავისი ქორეოგრაფიული სტილი, რომელშიც მკაფიოდ იგრძნობა ეთნიკური მოტივები, ფოტოგრაფიის ხელოვნება, თეატრი, კლასიკური ბალეტი, კინემატოგრაფი, ქუჩის ცეკვა, მოდა. „როდენმა ქორეოგრაფიაში მოიტანა ქუჩის კულტურის სიმკვეთრე. მან აიღო საბალეტო ტექნიკა და დაანგრია წესები, ბალეტი გახადა სექსუალური, აღმგზნები და მხიარული. პა-დე-დეში ქალსა და მამაკაცს შორის ისეთ ურთიერთობებს ნახავთ, რომელზეც მხოლოდ ოცნება შესაძლებელი“ – თქვა მსახიობმა პატრიკ სუეიზმა, რომელსაც როდენტან უმუშავია. ჯი გეტსების როლს ასრულებს დენის მატეიენკო, ხოლო დუაიტ ბიუკენენს – ანასტასია მატეიენკო.

SUMMARY

THE INNOVATION

Lali kakulia

The review on the Concert with the Analytical depth

On the 7th of February this year the concert consisting of the specimens of modern Georgian music was held at the Conservatoire. The three generations of the Georgian composers were represented at the concert: Mikheil Odzeli - of the seventies, Zurab Nadareishvili - of the eighties and Irakli Tsintsadze - of the ninetieth. All of them are interesting creative individuals. They have their artistic world and stylistics, their own creative interests, their own manner of expression and technological equipment. All of them are rather experienced both in great and chamber genre. The composition "Dakarguli Edemi" by Mikheil Odzeli for Mezzo-Soprano and Symphony Orchestra, the Symphony N3 by Irakli Tsintsadze and "The Variation for the Piano and Orchestra on Sulkhan Tsintsadze's Theme" were performed at the concert. The author reviews the musical works by those three composers.

THE FESTIVAL

Nargiza Gardapkhadze

Tamar Tsulukidze

The Impressions from the Festival

In 2014 the concert musical life of Tbilisi already for the 17th time was ended by the 'International Musical Meetings'. The musicians of the international level took part in the festival: the brilliant musician Nikita Borisoglebski, the Georgian chellist Giorgi Kharadze, working in France, the pianists: the laureate of the international competitions Ilia Kondratiev, the world star Boris Berezovski and the others; Nargiza Gardapkhadze tells us about the evening dedicated to the 90th anniversary of the famous Jew conductor Rudolf Barshai and the final concert of the world star - Boris Berezovski. Tamar Tsulukidze dwells her attention on the concert dedicated to the 90th anniversary of the composer Otar Taktakishvili where the Georgian stars of the world opera stage participated: such as Ketevan Kemoklidze, Teona Dvali, Salome Jikia, Gia Oniani, Sulkhan Gvelesiani. According to the author words this concert has shown us the actuality and

vital capacity of Otar Taktakishvili's music from the view of time.

THE CHOIR MUSIC

Mzia Japaridze

The Impressive Presentation

At the end of last year the presentation of "The Georgian Choir Society" was held at the Tbilisi Conservatoire which consisted of the conference and the concert. The theme of the conference was: "At the beginning of the Georgian Academic Choir Music". The students of the baccalaureate 4th course: Ana Gorgadze, Bichiko Bezhitashvili and Tamaz Gotsadze took part in the concert. After the conference the concert was held. The sounding of the specimens of the Georgian Academic choir music made it once again clear that the Georgian choir music has really such artistic valuable achievement, that it would be success at the concert stage of any country. As 2015 is the jubilee year of the composer Jemal Beglarishvili. The concert was just devoted to his creative work. J. Beglarishvili is entirely distinguished composer in the Georgian music both personally and creatively. He managed to create his handwriting, quite distinguished and unique. All his choirs are deeply national having high artistic value.

THE PROBLEM

Gulbat Toradze

SOS! - Alarming situation in the Musical Culture

The author tells us about the alarming situation which troubles and alarms not only the musical, but the whole Georgian cultural society; namely, at the Georgian State Symphony Orchestra concerts the world classical musical works are not performed, (rarely only the foreign guest artists perform them.).

The author remarks that actually the symphonic and oratorical music by the Georgian classic composers - Andria Balanchivadze, Shalva Mshvelidze, Alexi Matchavariani and the others are not sounded at the concert. The author pays the special attention to the brilliant Evgeni Mikeladze State Academic Symphony

Orchestra, having long and magnificent traditions and its Chief Conductor Nikoloz Rachveli; the Academic Symphony Orchestra is turned into the variety – entertaining group according to his creative and artistic likes.

THE IMAGES

Victoria Chaplinskaya

Jean Gabin of the Tbilisi Opera

(The article is dedicated to the singer Tamaz Laperashvili)

Victoria Chaplinskaya recalls the soloist of Z. Paliashvili Opera and Ballet Theatre, the splendid singer and teacher, fine person Tamaz Laperashvili, with whom the author of the article was connected with cooperation and friendship for decades. The author recalls the characters personified by this singer and remarks the interpretation of such parties as: “Don Pasquale” in Donizetti’s opera, “Aida” in Verdi’s opera, “Don Carlos” and especially Mephistopheles in Gounod’s opera “Faust” left a deep trace in the performing art. In the article the singer’s artistic gift, personal and outer characteristics are emphasized. “In the postgraduate studentship period in Peterborough they recollected Tamaz Laperashvili as Jean Gabin of the Tbilisi Opera” – writes the author.

THE REGION

Mzia Japaridze

The Abkhazian Oasis

The article is dedicated to the concert held in the Abkhazeti Spiritual and Culture centre. This centre founded the beginning of the splendid tradition – with its modest possibilities it gathers the refugees creative, scientific society for whom the main are those cultural values taken by them from Abkhazia and in spite of the hardest decades they have still kept them with love for the descendants. The evening was accompanied by the minor concert. Thanks to the desert of the director of the centre, the fine person and musicologist Lali Ketsba and the musicologist Lia Sekhniashvili, their Concerts are always distinguished by the high

degree, the interesting programme. The participants of the concert were: the wonderful musician, the pianist Eliso Asatiani, the soprano Salome Jikia who is the member of the maestro Renata Scotto master-class and the senior course student of the Rome Academy, the owner of the first premium of the competition “Premio Citta di Padova” – Dimitri Bokolishvili. The accompanist of the concert was the Doctor of musicology Mrs. Nunu Chelidze. The evening was open and ended by the refugee from Abkhazia, the young poet Giorgi Balakhashvili.

THE MUSIC AND THE WRITING

Roman Kofman

Translated by Mikheil Menabde

“The Book of Absence”- the Parole – Shnitke

“Roman Kofman- the conductor, violinchellist , composer, producer, teacher, writer, poet, philosopher... the person who surprises you and can transform music and the word so that both the listener and the reader are equally fascinated. He is the Chief Conductor of Ukraine National Academic Symphony Orchestra and has been considered as the unique phenomena in the Ukrainian cultural life... R. Kofman conducted Bonn opera and Bonn Symphony Orchestras for five years in Germany, besides the significant projects he recorded 14 symphonies by Dimitri Shostakovich, staged 10 operas, the Bonn Symphony Orchestra was called the Beethoven Orchestra on his initiative and the great maestro was awarded with the Honourable Cross for the special desert for Germany”.

Roman Kofman is the author of ten books, but his work “The Book of Absence” was translated into Georgian for the first time and one of the chapters “The Parol- Shnitke” is being published in the journal “Music”

In the book the author tells us about the rather hard and tragic fate of the artist or the ordinal person who being in the Soviet system is under the Soviet ideological press, about the fallaciousness and the absurdity of the system... In spite of the heaviness of the themes, the author writes about the hardest period with the lightness and humor and sometimes with the

SUMMARY

cynicism toward the Soviet reality.

The translation is made by his ex-pupil, nowadays his assistant, the Georgian conductor Mikheil Menandze who works in Ukraine.

THE DATE

Dodo Gogua

To Nikoloz Gudiashvili's Remembrance

The 100th anniversary since the birth of the famous composer teacher, the People's Artist of Georgia – Nikoloz Gudiashvili was celebrated with the jubilee evening where his chamber, vocal and instrumental works were performed and the personal characteristics of this very honorable and very attractive composer revived in the memories of his colleagues. The author tells us about the composer's artistic belief and the style of thinking, his creative way. "N. Gudiashvili considerably enriched the lyrical sphere of the Georgian music and in so doing enriched its romantic tradition; he achieved the eminent success in the sphere of the instrumental miniature, concert and chamber-instrumental ensemble genre. In sum, N. Gudiashvili's distinctly expressed individual creative handwriting and aethetical position, high professional culture defined his place in the history of the Georgian music" – writes the author.

THE AUTHOR'S CONCERT

Rusudan Kutateladze

The Admirer of A capella Choir

The article deals with the composer Rusudan Khorava's jubilee date and her author concert. Her concerts in Tbilisi and in her native city Poti were a great success and found the broad response in the society.

Rusudan Khorava has been rewarded with the diploma at the international competition, the premiums at the Ministry of Culture competitions; she is Vazha – Pshavela prize laureate, the member of the Phasisi Academy of Science.

In spite of the fact that she is mainly known as the composer of the choir music, R. Khorava's fantasy is

various in genre for the piano and orchestra. Her piano plays "The Elegy" and "The Impromptu" have been in the repertoire of the Tbilisi International Competition for some years;

Her choir works are performed not only in Georgia, but abroad too: in Belgium, Latvia, Italy, Bulgaria, Turkey. It should be noted that her choir musical works were also performed in England, namely, in Oxford and Stratford, at the Shakespeare House-Museum, at the hall of the Queen of England and in Russia- at the Gergiev International Choir Festival. In 2015 the "Kaldea" the Academy of the Georgian writers, scientists and the public figures gave Rusudan Khorava the academician's title.

THE TRACE

Devil Arutinov- Jincharadze

The Worthy Person and the Teacher

The article is dedicated to Ksenia Jikia (1915 – 1993) the pianist, teacher, the Honourable Teacher of Georgia, the Honourable Art Worker. She did the great bit in the successful development of the Georgian musical culture and namely in the Georgian piano school. In the high qualified professional upbringing of the young gifted pianists in the refinement of the teaching methodology on the piano, though the diapason of her creative activity is considerably broader – she led very prolific administrative and musical-social activity.

NEW PUBLICATIONS

The Note Collection 12/12

Last year in the history of the Georgian professional music for the first time the note collection 12/12 of the modern Georgian and German women composers' was published. The author of the project and the organizer is the composer Ekaterine Akhobadze. 24 musical works for the piano of 12 Georgian and 12 German composers of the various generations are gathered in the collection. They are: Nathela Svanidze, Marina Adamia, Eka Chabashvili, Russudan Meipariani, Maka Virsaladze, Nestan Bagration-Davitashvili,

Tamar Salukvadze, Nana Kobaladze, Tamar Putkaradze, Ekaterine Akhobadze, Lali Sabanadze, Nino Janjgava; Karola Bauckholt, Juliane Klein, Charlotte Seither, Ursula Gorsch, Barbara Heller, Mia Schmidt, Ursula Mamlok, Margarete Sorg-Rose, Sussanne Zangar-Swiridoff, Sibylle Pomorin, Karin Haubmann, Elke Tober-Vogt. On the 3rd of December the presentation of the note collection and the concert were held in the Minor Hall of the Conservatoire. The presentation made clear the great interest towards this phenomena – the hall, in spite of the length of the concert was overcrowded to the end. The presentation of the concert is planned in Germany as well. The Note collection will be free of charge in all regions of Georgia and the musical schools of Germany which will be favourable for the popularization of modern music.

THE WORLD STARS

Elena Obratzsova

In Leipzig, Germany at the age of 75 died Elena Obratzsova – The greatest singer of all times – as they call her, “The queen of the world opera stage”.

For the Tbilisi jubilee it was always the grand occasion Elena Obratzsova’s arrival with her solo concert (mostly with her brilliant Georgian concertmaster – Vazha Chachava) or with her participation in the opera performance.

Elena Obratzsova’s first partner at the hearing of the Bolshoi Theatre was then the soloist of the theatre, already famous Georgian singer Zurab Andjaparidze. In the “Queen of Spades” her first partner was Zurab Anjaparidze. Since that time they sang together in many performances till Zurab Anjaparidze’s being at the Bolshoi Theatre. Elena Obratzsova specially arrived in Tbilisi on the opening of Zurab Anjaparidze’s bust in Tbilisi.

Elena Obratzsova highly appreciated the Georgian listeners’ opinion. She had close and warm relations with Georgia, the Georgian musicians. It is natural that her friends are especially sorry for her loss. In the article her Georgian friends, the composer Nunu Gabunia and the singer Tsisana Tatishvili recollect the great singer.

THE DIALOGUE WITH THE ARTIST

Maka Virsaladze’s International Victory

The article refers to the composer Maka Virsaladze who is well - known in the professional circles and among the music lovers society. The last 2014 was successful for the composer. She got the second place and the laureate’s title in Peterborough at the open 7th competition of the Russian composers – “The Choir Laboratory XXI Century” – In the nomination “The Choir Music on the Latin texts “. It should also be noted that the first prize was not given to anybody.

M. Virsaladze is indicated in the book “The Outstanding Musicians of the 20th Century” published in 2000 by the Cambridge Biographical Centre. Her name and surname are in the internet Dan Albertsonis (USA) and on the Web. Site “The living composer’s project”. The article is followed by the interview with the composer.

THE IMPRESSION

Anzor Shomakhia

The Triumphant Concert of the Gori Women’s Chamber Choir

The article is dedicated to the appearance of the Gori Chamber Choir at the Minor Hall of the Conservatoire on the 16th of December. The author remarks: “Each appearance of this group is accompanied by great success. At the Telavi International Festival in October, while performing 9 choir works by Ioseb Kechakmadze, the listeners gave a great ovation which doesn’t often happen. Great ovation was also expressed by our famous and for everybody glorious pianist Mrs. Eliso Virsaladze who was present in the hall. During the whole concert she was delighted with the conduct art of the Choir conductor Teona Tsiramaa.

The author of the article, the People’s Artist of Georgia, the laureate of the Russian National premium “The Golden Mask” the professor Anzor Shomakhia highly appreciates both the performing level of the group and the professional Georgian choir works sounded at the concert.

A CD enclosed with the magazine contains a sound track for each feature. Since its format is insufficient for all the details: the titles of the pieces and features and performers, only the title of a musical piece and the page of the corresponding article are specified. Here is a complete list of the CD recorded material:

1. Mikheil Odzeli. "Dakarguli Edemi" for Mezzo-soprano and Symphony orchestra (fragment). Soloist Natalia Volchenko. Tbilisi Z. Paliashvili Opera and Ballet State Theatre Orchestra. Conductor: Revaz Takidze (feature: "The review on the Concert with the Analytical depth", page 2);
2. Irakli Tsintsadze. Symphony No. 3(fragment) . Tbilisi Z. Paliashvili Opera and Ballet State Theatre Orchestra. Conductor: Revaz Takidze; (feature: "The review on the Concert with the Analytical depth", p.2)
3. Zurab Nadareishvili. The Variations on Sulkhan Tsintsadze's theme for piano (fragment). Soloist Tamar Licheli. Tbilisi Z. Paliashvili Opera and Ballet State Theatre Orchestra. Conductor: Revaz Takidze (feature: "The review on the Concert with the Analytical depth", p.2);
4. Pyotr Tchaikovsky. "Children's Album", Op.39. performed by Boris Berezovsky (Feature: "The Impressions from the Festival", p.10)
- 5-6. Jemal Beglarishvili. "Lxini Soflad". Performed by Tbilisi Women's choir. Conductor: Omar Burduli. "Chanamgherebi". Performed by Children's choir of S. Tsintsadze Gori Seminary. Conductor: Nino Tsiklauri (feature: "The Impressive Presentation", p.19);
7. Charles Gounod. "Faust". Mefistofeles couplets _ "Le veau d'or est toujours debout". Performed by Tamaz Laperashvili (feature: Jean Gabin of the Tbilisi Opera", p.28);
8. Gaetano Donizetti - Studio a Primo. Performed by Dimitri Bokolishvili (feature: "The Abkhazian Oasis", p.37);
9. Valentin Silvestrov. "Dedication", Symphony for violin and orchestra. Andante. Performed by Gidon Kremer and Munchner Philharmoniker. Conductor: Roman Kofman (feature: "The Book of Absence" - the Parole - Shnitke", p.41);
10. Valentin Silvestrov. "Gentle music": Instant waltz, Evening serenade, Serenade Reminder; performed by Chamber Orchestra "Armonia Ludus", conductor: Mikheil Menabde (feature: "The Book of Absence" - the Parole - Shnitke", p.41);
- 11-12. Rusudan Khorava. "Dedao Ghvtisav". Performed by Children's Choir of S. Tsintsadze Gori Seminary. Conductor: Nino Tsiklauri. "Vardi Xar" . Performed by Georgian State Capella. Conductor: Archil Ushveridze (feature: "The Admirer of Acapela Choir", p.57);
13. Charles-Camille Saint-Saëns. "Samson et Dalila". "Mon coeur s'ouvre a ta voix...". Performed by Elena Obratsova. The Tchaikovsky Symphony Orchestra. Conductor : Algis Zhuraitis (feature: "Elena Obratsova", p.69)
14. Maka Virsaladze. Alma Mater. Georgian State Capella. Conductor: Archil Ushveridze (Feature: "Maka Virsaladze`s International Victory", p.74)
15. Ioseb Kechakmadze. Performed by Gori Women's choir. Conductor:: Teona Tsiramua (feature: "The Triumphal Concert of the Gori Women`s Chamber Choir", p.79)

The editorial board

88

Editor-in-Chief: MIKHEIL ODZELI
 Editors: MZIA JAPARIDZE, TAMAR TSULUKIDZE
 Design: VAKHTANG RURUA, VANO KIKNADZE
 Translated by: KETEVAN TUKHARELI

Address:
 123, D. Agmashenebeli str., Tbilisi
 Tel: (+995 32) 295 41 64
 Fax: (+995 32) 296 86 78

1. M.Odzell. "Dakarguli Edemi" (fragment). **Soloist N.Volchenko. Conductor: R.Takidze** (Feature: page # 2) **2. I.Tsintsadze.** Symphony No.3 (fragment). **Conductor: R. Takidze.** (Feature: p. # 2) **3. Z.Nadareishvili.** The Variations on Sulikhan Tsintsadze's theme for piano (fragment). **T.Licheli (piano). Conductor: R. Takidze.** (Feature: p. # 2) **4. P.Tchaikovsky.** "Children's Album", Op.39. **Performed by B.Berezovsky** (Feature: p. # 10) **5-6. J.Beqlarishvili.** "Lxini Soffad". **Tbilisi Women's choir. Conductor: O.Burduli.** "Chanamgherebi". **Children's choir. Conductor: N.Tsiklauri** (Feature: p. # 19) **7. Ch.Gounod.** "Faust", "Le veau d'or est toujours debout". **Performed by T.Laperashvili** (Feature: p. # 28) **8. G.Donizetti.** Studio a Primo. **Performed by D.Bokolishvili** (Feature: p. # 37) **9. V.Silvestrov.** "Dedication". Andantino. **G.Kremer (violin).**

საქართველოს კომპოზიტორთა
შემოქმედებითი კავშირის
ჟურნალი

Journal of Creative
Union of Composers
of Georgia

მუსიკა **1**
2015 (23)
MUSIKA

Conductor: R.Kofman (Feature: p. # 41) **10. V.Silvestrov.** "Gentle music". **Conductor: M.Menabde** (Feature: p. # 41) **11-12. R.Khorava.** "Dedao Ghvtisav". **Children's Choir. Conductor: N.Tsiklauri.** "Vardi Xar" **Georgian State Capella. Conductor: A.Ushveridze** (Feature: p. # 57) **13. Saint-Saens.** "Samson et Dalila". "Mon coeur s'ouvre a ta voix...". **Performed by E.Obratsova. Conduct: A.Zhuraitis** (Feature: p. # 69) **14. M.Virsaladze.** "Alma Mater". **Georgian State Capella. Conductor: A.Ushveridze** (Feature: p. # 74) **15. L.Kechakmadze.** "Chorale". **Gori Women's Choir. Conductor: T.Tsiramun** (Feature: p. # 79)

compact
disc
DIGITAL AUDIO

Prohibited

All rights of the producer and the owner of the recorded work reserved.

